განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრის გამოცემა

№1, 2023

ISSN 2720-8605

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

№1, 2023

სარედაქციო კოლეგია:

ნათია გორგაძე
ბექა მინდიაშვილი
დავით წულაძე
სოფიკო ლობჟანიძე
ვლადიმერ სვანაძე
მაია ბლიაძე
ლევან სებისკვერაძე
ქეთევან ქობალია

მთავარი რედაქტორი
ნინო გვარამაძე

კორექტორი
ნინო უჩანეიშვილი

დიზაინერი
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

ISSN 2720-8605

WWW.TPDC.GE

რედაქტორისგან

ნინო გვარამაძე

წარმოგიდგენთ ჟურნალის „განათლება გლობალური მოქალაქეობის" მეორე ნომერს. მასში შესული სტატიები ეხმაურება განათლებას გლობალური მოქალაქეობისთვის სხვადასხვა მხრიდან.

გლობალური მოქალაქეობისთვის განათლების სოციო-ემოციური სფეროს ერთ-ერთი მახასიათებელია ურთიერთობები. ნომერში მკითხველი ნახავს სტატიას ინტერკულტურული კომუნიკაციების კომპეტენციების რაობის, მნიშვნელობისა და მათი განვითარების გზებისა და ამ მიმართულებით საქართველოში არსებული პროექტების შესახებ.

წინა ნომერში მკითხველი გაეცნო სტატიის „რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობის" პირველ ნაწილს. წინამდებარე ნომერში სტატიის დასასრულია წარმოდგენილი.

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევას. სტატიაში სათაურით „რა არის მდგრადი განვითარების მიზნები?" მოცემულია მათი განმარტება, ახსნილია კავშირი მათ შორის და, შესაბამისად, მდგრადი განვითარების ასპექტებს (ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვითს) შორის.

დღეს, როცა ინფორმაციის წყაროებზე ხელმისაწვდომობა ასეა გაზრდილი, მედიაწიგნიერების კომპეტენცია ძალზე მნიშვნელოვანია და ეროვნულ სასწავლო გეგმაში მიჩნეულია გამჭოლ კომპეტენციად. მისი ინტეგრირება ფორმალურ განათლებაში გარკვეულ ძალისხმევას ითხოვს. მკითხველს შეუძლია გაეცნოს მედიაწიგნიერებას, როგორც 21-ე საუკუნის გამოწვევას, მის ფუნქციებს და მედიაწიგნიერების მდგომარეობას საქართველოში.

ტექნოლოგიების განვითარებამ და გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ადამიანის შესაძლებლობები, თუმცა, ამასთან ერთად, საზოგადოებაში გაჩნდა ახალი საფრთხეები. კიბერუსაფრთხოება გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. მკითხველი გაეცნობა ამ მიმართულებით ჩატარებულ საერთაშორისო კვლევებსა და საქართველოს ადგილს ამ კვლევებში, აგრეთვე, განათლების მნიშვნელობას კიბერუსაფრთხოების განვითარებაში.

უსაფრთხოების საკითხს ეხება სტატია თვითდაზიანებით თამაშებზე, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ახალგაზრდების პრობლემებით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ, ბევრ სიკეთესთან ერთად, წარმოშვა სხვადასხვა მითი ადამიანების მომავალზე. მითების გარდა გაჩნდა მისი გამოყენების მორალურ-ეთიკური პრობლემები, რომლებიც წამოწეულია სტატიაში „ხელოვნური ინტელექტი".

დასავლეთის ქვეყნებში პოპულარულ სკაუტინგს საქართველოში ნაკლებად იცნობენ. მკითხველს მიეცემა შესაძლებლობა გაეცნოს მას, როგორც აღმზრდელობით სისტემას.

მსოფლიოს ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის ერთ-ერთ ძლიერ მოტივატორად მიჩნეულია სპორტი. მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს სპორტს, როგორც მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოების საშუალებას.

გამომდინარე ჟურნალის შინაარსის მრავალფეროვნებიდან, ვიმედოვნებთ, რომ ის დააინტერესებს ფართო მკითხველს.

შინაარსი

სტატიები მასწავლებლებისთვის

ნათია გორგაძე
2 ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციები და გლობალური მოქალაქეობის განათლება საქართველოში

ბექა მინდიაშვილი
13 რელიგიის თავისუფლება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით
დასასრული

ლევან სებისკვერაძე
23 როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო

ციფრული და მედიაწიგნიერება

ვლადიმერ სვანაძე
27 კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ინდექსები და საქართველო

დავით წულაძე
37 თვითდაზიანებადი თამაშების ტენდენცია და მათგან წამოსული საფრთხეები

დავით წულაძე
41 ხელოვნური ინტელექტი

მარიამ დახუნდარიძე
46 მედიაწიგნიერების განვითარება საქართველოში

ეროვნული განათლება

მაია ბლიაძე
53 რა არის მდგრადი განვითარების მიზნები?

ქეთევან ქობალია
58 სკაუტინგი როგორც აღმზრდელობითი სისტემა

ᲜᲐᲜᲘᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ
განათლების საკითხების მკვლევარი

ᲘᲜᲢᲔᲠᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲔᲢᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲔᲢᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲖᲐᲨᲘ ᲛᲣᲚᲢᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲠᲗᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

1. ᲘᲜᲢᲔᲠᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲘᲐ

კულტურული მრავალფეროვნების ზრდა, რომელიც ლიკვიდური, დინამიური და ტრანსფორმაციულია, გულისხმობს ინდივიდისა და საზოგადოებებისათვის, ცოდნის შეცვლის კონკრეტულ კომპეტენციებს და შესაძლებლობებს, რათა მათ შეისწავლონ, გადახედონ და შეცვალონ ეს ცოდნა და მიაღწიონ პერსონალურ მიზნებს და სოციალურ ჰარმონიას (UNESCO, 2013 , p. 4)

ამ მიზნის მიღწევისათვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციების (ICC) განვითარება, რომელსაც სპიცბერგი და ჩანონი (Spitzberg and Chagnon) (2011)) განსაზღვრავენ, როგორც „ინტერაქციის სწორ და ეფექტურ მართვას იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მეტ-ნაკლები ხარისხით წარმოადგენენ სხვადასხვა და განსხვავებულ კოგნიტურ, აფექტურ და ქცევით ორგანიზაციებს სამყაროში“ (p. 7). ამ მიზნის მიღწევისათვის, მნიშვნელოვანია მოსწავლეების მომზადება საკუთარი აზრების, დამოკიდებულებებისა და პოზიციების საკუთარ თავთან და სხვებთან წარმოდგენისათვის, სტერეოტიპებისა და ღრმად გამჯდარი ცრურწმენების დავიწყებისათვის, საკუთარი ფასეულობების, რწმენებისა და ქცევების გადაფასებისთვის და ინტერკულტურულ სიტუაციებში ადაპტაციის მექანიზმების გაცნობიერებისათვის (Graddol, 2007). ამ თვალსაზრისით, ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციების განვითარება მჭიდრო კავშირშია გლობალური მოქალაქეობის კონცეფციასთან სწრაფად მზარდ მულტიკულტურულ საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ადაპტაციისათვის

(Torres & Bosio, 2020). ტორესი (2017) აყალიბებს გლობალური მოქალაქეობის განათლების 3 მნიშვნელოვან არგუმენტაციას. პირველი – გლობალური მშვიდობის მხარდაჭერას უკავშირდება. მეორე – ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უთანასწორობის დაძლევისა და გლობალური სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული ინტერვენციების წახალისებას, ხოლო მესამე კი, გულისხმობს იმ სოლიდურ ჩარჩოსა და გზამკვლევის განვითარებას, რომელიც სამოქალაქო ფასეულობების დაცვას გულისხმობს, რაც უფრო დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას შეუწყობს ხელს (Torres, 2017b). ამ თეორიული ჩარჩოს გადმოსახედიდან, ICC განვითარების მნიშვნელობასთან დაკავშირებით გლობალურ კონტექსტში, კითხვები აღარ ჩნდება. მეტიც, როგორც ვიტებორნი (2003) აღნიშნავს, უპირობოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ICC-ის განვითარება, არამედ მისი გავლენის შესწავლაც კი, პოპულაციის მიგრაციის, მოგზაურობის, ტექნოლოგიური განვითარებისა და კიბერ-უსაფრთხოების ამოცანებიდან გამომდინარე (Witteborn, 2003).

ICC უფრო და უფრო აქტუალური ხდება საქართველოს კონტექსტში, განსაკუთრებით კი, ბოლო წლების მოვლენების დინამიკის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემიამ დრამატულად შეაჩერა ქვეყნებს შორის ფიზიკური მიმოსვლის ტემპი, გაზარდა ვირტუალური კომუნიკაციის მაჩვენებლე-ბი, რაც ICC განვითარების საჭიროებას არანაკლებ აყალიბებდა, ხოლო გრძელვადიანი ჩაკეტილობის შემდგომ კი, სტიმული მისცა მოგზაურობებისა და ემიგრაციის ნიშნულის სწრაფ ზრდას. მნიშვნელოვანი სტატისტიკა ადასტურებს, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო წლიური რაოდენობა 2020-2022 წლამდე პერიოდში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს შემოსული 392 ათასი ადამიანი, 2020 წლამდე შემოსულებზე 67%-ით მეტია.

გრაფიკი 1: 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო წლიური რაოდენობის განაწილება მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით, ათასი



მონაცემები ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებს

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკა არ აჩვენებს განსხვავებას ვიზიტის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, არაერთ მტკიცებულებაზე დაფუძნებით, შეგვიძლია ვისაუბროთ იმ სოციო-დემოგრაფიულ ცვლილებებზეც ქვეყანაში, რომელიც სხვადასხვა მსოფლიო მოვლენებთან ერთად, 2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებას უკავშირდება.

ასე მაგალითად, 2022 წლის მარტ-სექტემბერში საქართველოში 9,500-მდე რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 10-ჯერ მეტია. საერთო ჯამში კი, საქართველოში 17 000-ზე მეტი რუსული კომპანიაა დარეგისტრირებული (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2022). ამგვარი დინამიკა შეიძლება მიანიშნებდეს იმასაც, რომ მიგრაცია რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ხანგრძლივ დროზე არის გათვლილი.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მზარდია, როგორც იმიგრაციის, ასევე ემიგრაციის მაჩვენებელიც. 2021-2022 წელს, საქართველოში, 3330 მოსწავლემ შეწყვიტა სასკოლო განათლება ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრების მიზეზით, რაც სკოლის მიტოვების ყველა მიზეზის 47%-ს შეადგენს. შედარებისათვის, საზღვარგარეთ გამგზავრების მიზეზით, მოსწავლეების სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, 2019-2020 წელს ყველა მიზეზის 20.98%-ს, ხოლო 2020-2021 წლებში კი, 25.18%-ს შეადგენდა. გაზრდილია არა მხოლოდ საზღვარგარეთ გამგზავრების მიზეზით სკოლის მიტოვების ხვედრითი წილი, არამედ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი ზოგადად (CCIIR, 2023). შესაბამისად, ICC-ს ფარგლებში განვითარებული ეფექტური კომუნიკაციის უნარი სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, ერთი მხრივ, გლობალური მოქალაქეობის კონცეფციის გამყარებას, ხოლო მეორე მხრივ კი, ისეთი კომპონენტების გააქტიურებას უკავშირდება, როგორებიცაა მოტივაცია, საკუთარი თავისა და სხვების შესახებ ცოდნის გააქტიურება, ტოლერანტობა და სხვა (University of Minnesota Libraries Publishing, 2013).

გარდა იმ დემოგრაფიული ცვლილებებისა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, ICC ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ისტორიული ეთნიკურ-კულტურული კომპოზიციიდან გამომდინარე. საქართველო ისტორიულად მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელიც ეთნიკური ჯგუფების პროპორციების მკვეთრი და დინამიური ცვლილებით ხასიათდებოდა წინა საუკუნიდან დღემდეც კი (წულაძე და სხვები, 2008). 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 86.8% ქართველია, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან, 6.3%-ს ეთნიკური აზერბაიჯანელები, 4.5% სომხები, ხოლო 2.4%-ს კი სხვა ეთნოსები შეადგენენ (საქსტატი, 2015). საგულისხმოა, რომ ორი უმსხვილესი ეთნიკური ჯგუფი, მეტწილად არის განსახლებული ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფები, როგორებიც არიან: რუსები, ოსები, იეზიდები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, ებრაელები, ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვ., რომლებიც დისპერსიულად არიან განსახლებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და დედაქალაქში (გორგაძე, 2014). ამავდროულად, საქართველოს მოსახლეობის 83.4% მართლმადიდებლური აღმსარებლობის, 10.7% მუსლიმური, 2.9% სომხური სამოციქულო, ხოლო 3.0% სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარია. (საქსტატი, 2015). მნიშვნელოვანია ენობრივი განფენილობაც, რომელიც საქართველოსთვის არის დამახასიათებელი. 2014 წლის საყოველთაო გამოკითხვის საფუძველზე დგინდება, რომ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებიდან, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის 18.8% და სომხურენოვანი მოსახლეობის 39.6% ფლობს ჯეროვნად სახელმწიფო ენას (გორგაძე, 2014). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე რეფორმებისა და ენობრივი პოლიტიკის ფონზე, სახელმწიფო ენის ფლობის მაჩვენებლები

იცვლება, ICC-ის მნიშვნელობა საგანმანათლებლო სივრცეში, არა თუ კარგავს აქტუალობას, არამედ ახალ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საიდანაც ერთ-ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ეკონომიკური პერსპექტივაა, სადაც „ინტერკულტურული კომპეტენცია ის ტრანსფერული პროფესიული უნარია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება დასაქმებას“ (Perez,2016).

> მასწავლებლები უნდა ქმნიდნენ პირობებს, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას განავითარონ ცოდნა საკუთარი და სხვათა კულტურის შესახებ.

2. ინტერკულტურული კომპეტენციების ჩამოყალიბების ეტაპები

ინტერკულტურული განათლების მეცნიერები ხაზს უსვამენ აფექტური ასპექტების მნიშვნელობას, როგორებიცაა სხვა კულტურების მიმართ ცნობისმოყვარეობა და განსხვავებების მიმართ ღიაობა. მეცნიერებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომ დამოკიდებულების ცვლა არის მთავარი სტიმული ინტერკულტურული ცოდნის ფუნდამენტის შექმნისათვის და კულტურაზე დაფუძნებული ქცევის გათავისებისათვის. ინტერკულტურული განათლების მიდგომები მიზნად უნდა ისახავდეს პოზიტიური ინტერკულტურული დამოკიდებულებების კულტივაციას, ხოლო განმანათლებლები უნდა ქმნიდნენ პირობებს, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას განავითარონ ცოდნა საკუთარი და სხვათა კულტურის შესახებ და საბოლოო ჯამში ისწავლონ ქცევითი მიდგომების სტრატეგიები, რომლებიც მოთხოვნილია სხვადასხვა ინტერკულტურული კონტექსტების მიერ (Perez, 2016).

შესაბამისად, ICC-ის განვითარებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდის მოტივაციას სხვა კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისათვის. მოტივაცია კი გულისხმობს ინდივიდის შინაგან თუ გარეგან სწრაფვას, დანერგოს ინტერკულტურული კავშირები (Martin & Nakayama, 2010). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ პირს არ აქვს მოტივაცია სხვა კულტურის ადამიანებთან კომუნიკაციისათვის, თუ მას არ გააჩნია შინაგანი სწრაფვა გაიგოს მეტი საკუთარი თავისა და სხვათა შესახებ, მაშინ რეალურად, არ არსებობს ფუნდამენტი, რომელსაც დამატებითი კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები და უნარები დაეფუძნება. კვლევები ადასტურებს, რომ დომინანტურ კულტურულ ჯგუფებს ნაკლებად გააჩნიათ შინაგანი ან გარეგანი მოტივაცია არადომინანტური ჯგუფის წევრებთან ინტერკულტურული კომუნიკაციის წარმართვისათვის, რადგან ისინი მეტწილად, ვერ ხედავენ განსაკუთრებულ სარგებელს. ამასთან, ის პრივილეგიები, რომლებსაც კომუნიკაციის პროცესში დომინანტი ჯგუფები ფლობენ, წარმოქმნის დისბალანსს; არადომინანტური ჯგუფების მიმართ წარმოიშობა მოლოდინი, რომ სწორედ ისინი გააუმჯობესებენ კომუნიკაციისათვის საჭირო უნარებს და მოერგებიან არსებულ საკომუნიკაციო კონტექსტს, ძირითად ქცევებსა და დამოკიდებულებებს. არ არის გასაკვირი, რომ ამ კუთხით, საქართველოს სკოლებში, სადაც ეროვნული თვითიდენტიფიკაციის მიხედვით, ქართველი მოსწავლეები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგე-

ნენ, ნაკლებად არსებობდეს შინაგანი მოტივაცია სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ინტერაქციისათვის, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც გეოგრაფიული განფენილობა ნაკლებად უწყობს ხელს ბუნებრივი კავშირების გაძლიერებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოლოდინები მეტწილად გაუცნობიერებლად წარმოიშობა, ICC-ის განვითარებასთან ერთად, იზრდება ცნობიერება სხვათა კულტურული პერსპექტივების შეცნობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რასაც საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და არსებული პოტენციალის რეალიზების სურვილისკენ მივყავართ. გარდა იმ მიზნებისა, რომელიც ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების აუცილებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს სასკოლო განათლების პოლიტიკაშია დეკლარირებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სასკოლო საზოგადოებაში იმის პრაქტიკული გათავისება, რომ მაღალი ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციები არა მხოლოდ კომუნიკაციის რომელიმე მხარისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მათი განვითარება კომუნიკაციაში მყოფი ყველა მხარისათვის ერთნაირად სასარგებლოა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება ისეთი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა სასკოლო ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლების ფარგლებში, რომელიც გაზრდის ერთი მხრივ, სხვადასხვა ეთნო-კულტურული ჯგუფის შესახებ ცნობიერებას, ხოლო მეორე მხრივ კი, წარმოშობს მოსწავლეების ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას ინტერაქციისათვის და მისცემს მათ ბიძგს, საკუთარ თავში ჩაღრმავების შინაგანი მოტივაცია ინტერკულუტურული კომუნიკაციის მაღალ კომპეტენციებად გარდაქმნან. სკოლის როლისა და პოზიტიური გავლენის გაძლიერების პროცესში, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების წვლილი განუზომელია და ემყარება ინტერკულტურად მგრძნობელი პედაგოგიური ხედვის დანერგვისათვის მზაობას, რაც დამოკიდებულებებსა და მოლოდინებში, სასწავლო გარემოში არსებულ კულტურულ გარემოში, კურიკულუმის კულტურულ მრავალფეროვნებაში და სწავლების შესაბამის სტრატეგიებში გამოიხატება (Gay, 2010). მეორე მხრივ, მცირეა კვლევით გამყარებული მტკიცებულებები მოსწავლეების ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციების განვითარებისათვის აუცილებელ პროფესიულ მზაობასთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის. 2013 და 2014 წელს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერობების მკვლევრების ჩატარებულმა დაწყებითი კლასების მასწავლებლებისა და მასწავლებლის პროგრამის სტუდენტების ინტერკულტურული მგრძნობელობის კვლევებმა აჩვენა, რომ როგორც მოქმედი, ასევე მომავალი მასწავლებლების უმრავლესობა ეთნოცენტრული ფაზის მესამე, სხვაობათა მინიმიზაციის საფეხურზე იმყოფება (ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., 2013, 2014). 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევრების მიერ განხორციელებული კვლევის დასკვნის მიხედვით, „მასწავლებლების უმრავლესობას არ აქვს ინტერკულტურული განათლების გამოცდილება და ძირითადად, ორიენტირებულნი არიან სკოლის სახელმძღვანელოს შინაარსზე“ (მალაზონია, დ., მაღლაკელიძე, შ., ჭიაბრიშვილი, ნ., გახელაძე, გ., 2017). უახლოესი კვლევები სასკოლო ადმინისტრაციული და პედაგოგიური კადრების ინტერკულტურული ცნობიერებისა და მგრძნობელი პედაგოგიკის განხორციელების შესახებ არ მოგვეპოვება, შესაბამისად, არ გვაქვს ინფორმაცია ICC-ის განვითარების ხედვებსა და სტრატეგიებთან დაკავშირებით სკოლებში. ასევე არ გაგვაჩნია მტკიცებულებები ამ კომპეტენციების განვითარებისათვის, განსაკუთრებით ეფექტური ღონისძიებების შესახებ ქართული კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები აყალიბებენ იმ ღონისძიებების მიმართულებებს, რომლებიც განსაკუთრებული ეფექტურობით ხასიათდება ICC-ის განვითარებისათვის და ეს ეფექტურობა გრძელვადიანი კვლევების მტკიცებულებებით დასტურდება არაერთი ქვეყნის მაგალითზე.

3. მაღალი ხარისხიანი ინტერკულტურული კომპეტენციების მანიფესტაციისთვის

ალვინო ი. ფანტინი თავის წიგნში „ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციები საგანმანათლებლო გაცვლებში: მულტინაციონალური პერსპექტივა“ საუბრობს სტაჟიან და გამოცდილ ორგანიზაციაზე „Experiment in International Living (EIL)“ (ექსპერიმენტი საერთაშორისო ცხოვრებაში). ორგანიზაცია 1932 წელს დაარსდა წევრი ქვეყნების საერთაშორისო ფედერაციის მიერ და მას შემდეგ, გაცვლით პროგრამებს 9 ათწლეულის განმავლობაში ახორციელებს (ფანტინი, 2019). გაცვლითი პროგრამების კვალდაკვალ, ფედერაციამ მრავალწლიანი კვლევის გეგმაც დაამტკიცა, რომელიც სწავლობს ICC-ს ბუნებას და შემადგენელ კომპონენტებს, იმისათვის, რომ გაიგოს, რამდენად სიღრმისეულად ვითარდება ICC პროგრამების მონაწილეებს შორის და იკვლიოს ის გავლენა, რომელსაც ICC ახდენს ამ ადამიანების ცხოვრების მომდევნო ეტაპზე. კვლევა ეფუძნება იმ აქსიომას, რომ დღევანდელი სწრაფი გლობალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, ICC სასიცოცხლოდ აუცილებელია ინდივიდების თავდაპირველი მსოფლმხედველობის გაფართოებისათვის და მსოფლიოს ახალი, განსხვავებული პერსპექტივების აღქმისათვის. კვლევის ფოკუსი გულისხმობდა იმ კავშირების დანახვას, რომელიც არსებობს ენას, კულტურასა და მსოფლმხედველობას, ასევე იმ ფუნდამენტურ მცნებებს შორის, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ICC-ს განვითარებისათვის და ინტერკულტურული გამოცდილებისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა ის პროგრამები, რომლებიც მონაწილეების მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას ითვალისწინებდა. რადგან „... ოჯახურ კონტექსტში უკეთ ხდება შესაძლებელი სხვა კულტურის ადამიანების შეცნობა ოჯახის სხვადასხვა წევრთან მჭიდრო ურთიერთკავშირებიდან გამომდინარე“ (Watt, 1967, 111-118). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც „მასპინძელ“ ოჯახებში მონაწილეების განთავსებას უკავშირდებოდა, გულისხმობდა მსგავსი მისწრაფებების მქონე ადამიანების პოვნას სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა კულტურაში, რაც დიდი ძალისხმევის გაწევის მიუხედავად, პროგრამების მნინშვნელობისა და ღირებულების კიდევ ერთ შტრიხად განიხილება. საგულისხმოა ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც გაცვლითი პროგრამების განხორციელების აუცილებელ კომპონენტებად ჩამოყალიბდა. ესენია: 1. ინტერკულტურული ორიენტაცია მონაწილეებისათვის პროგრამის დასაწყისში; 2. მასპინძელი ქვეყნის / რეგიონის ენის (მინ. საწყისების) ათვისება; 3. მცირე ჯგუფებად მგზავრობა გამოცდილი ლიდერის ხელმძღვანელობით, რომელიც ადგილობრივი კულტურისა და მასპინძელი თემის წარმომადგენელი არის; 4. საცხოვრისი ადგილობრივ ოჯახში, მცირე თემის წიაღში; 5. მასპინძელ ქვეყანაში პროაქტიური მუშაობა სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის; 6. კულტურული ინტერვენციები ჯგუფის ადგილობრივი ხელმძღვანელების ორგანიზებით; 7. რეფლექსიები, დისკუსიების და გამოცდილების შეფასება; 8. პროგრამის დასრულების შემდგომ კონტაქტების შენარჩუნება და პროგრამაგავლილი პირების (Alumni) ჩართულობის უზრუნველყოფა. სხვადასხვა პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, საბაზისო კომპონენტები სახეცვლილებას განიცდიდა და ახალ თვისებებს იძენდა, რაც მეტწილად პროგრამის ფოკუსთან იყო დაკავშირებული (მაგ. ხელოვნება, ისტორია, სოციალური სამართლიანობა და ა.შ.). პროგრამები უფრო და უფრო მეტად მდიდრდებოდა ისეთი აქტივობებით და ღონისძიებებით, როგორიცაა ექსკურსიები და საველე კვლევები, სათემო სერვის-პროგრამები, სხვადასხვა სკოლების ორგანიზება და ა.შ.). თუმცა, ზოგად პრინციპად ყველა შემთხვევაში რჩებოდა ადგილობრივ კულტურასთან უშუალო, ინტენსიური შემხებლობა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩენილი მეგობრობა და ინტერკულტურული ცნობიერების წახალისება.

ICC მანვითარების პერსპექტივიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაცვლით პროგრამებს, რომლებიც ფორმალური განათლების კონტექსტში ორგანიზდება.

ICC-ის განვითარების პერსპექტივიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაცვლით პროგრამებს, რომლებიც ფორმალური განათლების კონტექსტში ორგანიზდება. სასკოლო საზოგადოების გაცვლითი პროგრამების შესახებ არსებული ლიტერატურა დიდ აქცენტს აკეთებს პროგრამების ინტერკულტურული და ლინგვისტური მიზნების გადაწყვეტაზე. ამავდროულად, ამ ტიპის პროგრამების მთავარი ფასეულობა ისიცაა, რომ ფორმალური განათლებისათვის დამახასიათებელი დიდი წილი სავალდებულო ხასიათისგან განსხვავებით, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ინდივიდებისა და ინსტიტუციების თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული და მათ მზაობასა და მოტივაციაზე არის სრულად დაფუძნებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა არ არის სავალდებულო აქტივობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის ფორმალური განათლების ნაწილია. მასში მონაწილეობა კი, მოითხოვს იმ სიკეთეების პროექციის უნარს და მაღალ ცნობიერებას, რაც გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება მონაწილეს.

საგულისხმოა, რომ არსებული აკადემიური ლიტერატურის უდიდესი ნაწილი რეგიონულ და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე აკეთებს მთავარ აქცენტს. ეს პროგრამები სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრზე – მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე, სასკოლო ადმინისტრაციაზე ან რამდენიმე ჯგუფზე ერთად არის ფოკუსირებული. ამასთან, პროგრამის მიზანს ყოველთვის არ წარმოადგენს მიღებული სარგებლის ზუსტად თანაბრად გადანაწილება პროგრამაში ჩართულ მხარეებს შორის, არამედ სარგებლის მიღება იმ მოცულობით, რამდენიც ესაჭიროება თითოეულ მხარეს. პროგრამის ხედვებიდან გამომდინარე, მხარეების საჭიროების შესწავლა, პროგრამის დაწყებამდე იწყება. შესაბამისად, შემუშავდება პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელი კრიტერიუმები და დგინდება მონაწილეობის მსურველთა შესაბამისობა დასახულ ამოცანებთან.

მზარდი რაოდენობის პროგრამების საერთაშორისო პრაქტიკიდან, მრავალი საინტერესო მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო მაგალითია ქალაქ მონრეალის გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ფრანგულენოვანი მოსწავლეები ემიგრანტ, ფრანგულის, როგორც მეორე ენის მატარებელ მოსწავლეებთან ერთად, ქალაქის ინტერკულტურულ დარუკებაში (ე.წ. მაპინგი) ჩაერთვნენ. ფრანგულენოვანი და ემიგრანტი მოსწავლეების ჯგუფებმა მოიძიეს ინტერკულტურული მრავალფეროვნების ვიზუალური და ტექსტური მტკიცებულებები მონრეალის კულტურათაშორისი კომუნიკაციის და ვიზუალური ეთნოგრაფიის არტეფაქტებში. ამასთან, ფრანგულენოვანი კვებეკელები მრავალფეროვნების არსებობას საჯარო სივრცეში განიხილავდნენ ფრანგული კულტურის დაცვის პერსპექტივიდან. თუმცა, ემიგრანტმა მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს მულტიკულტურული კომუნიკაციის უხვ შესაძლებლობებზე, რომელიც ურბანულ სივრცეში მშვიდობიანი თანაცხოვრების

პირობებში ვითარდებოდა. ერთობლივი პროექტი სასარგებლო აღმოჩნდა ორივე ჯგუფისათვის. ქალაქში არსებული ინტერკულტურული მარკერების შესწავლის გარდა, ურთიერთგაცვლა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობისა და მონრეალის ურბანული ლანდშაფტის ენობრივი მრავალფეროვნების შესახებ არსებული შეხედულებების შეჯერებისათვის. გაცვლამ ხელი შეუწყო კულტურათაშორისი ურთიერთობების ფუნქციურ განვითარებას, სადაც გაცვლა არა მიზანი, არამედ საშუალება გახდა საკუთარი კულტურისა და ამ კულტურაში პოზიციონირების შეცნობისათვის (Montgomery and Deraîche, 2022).

ასევე საინტერესოა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამთავრობო ინიციატივა, რომელიც სკოლებს შორის გაცვლითი პროგრამების განხორციელებას გულისხმობს სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბებისა და სკოლების რეორგანიზაციის ფარგლებში. გაცვლითი პროგრამის მიზანია „სწავლის შედეგების გაუმჯობესება და სოციალური ერთიანობის დამკვიდრება მოსწავლეების განვითარების ჰოლისტური მიდგომების გამოყენებით, რაც კულტურული გაცვლებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნით არის შესაძლებელი. გაცვლითი პროგრამები ხელს უწყობს, როგორც გამოცდილებისა და ექსპერტიზის, ისევე, რესურსების გაცვლას საქალაქო და სასოფლო სკოლებს შორის“. გაცვლითი პროგრამა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სკოლებს შორის ხორციელდება და რესურსებით მდიდარ სკოლებს ქვეყნის ღარიბ სკოლებთან აერთიანებს. პროგრამის მიზანია აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება და სკოლების წახალისება ინფრასტრუქტურისა და უნარების გაზიარებისათვის სასკოლო ლიდერობისა და მართვის საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით. ორი დირექტორის გაზიარებული მართვის პროცესი გამიზნულია ორივე სკოლაში აკადემიური მოსწრების ოპტიმალური ხარისხის მიღწევაზე და ახალი, რასობრივი თანასწორობისგან თავისუფალი საგანმანათლებლო სისტემის შექმნაზე (OPSE, 2018). ამ ტიპის პროგრამას ახორციელებს ინდოეთის მთავრობაც, რომლის ფოკუსი სახელმწიფო და კერძო სკოლების საზოგადოებას, კერძოდ კი, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და უკეთესო სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანს ემსახურება. „პროგრამის მიზანია სწავლის ახალი განზომილებების მოძიება, რომელიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას უკეთ გაიაზრონ და პატივი სცენ კულტურულ განსხვავებებს და შესაბამისად დაეხმარება მათ ჩამოყალიბდნენ შემოქმედებით, ერთგულ, დისციპლინირებულ და პროდუქტიულ მოქალაქეებად“ (teachersbadi, 2023).

საქართველოში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის განხორციელებული გაცვლითი პროგრამების ეროვნული, საინტერესო მაგალითებიც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამების მასშტაბი არ არის დიდი, მისი მასშტაბი წლების განმავლობაში არ გაზრდილა და მეტიც, მოსწავლეების გაცვლითი პროგრამა საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის დასრულებისთანავე შეწყდა, ის ემპირიული მტკიცებულებები და დაკვირვებები, რომლებიც პროექტის ისტორიულ მახსოვრობაზეა დაფუძნებული, კარგად მეტყველებს პროგრამების პოზიტიურ გავლენებზე.

პროექტი „არგონავტები“ 2008-2013 წლამდე პერიოდში ხორციელდებოდა ევროპის ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის ფინანსური მხარდაჭერით და ქართული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის კოორდინაციით. პროექტის ფარგლებში, საბაზისო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, განხორციელების პირველ წლებში, სომხურენოვანი მოსწავლეები სამცხე-ჯავახეთიდან, ხოლო მოგვიანებით კი, აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები ქვემო ქართლიდან, ერთ სემესტრს ატარებდნენ მთიანი აჭარის სოფლებში, მასპინძელ ოჯახებში და სწავლობდნენ ადგილობრივ სკოლაში ქართულენოვან მოს-

წავლეებთან ერთად. პროექტი მიზნად ისახავდა გაცვლით პროგრამაში მონაწილე სომხურენოვანი მოსწავ-ლეების სახელმწიფო ენის ფლობის გაუმჯობესებას. თუმცა, განხორციელების პირველივე წელს, შედეგების გათვალისწინებით, მიზანი გაფართოვდა და დამატებით ამოცანად ადგილობრივ თემთან ინტეგრაცია და ქართული სოციო-კულტურული ცხოვრების უკეთ შეცნობა განისაზღვრა. პროექტის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენდა მასპინძელი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის საქართველოს ეთნიკურ-კულტურული ჯგუფების, მათი კულტურისა და ტრადიციების გაცნობა, და შესაბამისად, სოლიდარობისა და ტოლერანტობის გაძლიერებით, ინტეგრაციისათვის მზაობის უზრუნველყოფა. პროექტის განხორციელების 5 წლის განმავლობაში, გაცვლით პროგრამაში 135 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეების გაცვლითი პროექტის შედეგების აკადემიური კვლევა არ განხორციელებულა, პროექტის მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტაციაზე დაფუძნებით, ირკვევა, რომ თითოეული ინდივიდუალური მონაწილის შემთხვევა, პროექტის დასრულების შემდგომ მიღე-ბული უკუკავშირი ორივე — „მასპინძელი" სასკოლო თემისა და „სტუმარი" მოსწავლის შემთხვევაში ძალიან პოზიტიური იყო. ამასთან, გრძელვადიან პერსპექტივაში, ორი მნიშვნელოვანი გავლენა დაფიქსირდა: 1. უმრავლეს შემთხვევაში, „მასპინძელ" თემის სასკოლო საზოგადოებას, ან მინიმუმ „მასპინძელ" ოჯახსა და „სტუმარი" მოსწავლის სკოლას ან ოჯახს შორის კავშირები გაგრძელდა მომდევნო წლების განმავლობაში. 2. მოსწავლეები, რომლებიც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობდნენ, აქტიურად და წარმატებით იყვნენ ჩართულები საგანმანათლებლო თუ პროფესიული განვითარების პროგრამაში, რომელიც სახელმწიფო უწყების თუ სხვადასხვა არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და სახელმწიფო ენის გაძლიერების მიმართულებით. გაცვლით პროგრამაში მონაწილე მოს-წავლეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწავლა განაგრძო საქართველოს უნივერსიტეტებში. ამასთან, გაცვლით პროგრამაში მონაწილე მოსწავლეები სხვა კანდიდატებთან შედარებით, სახელმწიფო ენის უფრო მაღალ კომპეტენციებს და საკითხების მიმართ განსაკუთრებით კრიტიკულ დამოკიდებულებას ავლენდნენ.

იმავე დონორის ფინანსური მხარდაჭერით, 2013 წლიდან, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნე-ბათშორისი ურთიერთობების ცენტრი ახორციელებს მასწავლებლების გაცვლით პროგრამას, რომლის ფარგლებში, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლის დაწყებითი განათლების და სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთ თვეს ატარებენ ქართულენოვან მასპინძელ სკოლებში და ცხოვრობენ ად-გილობრივი მასწავლებლის ოჯახში. პროექტი ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების მასწავლებლების მიერ სახელმწიფო ენის პრაქტიკულ ათვისებას ავთენტურ კონტექსტში, თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და მიდგომების სწავლას და ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების მექანიზმების დაკვირვებას ქართულენოვანი კოლეგების მხარდაჭერის საშუალებით. მეორე მხრივ, პროგრამის მიზანია, ქართულენოვან თემებში ეთნიკური ჯგუფების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი სოციო-კულტური პოზიციონირების, თავისებურებებისა და ტრადიციების მიმართ ინტერესის გაღვივება, რაც ICC-ს აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მასწავლებლების მივლინება მასპინძელ სკოლებში, პროფესიული განვითარების აქტივობას წარმოადგენს და შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებლების საქმიანობის ნაწილად მოიაზრება, რაც გულისხმობს იმას, რომ მასპინძელ სკოლაში მივლინების პერიოდში, საკუთარ სკოლაში მასწავლებელს ხელფასი არ ექვითება. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ძირითადი მიზნები მივლინებული მასწავლებლის და მასპინძელი სკოლებისათვის ნათელია, მასპინძელი სკოლები ინდივიდუალურ გეგმებს ადგენენ სტუმარი მასწავლებლებისათვის, რომლებიც აკადემიური მხარდაჭერის და კლასგარეშე აქტივო-

ბების, არაფორმალური გარემოს შემუშავების ფორმებითა და ინტენსივობით განსხვავდება. ერთი ან რამდენიმე მასწავლებელი სტუმარი მასწავლებლის მეწყვილედ/კრიტიკულ კოლეგად გვევლინება. ამ შემთხვევაშიც, პროექტში ჩართული მასწავლებლების კმაყოფილება ყოველ წელს ძალიან მაღალია და უკუკავშირში ცალსახად არის მითითებული ის უნიკალური და განუმეორებელი გამოცდილება, რაც ფიზიკური ჩართულობისა და პირისპირ ინტერაქციის შესაძლებლობებთან ასოცირდება პროგრამაში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უკუკავშირის ფორმაში არ არის ხაზგასმული მასწავლებლების კულტურული გამოცდილების შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება, პრაქტიკულად ყველა მონაწილე აღნიშნავს იმ გამოცდილებას, რომელიც მასპინძელ ოჯახში ცხოვრებისა და ადგილობრივ სასკოლო თემთან ინტერაქციის შედეგად მიიღო. მასპინძელი სკოლების კმაყოფილებას პროგრამით კარგად ასახავს მონაწილე სკოლების მზაობა, უანგაროდ, საკუთარი ხარჯებით მიიღონ სტუმარი მასწავლებლები და ამგვარად შეუწყონ ხელი კულტურათა გაცვლას პროფესიული გამოცდილების გაზიარების პარალელურად.

> პოზიტიურ გამოცდილებასთან ერთად, გაცვლითი პროგრამების პრაქტიკა საქართველოს სკოლებში გამოწვევებთანაც არის დაკავშირებული; კერძოდ, მიუხედავად გაცვლითი პროგრამის პოზიტიური შედეგის სრულად გაცნობიერების და აღიარებისა, ცენტრალიზებული სისტემის პირობებში, სკოლის დირექტორები ვერ წყვეტენ დამოუკიდებლად გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს. შესაბამისად, პროგრამის შეზღუდული დაფარვა და დონორზე სრული ფინანსური დამოკიდებულება, იმ პროგრამების კონკრეტული ფოკუსი და მოკლე ვადები, რომლის ფარგლებშიც გაცვლითი პროგრამები ხორციელდება, არ იძლევა საშუალებას სკოლებშორის გაცვლითი აქტივობების ახალი მოდელები გამოიცადოს და მათი ეფექტი საფუძვლიანად იქნეს გამოკვლეული, რაც საინტერესო იქნებოდა არა მხოლოდ განათლების ეროვნული სისტემის გამთლიანებისა და ყველა ტიპის სკოლის საჭიროებების აქცენტირებისათვის მიუხედავად ადგილმდებარეობის თუ სწავლების ენისა, არამედ მნიშვნელოვანი პრაქტიკული მაგალითი გახდებოდა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ფართო განხილვისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alison MacKenzie, Penny Enslin, Nicki Hedge, Education for global citizenship in Scotland: Reciprocal partnership or politics of benevolence?, International Journal of Educational Research, Volume 77, 2016, Pages 128-135, ISSN 0883-0355, https://doi.org/10.1016/j.ijer.2016.03.007.
2. Elena Camino (1996) I Have a Friend on the Other Side of the Earth: twinning classes from different cultures to introduce environmental and development education, Environmental Education Research, 2:3, 331-344, DOI: 10.1080/1350462960020305.
3. Fantini, A.E (2019), Intercultural Communicative Competence in Educational Exchange A Multinational Perspective, Routledge.
4. García-Pérez, G.M., Rojas-Primus, C., (2017), Promoting Intercultural Communication Competencies in Higher Education, IGI Global.
5. Gorgadze, N., (2016), Rethinking Integration Policy – Dual Ethnic and Cultural Identity, Multilingual Education Volume 8, 2016, pages. 6-31, https://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/161013122410.pdf
6. Graddol, D. (2007). English next: Why global English may mean the end of "English as a foreign language". London: British Council. Retrieved February 10, 2016, from: http://englishagenda.britishcouncil.org/sites/ec/files/books-english-next.pdf.
7. Montgomery, C., and Deraîche, M., Intercultural Mapping in an Urban Cityscape (2022), in: Intercultural Twinnings: A Commitment for a Pluralistic Society, Chapter 8, Brill, 2022.
8. მალაზონია, დ. მაღლაკელიძე, შ. ჭიაბრიშვილი, ნ. გახელაძე, გ., (2017), ინტერკულტურული განათლება: პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/04/interkulturuli-ganathleba.pdf
9. O'Dowd, R., Dooly, M., (2022), Exploring teachers' professional development through participation in virtual Exchange, ReCALL (2022), 34: 1, 21–36 doi:10.1017/S0958344021000215.
10. Observatory of Public Sector Innovation (OBSI, 2018), The Twinning of Schools Programme. Available at: https://oecd-opsi.org/innovations/the-twinning-of-schools-programme/
11. Richard Albardiaz MA MB BChir FRCGP, Richard Stokell MB ChB DRCOG MRCGP PGCTLCP & Jennifer Gavriel BSc ARCS MA PGCE (2014) Teaching exchange, Education for Primary Care, 25:3, 164-170, DOI: 10.1080/14739879.2014.11494268
12. საერთაშორისო გამჭვირვალობა (2022), საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა, https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-ruset-ukrainis-omis-gavlena-0.
13. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR), 2014, ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2014, https://cciir.ge/images/pdf/interkulturuli%20umaglesebshi.pdf
14. Sheila D. Rose (1989) Cultural studies and multiculturalism: An experiment in classroom twinning, Language, Culture and Curriculum, 2:2, 117-133, DOI:10.1080/07908318909525060
15. Spitzberg, B., & Changnon, G. (2009). Conceptualizing multicultural competence. In D. Deardorff (Ed.), Handbook of intercultural competence (pp. 2–52). Thousand Oaks, CA: SAGE
16. ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე, კვლევის ანგარიში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი, 2013, https://cciir.ge/images/pdf/interkulturuli%20skolebshi.pdf
17. Teachersbadi (2023), Twinning Programme 2023 to benefit government school students, https://teachersbadi.in/partnership-among-schools-twinning-of-schools-programme-objectives-guidelines/
18. Torres, C. A. (2017b). Theoretical and empirical foundations of critical global citizenship education. New York, NY: Routledge
19. Torres, C.A. (2017a). Global citizenship education: Taking it local. Lecture at Seoul Metropolitan Office of Education (SMOE), Seoul International Education Forum (SIEF) "Glocal Seoul Education: To Foster Global Citizens", October 19.
20. Torres, C.A., Bosio, E. Global citizenship education at the crossroads: Globalization, global commons, common good, and critical consciousness. Prospects 48, 99–113 (2020). https://doi.org/10.1007/s11125-019-09458-w
21. Torres, C.A., Bosio, E. Global citizenship education at the crossroads: Globalization, global commons, common good, and critical consciousness. Prospects 48, 99–113 (2020). https://doi.org/10.1007/s11125-019-09458-w
22. UNESCO (2014). Global citizenship education: Preparing learners for the challenges of the 21st century. http://unesdoc.unesco.org/images/0022/002277/227729E.pdf.
23. University of Minnesota (2013), Communication in the Real World: An Introduction to Communication Studies, University of Minnesota Libraries Publishing

ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲑᲔᲥᲐ ᲕᲘᲜᲪᲔᲜᲢᲘ
სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი

დასასრული

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების დაცვას

- **ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.**
- **ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.**
- **დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.**

> **დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.**

ასევე კონსტიტუციის მე - 11 მუხლი თანასწორობის უფლების შესახებ გვეუბნება, რომ

- **ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.**

რა სხვაობაა რწმენასა და აღმსარებლობას (რელიგიას) შორის, რატომ არიან ისინი კონსტიტუციაში ცალ-ცალკე ნახსენები?

რა არის სვეტა, ხელიმძღვანელი და სინდისი?

რწმენაში იგულისხმება უფრო ფართო და ინტენსიური, ანუ შინაგანი ხასიათის მოვლენა, რომელიც, შესაძლოა, სულაც არ იყოს რელიგიით განსაზღვრული. ასე, მაგალითად, არსებობს რწმენა სიკეთისადმი ან ადამიანის შესაძლებლობებისადმი. ამავდროულად, რწმენა უფრო ფსიქოლოგიურ და ცნობიერ მიმართებას გულისხმობს რწმენის ობიექტისადმი. ვთქვათ, ადამიანი არარელიგიურია, არ აღიარებს ამა თუ იმ რელიგიას, მაგრამ სწამს, რომ სამყაროს ბედისწერა განაგებს, ან პირიქით, არაფერი ზემატერიალური არ სწამს – და ესეც რწმენის გამოვლინებად მიიჩნევა.

რელიგიად ამ შემთხვევაში სარწმუნოებრივი მიმართების ორგანიზებული ფორმა მოიაზრება, მთელი თავისი თეოლოგიური, ეთიკური, რიტუალური, სპირიტუალური, კულტურული და სოციალური სისტემებით. ასე, მაგალითად, ქრისტიანული რელიგია, ანუ აღმსარებლობა, თავის თავში მოიცავს საეკლესიო ინსტიტუციების მრავალ განშტოებას, მრავალფეროვანი საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკას, სადღესასწაულო ციკლს, დოგმატებს, ეგზეგეტიკას და აშ. თავად სიტყვა „რელიგია“, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ეტიმოლოგიურად ლათინურ „religiare“ -ს უკავშირდება, რაც შეკვრას, ურთიერთკავშირს ნიშნავს, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამ სიტყვის სემანტიკა „წმიდას“ „საკრალურს“ მიემართება.

რაც შეეხება **სინდისს**, – სინდისის თავისუფლება გულისხმობს ისეთ რამეს, რაც ასევე შესაძლოა საერთოდ არ იყოს დაკავშირებული თეისტურ ან დეისტურ რწმენასა და წარმოდგენებთან, რელიგიასთან და მაგალითად, სამსახურებრივ პატიოსნებას გულისხმობდეს, ან შეხედულებას ნებისმიერი საკითხისა და მოვლენის შესახებ, გულისხმობდეს ამ შეხედულებათა ერთგულებას. საბჭოთა კავშირში დისიდენტ პატიმრებს სინდისის პატიმრებს უწოდებდნენ, რადგან ისინი თავიანთი ანტისაბჭოური, ანტიკომუნისტური შეხედულებების ანუ სინდისის ერთგულნი იყვნენ და ამ შეხედულებების გამო იდევნებოდნენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის 48-ე სესიაზე მიღებული ზოგადი განმარტების თანახმად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-18 მუხლი ყველა სახის რწმენას მოიცავს და არ არის შეზღუდული რომელიმე დადგენილი კლასიფიკაციით. კომიტეტის განმარტების თანახმად, აუცილებელია ტერმინებისთვის – „რწმენა“ და „რელიგია“ – ფართო მნიშვნელობის მინიჭება, ისინი ნებისმიერი რელიგიის, რწმენის ან აზრის თავისუფლებას გულისხმობენ. ეს განმარტება ასევე მიანიშნებს, რომ უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს რომელიმე რელიგიას ან/და რწმენას მისი არსებობის ხანგრძლივობის, ისტორიულობის, მიმდევართა სიმრავლის, სარიტუალო სისტემის თუ სხვა რაიმე ნიშანთვისების გამო.

კიდევ ერთი საკითხი: სახელწოდებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებულ ტრადიციებს, პრაქტიკასა და იდენტობებს, თეოლოგიურ შინაარსებს იცავს. თუმცა, ეს დამოკიდებულება მცდარია. რელიგიის თავისუფლება იცავს არა აბსტრაქტულ ცნებებსა და რწმენას, არამედ ადამიანებს ან გაერთიანებებს, რომლებიც გამსჭვალული არიან რაიმე სახის რწმენით ან აღიარებენ ამა თუ იმ რელიგიას.

სახელმწიფო ვალდებულია ყველასთვის უზრუნველყოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით სარგებლობა – როგორც მოქალაქეების, ისე არამოქალაქეებისთვის, ვინაიდან რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ადამიანის (და არამარტო მოქალაქის) ფუნდამენტური უფლებაა. სახელმწიფო თავად არ უნდა ჩაერიოს ამ უფლების თავისუფლად განხორციელებაში, მაგრამ უნდა ჩაერიოს მაშინ, თუკი სახელმწიფო,

საჯარო ან კერძო დაწესებულების, ადამიანთა ჯგუფის ან პიროვნების მხრიდან რელიგიის ან სხვა მრწამსის საფუძველზე დევნისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდება ვინმე.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მოიცავს როგორც თეისტურ, დეისტურ და ათეისტურ, ასევე **აგნოსტიკურ** შეხედულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანი არ აღიარებს მიღმური, ტრანსცედენტური სამყაროს შემეცნებისა და წვდომის შესაძლებლობას, იგი მოიცავს აგრეთვე **სკეპტიციზმს**,—აქ იგულისხმება, რომ ადამიანი სკეპსისით, ყოყმანითა და ეჭვითაა გამსჭვალული იმისადმი, რაც გონებისა და ბუნებისმიღმურია.

სეკულარულობა და მიუკერძოებლობა

რელიგიის თავისუფლება დაცული რომ იყოს, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დაიცვას მიუკერძოებლობა ნებისმიერი ადამიანისადმი, მიუხედავად მისი რწმენისა ან/და რელიგიური კუთვნილებისა. დემოკრატიულ სახელმწიფოებში სახელმწიფო გამიჯნულია რელიგიისგან, ან მიუკერძოებელი, ნეიტრალურია რელიგიასთან მიმართებით.

სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის სხვადასხვა ფორმა, საბოლოო ჯამში, სეკულარული ურთიერთმიმართების ორ მოდელამდე დაიყვანება: ერთი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ დამოკიდებულებას რელიგიის გამოვლინებებისადმი არამარტო სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ, საჯარო სივრცეებშიც, მაგალითად, ნიქაბით ან ბურქით, მუსლიმ ქალთა სამოსით, საჯარო სივრცეში ყოფნის აკრძალვას.

ხოლო მეორე მიდგომა გულისხმობს, როგორც ამერიკელები ხუმრობენ, რელიგიასა და სახელმწიფოს შორის „გამყოფ კედელში დატანილი ჭუჭრუტანების“ დაშვებას. გამყოფი კედლის ამ მოდელს ამერიკული შეგვიძლია ვუწოდოთ, რაკი იგი მოიცავს თავისუფალ საჯარო სივრცეს რელიგიისთვის, რელიგიური აქტივობისთვის, მაგრამ სახელმწიფოს მიერ რელიგიის მხარდაჭერის მკაცრი შეზღუდვის ფონზე: არანაირი წინააღმდეგობა რელიგიას და არანაირი მხარდაჭერა რელიგიას — ესაა ამ მოდელის განმსაზღვრელი თავისებურება.

შინაგანი და მაკრო

რელიგიის თავისუფლება ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს: ადამიანის შინაგან რწმენასა (forum internum) და სხვადასხვა სახით მის გარე გამოვლენას (forum externum).

ადამიანის შინაგანი რწმენა მისი თავისუფლების, იდენტობის, თვითშეგნების ნაწილია და ამდენად არის სრულიად ხელშეუვალი. ამ თვალსაზრისით, შინაგანი რწმენის თავისუფლება აბსოლუტურია, ანუ სახელმწიფო მას ვერანაირი ფორმით ვერ შეზღუდავს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი შეზღუდვის შესაძლებლობას იგი სრულიად მოკლებულია. ასე მაგალითად, ადამიანმა, რელიგიური დევნის პირობებში, დიდი ზეწოლის შედეგად, ვთქვათ, გარეგნულად უარი თქვა თავის აღმსარებლობაზე, უარყო იგი, მაგრამ ამის მიუხედავად, ის შინაგანად თუ არ შეიცვლის და უარყოფს საკუთარ რწმენას, მაინც იმ იდეალების მატარებლად დარჩება, რომლებიც ცნობიერად აქვს მიღებული და აღირებული. საბჭოთა რეპრესიების დროს ბევრმა დეკლარირებულად უარყო სარწმუნოება, მაგრამ შინაგანად ქრისტიანად, ბუდისტად, მუსლიმად დარჩა.

> თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ამა თუ იმ რელიგიურ გაერთიანებას საკულტო ნაგებობის მშენებლობის გაცემაზე უარს ეტყვის და ამის საფუძველი სხვა რელიგიური ჯგუფის მხრიდან არსებული წინააღმდეგობაა, მოცემული ქმედება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვად ჩაითვლება.

რწმენის გარეგანი გამოხატვის ფორმებია:

- რწმენისა თუ კონფესიური კუთვნილების საჯაროდ გაცხადება/აღიარება;
- რიტუალების ჩატარება და/ან მონაწილეობა;
- თავისუფალი შეკრება პირად თუ საჯარო სივრცეში;
- სხვადასხვა სახის წეს-ჩვეულების აღსრულება;
- რელიგიური სამოსისა და ატრიბუტიკის ტარება;
- რელიგიის თავისუფლად გავრცელება, ქადაგება;
- რელიგიური ლიტერატურის შექმნა/გავრცელება;
- რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნება და რეგისტრაცია;
- საკულტო ნაგებობების მშენებლობა და ა.შ.
- სასულიერო იერარქიის დამოუკიდებლად შექმნა და იერარქთა არჩევა;
- სამხედრო სამსახურისთვის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გაწევა რელიგიური პაციფისტური მრწამსის საფუძველზე.

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის პირობები

მთლიანობაში, რელიგიის თავისუფლება არ განეკუთვნება ე.წ. აბსოლუტურ უფლებებს ანუ მისი გარე გამოვლინებები სახელმწიფოს მიერ, როგორც ითქვა, შეიძლება ცალკეული წინაპირობების საფუძველზე შეიზღუდოს. აღნიშნული შეზღუდვები მკაცრად განსაზღვრულია რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებითა და ადგილობრივი კანონმდებლობით. ბევრი სხვა უფლებისგან განსხვავებით, შეზღუდვა დაუშვებელია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც კი.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლებია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვა. ამასთანავე, შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მაგალითად, თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ამა თუ იმ რელიგიურ გაერთიანებას საკულტო ნაგებობის მშენებლობის გაცემაზე უარს ეტყვის და ამის საფუძველი სხვა რელიგიური ჯგუფის მხრიდან არსებული წინააღმდეგობაა, მოცემული ქმედება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვად ჩაითვლება (TDI. რელიგიის თავისუფლების გზამკვლევი).

შეზღუდვისთვის გამოყენებული ზომა უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მისაღწევი მიზნის პროპორციული. ასე მაგალითად, კოვიდ-19 პანდემიის დროს სა-

ხელმწიფომ რელიგიურ ჯგუფებს დროებით ფიზიკურ სივრცეში მასობრივი შეკრება შეუზღუდა. ამგვარ შეზღუდვას ლეგიტიმური მიზანი ამართლებდა: პანდემიისგან დაცვა, ანუ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, ვნახოთ, გავრცელდება თუ არა შეზღუდვა თანაბრად ყველაზე? ხომ არ იყო სახელმწიფო დისკრიმინაციული? ზოგიერთ რელიგიურ გაერთიანებას აუკრძალეს შეკრება, სხვისთვის კი გამონაკლისი დაუშვეს. ეს დისკრიმინაციის აშკარა გამოვლინება იყო. მნიშვნელოვანია ასევე ვიცოდეთ, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძვლის მიხედვით დაუშვებელია.

ზოგჯერ სახელმწიფო გაუმართლებლად ზღუდავს რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას. მაგალითად, ზოგან, უმცირესობათა დასასჯელად „ექსტრემიზმის კანონი“ გამოიყენება; ზოგ ქვეყანაში იკრძალება არარეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები; ზოგჯერ სახელმწიფო ხელს უშლის რელიგიური ნაგებობების მშენებლობას, არ ითვალისწინებს იმას, რომ ყველამ შეძლოს რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნა და საგანგებოდ დისკრიმინაციულ გარემოს ქმნის. რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით არ არის დაცული სხვათა უფლებების დარღვევა, მათ შორის, ძალადობა რელიგიის სახელით, ადამიანების დევნა ან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. (TDI, რელიგიის თავისუფლების გზამკვლევი).

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ხარისხი ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მთავარი საზომია.

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

როგორ შეიძლება დავიცვათ რელიგიის თავისუფლება და თანასწორობის პრინციპი საჯარო სკოლაში? საქართველოს კონსტიტუციით ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი შინაარსისა და ფორმის არჩევის უფლება. ამდენად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საჯარო სკოლა თავისუფალი უნდა იყოს რელიგიური გავლენისგან და დაცული იყოს მოსწავლის რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, მათ შორის ათეისტური შეხედულებები. სახელმწიფო, ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, უზრუნველყოფს:

- **საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან (მე-3, გ მუხლი)**

> „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საჯარო სკოლა თავისუფალი უნდა იყოს რელიგიური გავლენისგან და დაცული იყოს მოსწავლის რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, მათ შორის ათეისტური შეხედულებები.

კანონის სპეციალური ნორმები მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა რელიგიის თავისუფლების დაცვას ემსახურება. კანონის მე-18 მუხლის მე-2,3 პუნქტების მიხედვით,

- **დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს**

გარდა ამისა, კანონით ასევე აკრძალულია რელიგიური სიმბოლიკის არასასწავლო, ანუ რელიგიური მიზნებისთვის განთავსება, მაგალითად, ხატებით სალოცავის მოწყობა.

- **საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არაакადემიურ მიზნებს (მე-18.3)**

როგორც ვხედავთ, კანონის მოთხოვნა ფაქტობრივად სკოლის ნეიტრალობის, განსხვავებულისადმი თანასწორი მოპყრობისა და საკუთარი და სხვისი რწმენის პატივისცემის გარანტიას ქმნის.

საჯარო სკოლაში რელიგიური ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის დაცვა, ტოლერანტული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ხელშეწყობა არ არის ხელოვნურად თავსმოხვეული თვითმიზანი. ამ მიდგომას გაცილებით უფრო ფართო კონტექსტი განაპირობებს. საქართველო გამოირჩევა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით, განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაარსებობა ჩვენი ქვეყნისთვის არსებობისა და განვითარების ერთგვარი მოდუს ვივენდია. რელიგიური ნეიტრალობის პრინციპის დაცვა საჯარო სკოლებში ამ მხრივ აუცილებლობას წარმოადგენს. საპირისპირო შემთხვევაში, როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, ვიღებთ კონფლიქტებს, დისკრიმინაციას, ძალადობის კერებს, იზოლაციასა და ჩიხში ვემწყვდევით.

ზოგადი განათლების მიზანია, მოქალაქის ცნობიერების განვითარება დაეფუძნოს ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპებს. ამდენად, ამ მიზნიდან გამომდინარე, სკოლა თავისუფალი უნდა იყოს რელიგიური თუ პოლიტიკური გავლენებისგან. ამ თავისუფლებას უზრუნველყოფს ნეიტრალობის პრინციპი ანუ მიუკერძოებელი მიდგომა სხვადასხვა რელიგიისა თუ ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფებისა და მოსწავლეებისადმი, რასაც ზოგადი განათლების კანონის მიხედვით, რამდენიმე სახის აკრძალვა ემსახურება:

საჯარო სკოლაში, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, მე-13 მუხლის საფუძველზე, გარდა არააკადემიური მიზნით რელიგიური სიმბოლოების განთავსების აკრძალვისა, ასევე დაუშვებელია:

- **პროზელიტიზმი** – მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მიერ რელიგიურ შეხედულებების გავრცელება იმ მიზნით, რომ მოსწავლე ერთი აღმსარებლობიდან მეორეზე გადაიყვანონ;
- **ინდოქტრინაცია** – რელიგიური ან პოლიტიკური მოძღვრების გადაცემა, გავრცელება, ქადაგება;
- **დისკრიმინაცია** – რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, კანის ფერის ან სხვა ნიშნებით უთანასწორო მოპყრობა.

ბუნებრივია, კანონის მოცემული მოთხოვნები ასევე იმასაც გულისხმობს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ლოცვით ან რომელიმე რელიგიური რიტუალით არ იწყებოდეს ან სრულდებოდეს. კანონი კრძალავს ისეთ ქმედებებსაც როგორიცაა სანთლის დანთება, ნაკურთხი წყლის პკურება, რელიგიური მიზნებით

რელიგიური ხასიათის ტექსტების კითხვა, კლასისათვის ჯვრის გადასახვა, მოსწავლეთა დასჯის მეთოდად დაჩოქებისა და მეტანიების გამოყენება.

როდესაც პედაგოგი კლასის წინაშე წარმოთქვამს ლოცვას, შესაძლოა ვინმეს დისკრიმინაციას ან შეურაცხყოფას არ ისახავდეს მიზნად, არამედ პირიქით, სურდეს დადებითი განწყობის ან სწავლისადმი ძლიერი მოტივაციის შექმნა. მაგრამ, სკოლაში შესაძლებელია განსხვავებული აღმსარებლობის ან ათეისტური შეხედულებების მქონე მოსწავლეები სწავლობდნენ. რა გასაკვირია, თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს რელიგიასთან დაკავშირებული პირადი შეხედულებები, საოჯახო ტრადიციები ან მიდგომები, ან ჰქონდეს სეკულარული განწყობა – ჩამოშორებული იყოს რელიგიურობის ამა თუ იმ ფორმით გამოხატვას. ამიტომ რიტუალებში მონაწილეობა მოსწავლისთვის შესაძლოა მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემა, მეტისმეტად ტრავმული, ფსიქიკისთვის დამაზიანებელი და სასკოლო გარემოსგან სრულიად გამაუცხოებელი ფაქტორი გამოდგეს.

ერთი მხრივ, მოსწავლემ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დისკრიმინაციული დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის მიზნით გადაწყვიტოს, არ გამოირჩეს სასწავლო გარემოსგან და შინაგანი რწმენის საპირისპიროდ, რიტუალში მონაწილეობას დათანხმდეს. ეს თანხმობა, საბოლოო ჯამში, გაუცხოების რისკს წარმოშობს, მაგრამ გაუცხოებისა და დისკრიმინაციის გარდა, საჯარო სკოლაში რიტუალების შესრულება, ხელს უწყობს ასევე თავად რელიგიისადმი გულგრილი ან უარყოფითი განწყობის გამომუშავებას, ქმნის კონფორმისტული, შემგუებლური, პრინციპებისგან დაცლილი ცნობიერებისა და ქცევითი ხასიათის ჩამოყალიბების წინაპირობებს.

გარდა ამისა, სკოლაში რელიგიური რიტუალების შესრულებით ხშირად ხდება ლოცვისა და ზოგადად რელიგიის პროფანაცია და გაშარჟება, რადგან შესაძლებელია რელიგიურად უცოდინარი ან სრულიად არაადეკვატური ცოდნის მქონე, ლოცვისა და რიტუალების არსში გაურკვეველი პედაგოგების მიერ სრულდებოდეს ისინი. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ასევე რელიგიის ფორმალიზაცია, რელიგიის რიტუალიზაცია, მისი თეოლოგიური შინაარსისგან დაცლა და ზერელე, არაკვალიფიციური რელიგიური ცოდნით დაკმაყოფილება, რაც ისევ და ისევ, რელიგიისგან გაუცხოების, ან პირიქით ფანატიკური დამოკიდებულებების წარმოშობის მიზეზად შეიძლება იქცეს.

ამავდროულად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსწავლე, რომელიც აბსოლუტურად კანონიერად, თავისი შეხედულებების ანდა რწმენის მოთხოვნის მიხედვით მოქმედებს და უარს ამბობს ამა თუ იმ ფორმით რიტუალებში მონაწილეობაზე, ბუნებრივია, შესაძლოა ამ გზით ემიჯნებოდეს, მაგალითად, კლასის უმრავლესობას, სასკოლო გარემოს, პედაგოგისა და ადმინისტრაციის მხრიდან საკითხის დასმას. ამის გამო კი ის გარიყვის, დამცინავი და აგდებული დამოკიდებულების, დისკრიმინაციის ან ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლიც შეიძლება გახდეს. ამ ტიპის არაერთი შემთხვევაა აღწერილი სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და მედიაში. ფსიქოლოგიური ფაქტორების გარდა, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა კლასი შესაძლოა რელიგიურად ერთგვაროვანია, ლოცვის წარმოთქმა და რიტუალებში მონაწილეობა რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის კონსტიტუციურ პრინციპსა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნასთან მოდის აშკარა წინააღმდეგობაში. საჯარო სკოლა არა რელიგიური, არამედ საგანმანათლებლო აკადემიური სივრცეა, ხოლო რელიგიური ქადაგების თუ რიტუალებში მონაწილეობისვთის არსებობს შესაბამისი კონკრეტული რელიგიური სივრცეები: ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგები, სამლოცველოები, აგრეთვე, საკვირაო რელიგიური სკოლები და ასევე, რა თქმა უნდა, ოჯახი.

რა არის ნებადართული მოსწავლისათვის? მნიშვნელოვანია, პედაგოგსა და სასკოლო ადმინისტრაციას ჰქონდეს გათვითცნობიერებული, რომ სასკოლო სივრცეში მხოლოდ ადმინისტრაციასა და პედაგოგს ზღუდავს კანონი რელიგიური გამოხატვისა და აქტივობების შესრულების თვალსაზრისით, ხოლო მოსწავლეები ამ მხრივ თავისუფალნი არიან. მათ შეუძლიათ შექმნან წრეები, მათ შორის, რელიგიური ხასიათისა; აკადემიური პროცესის დასრულების შემდეგ მოიწვიონ სასულიერო პირები, ატარონ რელიგიური წიგნები და სიმბოლოები, ილაპარაკონ საკუთარ აღმსარებლობაზე, შეასრულონ რელიგიური რიტუალები და ა.შ. მაგრამ, ამ პროცესში არანაირი ფორმით არ უნდა ჩაებას ადმინისტრაცია და პედაგოგი. თუმცა, ამავდროულად, მოსწავლის რელიგიური აქტივობა ხელს არ უნდა უშლიდეს საგაკვეთილო პროცესს. გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლე უნდა დაემორჩილოს მასწავლებლის მოთხოვნებს, არ დაიწყოს ხმამაღალი ლოცვა, რომელიმე რელიგიური წიგნის კითხვა, ან მეგობართან რელიგიაზე საუბარი (TDI. ტოლერანტობის გაკვეთილი. 2019).

როგორც ვხედავთ, არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი რეგულაცია მშობელს არ ზღუდავს, შვილი საკუთარი რელიგიური შეხედულებებისა და ტრადიციის შესაბამისად აღზარდოს.

ნელიმიის მაუსალეელეა სკოლამეელოში — ილიოსანელი ისალიია

სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ თანახმად „ შეწყნარება“ არც დათმენაა, არც ატანა, არამედ ესაა ურთიერთობა, რომელშიც თანაყოფნის, თანაარსებობის სიკეთეა მოაზრებული, შეწყნარება ესაა ვინმე რომ „კეთილად ითანიო“.

რელიგიური შემწყნარებლობის „კეთილი“ იდეალები გამჭოლად გასდევს ქართულ პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ ტრადიციას, – რად ღირს ლექსი „ვეფხისა და მოყმისა“, ან დავით აღმაშენებლის ყველასთვის ცნობილი მაგალითები თბილისელ მუსლიმებთან ურთიერთობისა, ან ვეფხისტყაოსნის რელიგიურ - ეთნიკური სიჭრელე, – „გვაქვს უთვალავი ფერითა“, – რომელიც პერსონაჟების პოლიფონიურობისა და თანასწორობის სტრუქტურას იმეორებს. ვაჟა-ფშაველას მიმართება უცხოსადმი, განსხვავებულისადმი, მტრისადმი, რომელიც სწორედ ინდივიდუალური შეწყნარების აქტზე, როგორც სიკეთის გამოვლინებაზეა დაფუძნებული.

„ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოდ ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელით ქშენანი.
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღთიშვილთ უკეთეს იციან..
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!“

ალუდა ქეთელაური

ტოლერანტობასთან ერთად უშუალოდ რელიგიის თავისუფლების, როგორც ფუძემდებლური პრინციპის აღირებაც არ იყო უცხო ქართული სინამდვილისთვის.

მე-19 საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს, რუსეთის იმპერიამ, ოტომანთა თურქეთთან ომის მოგების შემდეგ დადებული ზავით, საქართველოს ისტორიული ნაწილი, აჭარა მიიერთა. წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, როგორ მოქცეოდნენ ეთნიკურად ქართველ მუსლიმებს – რა უნდა ეღონა ამ მხრივ იმპერიას, – დაეწყო ქრისტიანიზაციის პროცესი თუ სარწმუნოებისთვის ხელი არ ეხლოთ. თერგდალეულების თაობამ, წამყვანმა ქართველმა ინტელექტუალებმა ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ ყველანი დაერწმუნებინათ: აუცილებელია რელიგიის თავისუფლების დაცვა. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, სერგი მესხმა, იაკობ გოგებაშვილმა არაერთი წერილი უძღვნეს მუსლიმთა უფლებების საკითხს; ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიაში“ 9 წერილი გამოაქვეყნა მუსლიმთა უფლებების და შემწყნარებლობის პორბ-ლემატიკასთან დაკავშირებით: აი, რას წერდა იგი:

- **„სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო. თვითონ ჩვენი მაღალის და უზენაესის მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო“.**

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილმა სპეციალურად მუსლიმი ბავშვებისთვის დედაენის ადაპტირე-ბული სახელმძღვანელო შექმნა, ხოლო ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით, პირველად ითარგმნა და გამოიცა ყურანი. ამ პერიოდში მუსლიმთა უფლებების დაცვის სადარაჯოზე იდგნენ გამოჩენილი მღვდელმთავრები, ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე და ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, ისინი მუსლიმ მრევლს შეხვდნენ და რწმენის დაცვის საქმეში თანადგომა აღუთქვეს. ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ამ სიტყვებით მიმართა მუსლიმთა დელეგაციას:

- **ძმანო და შვილნო, ქართველო მაჰმადიანებო. ჩემი მიზანი იყო და არის თქვენი მშვიდობა, თქვენი კარ-გად ყოფნა და დაწინაურება. ღმერთმა აკურთხოს თქვენი სამშობლო ქვეყანა, ღმერთმა გააძლიეროს თქვენი ოჯახი და თქვენი სარწმუნოება ისლამი. იყავით კარგად და დამერწმუნეთ, რომ ჩვენ, ქართველი ქრისტიანები, ყოველთვის ვიქნებით თქვენი სარწმუნოების მფარველნი და მადლობელნი.**

რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით იგივე სულისკვეთება აისახა პირველი რეს-პუბლიკის კონსტიტუციაში, რომლის მუხლებით დეკლარირებული იყო შემდეგი ფუძემდებლური პრინციპები:

- **ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს.**

- **მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმე-ნის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.**

- **სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.**

რელიგია არ არის სახელმწიფოსაგან წარმოშობილი და დაწესებული. მას აქვს თავისი დამოუკიდებელი საფუძველი არსებობისა, სახელმწიფო და ეკლესია ამის გამო ორი სხვადასხვა დაწესებულებაა, მათ აქვთ სხვადასხვა სფერო მოქმედებისა. თავისი დანიშნულების ასრულებაში ორივე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. სახარების დევიზია: „კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“. სახელმწიფო ეკლესიურ შინაურ ცხოვრებაში არ ერევა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილია. დაე, გამოყოფილ ეკლესიას წაართვან ყველა უფლებები იურიდიული პიროვნებისა, მას მაინც დარჩება ერთი სფერო თავისუფალი მოქმედებისა, ერთი კუთხე, თავისი წმიდათა წმიდა, რომელშიაც სახელმწიფო არ უნდა შეიჭრას. ეს არის მისი შინაური რელიგიური ცხოვრება, რომელიც ექვემდებარება ღვთისაგან დაწესებულ ნორმებს. ვინც ეკლესიის მსახურთაგანი ამას გადაუხვევს, ის მოღალატეა სარწმუნოებისა“ (1924).

- **სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე (მუხლი 31).**

ამავდროულად, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით გამოცხადებული იყო სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევება, დამოუკიდებლობა და ყველა სარწმუნოების კანონის წინაშე თანასწორობა. სახელმწიფო უარს აცხადებდა რელიგიური ორგანიზაციების სახაზინო დაფინანსებაზე.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა ადამიანის უფლებები და მათ შორის – რელიგიის თავისუფლება, ფაქტობრივად, დაასამარა. 1924 წელს, კომუნისტურმა ხელისუფლებამ გაასამართლა და დააპატიმრა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომელიც შეუპოვრად იცავდა დამპყობლებისგან არა მარტო სამშობლოს, არამედ რწმენის თავისუფლებასა და სახელმიწფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპს. რელიგიის თავისუფლების შესახებ ჩვენი მიმოხილვა კათოლიკოს ამბროსი ხელაიას მიერ სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვებით, როგორც მომავალი თაობებისთვის ამ გამაფრთხილებელი შეგონებით გვინდა დავასრულოთ:

- **„რელიგია არ არის სახელმწიფოსაგან წარმოშობილი და დაწესებული. მას აქვს თავისი დამოუკიდებელი საფუძველი არსებობისა, სახელმწიფო და ეკლესია ამის გამო ორი სხვადასხვა დაწესებულებაა, მათ აქვთ სხვადასხვა სფერო მოქმედებისა. თავისი დანიშნულების ასრულებაში ორივე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. სახარების დევიზია: „კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“. სახელმწიფო ეკლესიურ შინაურ ცხოვრებაში არ ერევა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილია. დაე, გამოყოფილ ეკლესიას წაართვან ყველა უფლებები იურიდიული პიროვნებისა, მას მაინც დარჩება ერთი სფერო თავისუფალი მოქმედებისა, ერთი კუთხე, თავისი წმიდათა წმიდა, რომელშიაც სახელმწიფო არ უნდა შეიჭრას. ეს არის მისი შინაური რელიგიური ცხოვრება, რომელიც ექვემდებარება ღვთისაგან დაწესებულ ნორმებს. ვინც ეკლესიის მსახურთაგანი ამას გადაუხვევს, ის მოღალატეა სარწმუნოებისა“ (1924).**

როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო



ლევან სებისკვერაძე
ისტორიკოსი, ჟურნალისტი

ალბათ არაა სწორი სათაურში სპორტის მხოლოდ ერთი სახეობა – ფეხბურთი რომ გავიტანე და შემეძლო მთლიანად მისი აღმატებულება სპორტი მეხსენებინა მაგრამ რაკი ამ თემას ყველაზე კარგად ფრანკლინ ფოიერის წიგნი იდენტური სათაურით – „როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო“ – ეხმაურება, ჭკვიანი კაცის გაკვალულ გზაზე სვლა ვარჩიე, რაც ადვილიცაა და ნაკლებ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს.

ამქვეყნად რა დალევს ისტორიაზე და გეოგრაფიაზე გულაცრუებულ ბავშვებს. ბავშვებს რომელთათვისაც თარიღები, ციფრები, მონაცემები, სტატისტიკა მოსაწყენი რამაა და თუკი ამ მოსაწყენობას მშობლების მუდმივი ჩიჩინი და სწავლისკენ მოწოდებაც ახლავს თან, თვალწინ წარმოგვიდგება დიდ წიგნზე ზლაზვნით გაწოლილი 13 წლის ბიჭუნა, რომელიც მთქნარებით კითხულობს ტექსტს და თვალები ღამის დარაჯივით ებლიტება. ეს სურათი არ არის მხოლოდ ქართული და წიგნზე გადაწოლილ ზარმაც მოზარდებს ჩვენი პლანეტის კიდით-კიდემდე შეხვდებით. მათი ზნის შეცვლა პირველყოვლისა რა თქმა უნდა მშობლებს და პედაგოგებს ხელეწიფებათ, მაგრამ არსებობს მესამეც. ამ მესამეს სახელად ჰქვია სპორტი და სპორტის სიყვარული.

> ამოზარდები ყნოზილი სპორტსმენების ბიოგრაფიებსაც ინტერესდებიან და მათ ბავშვობაში საკუთარ თავს ხედავენ.

გეოგრაფიული თვალსაწიერის გაფართოვებას მსოფლიო ფეხბურთისათვის მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია და არა მხოლოდ ფეხბურთისათვის...

როგორც გითხარით, თბილისში ბევრი ზარმაცი და სწავლაზე გულაცრუებული ბავშვი მინახავს, რომლებიც კლასიდან-კლასში წვალებითა და წელათრევით გადადიან, მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ ამ ბავშვებს მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიის მასწავლებლები არ ემდურებიან და ზოგიერთი მასწავლებელი ალბათ ვერც კი ხვდება, რომ მოსწავლის გეოგრაფიისადმი სიყვარული მარტოოდენ ფეხბურთის

დამსახურებაა. თქვენ გგონიათ, ოროსანი ბიჭები გეოგრაფიის სახელმძღვანელოების კითხვით ისიებენ თვალებს? თქვენც არ მომიკვდეთ... ყველაფერი ძალიან მარტივადაა. ბავშვები ერკვევიან ფეხბურთის ავან-ჩავანში, კარგად იციან, ევროპის რომელ ქალაქში რომელი კლუბი თამაშობს და რაკი კაკას, რონალდუს და ლეო მესის თამაში ძალიან მოსწონთ, 1-2-ჯერ რუკასაც დახედეს, რომ ენახათ, სად იყო მათი კუმირების სამშობლო.

აგერ ახლა უამრავ ბავშვს ნახავდით და დღესაც ნახავთ, რომლებმაც სხვადასხვა საკლუბო ჩემპიონატის მატჩების განხილვისას კონკრეტული გუნდების არამხოლოდ ქვეყნის მდებარეობა და კონტინენტი იციან, არამედ ხშირად იმასაც კი გეტყვიან, ესა თუ ის ფეხბურთელი თავისი ქვეყნის პრეზიდენტს რატომ გაუნაწყენდა და რომელიმე გუნდის მწვრთნელის ეთნიკური წარმომავლობა რატომ არის მიუღებელი ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრისთვის.

სპორტსმენებზე ბევრი

მოზარდები ცნობილი სპორტსმენების ბიოგრაფიითაც ინტერესდებიან და მათ ბავშვობაში საკუთარ თავს ხედავენ. ხშირად გვესმის ან ვკითხულობთ, რომ ცნობილი სპორტსმენების უმეტესობას რთული ბავშვობა ჰქონდა და ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლეგენდარული სპორტსმენების უმეტესობა ხელმოკლე ოჯახიდან იყო, სადაც სავარჯიშო პირობებს ვინ ჩივის – ხშირად ელემენტარულად კვების პრობლემაც კი გადაუჭრელი იყო. თუმცა, ცხადია ეს ყველა სპორტსმენს არ ეხება და იყვნენ ისეთები, რომლებსაც მსგავსი სიღარიბე არათუ შეხებიათ, ალბათ ვერც კი წარმოედგინათ.

მაგალითად, ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი, რიკარდო კაკა შეძლებული იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა, სადაც ოჯახის ფესვგაუხმობი ტრადიციის მიხედვით ახალგაზრდები სკოლის დასრულების შემდეგ იურიდიულ ანდა სამედიცინო ფაკულტეტებზე სწავლობდნენ და მერე ადვოკატებად, მოსამართლეებად თუ ექიმებად გვევლინებოდნენ. კაკამ კი ეს ტრადიცია დაარღვია, ყველაფერს ბურთის დევნა არჩია და დღეს მის პოპულარობას თუ გავითვალისწინებთ (მიუხედავად იმისა, რომ სპორტული კარიერა კარგა ხნის დასრულებული აქვს) აშკარაა, რომ მისი ეს გადაწყვეტილება მართებული იყო.

საქართველოსა თუ უცხოეთში ჩვენ გვახსოვს მრავალი ოჯახი, სადაც სპორტი და სპორტსმენობა ერთგვარ ოჯახურ ტრადიციად ჩამოყალიბდა და კონკრეტული ოჯახებიდან ორი და ხშირად სამი ან ოთხი თაობის სპორტსმენებიც კი გვინახავს და გვახსოვს. ეს ოჯახები დიდი ხნის მანძილზე აგრძელებდნენ ან ახლაც აგრძელებენ ამ ტრადიციას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ოდესმე ეს ტრადიცია შეწყდება და შემდგომ თაობებში ვიღაც მწვანე მინდორსა თუ სპორტულ დარბაზს აუცილებლად ამჯობინებს მეცნიერებას, პოლიტიკას, ჟურნალისტიკას თუ სხვა საქმეს. ეს გარდაუვალია!

ასეა იმ ოჯახების შემთხვევაშიც, სადაც აქამდე ადრე სპორტსმენი არასოდეს გაზრდილა და არავინ იცის ეს ნიჭი სად და როდის იჩენს თავს. სპორტსმენობა, ცხადია, გენეტიკურად არ გადადის. ის ინფორმაცია კი, რომელიც წინა თაობის რაგინდარა სპორტსმენს – ბაბუას, დედას თუ მამას აქვს, ზოგისთვის მნიშვნელოვანია, ზოგი კი უბრალოდ საინტერესო ამბად თვლის და საბოლო ჯამში ივიწყებს კიდეც.

ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი, შემდგომში კი დიდებული მწვრთნელი, მენეჯერი და სპორტული ფუნქციონერი ფრანც ბეკენბაუერი იხსენებდა, რომ როდესაც თავის მცირეწლოვან შვილს ბურთს უგდებდა სათამაშოდ – პატარა მას ყოველთვის ხელში იჭერდა და ფრთხილად დებდა. ამან „კაიზერ ფრანცი“ დაარწმუნა, რომ მისი შვილი ფეხბურთელი უბრალოდ ვერ გახდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ფრანცის მეგობრების მონდომებით უმცროსმა ბეკენბაუერმა ფეხბურთზეც იარა და უმაღლესი კლასის მწვრთნელებიც ეხვია თავს – ყველამ და პირველყოვლისა ფრანც ბეკენბაუერმა, იცოდა, რომ ეს მცდელობები საბოლოო ჯამში ამაო იქნებოდა.

სწორედ ამიტომ, დიდი უსამართლობაა, როდესაც ზოგიერთ მშობელს თავისი შვილი სპორტზე მხოლოდ იმიტომ არ მიჰყავს, რომ „ჩვენს გვარში და სანათესაოში სპორტსმენი არავინ ყოფილა და დრო სპორტზე შვილის ტარებით რატომ უნდა ვკარგოო“. მსგავსი მიდგომები საკუთრივ მოზარდისა და მისი მომავლის გარდა, ქვეყნის სპორტულ მომავალსაც აზარალებს, რადგან ყველამ ვიცით, რომ ბევრმა უცხოელმა თუ ქართველმა სპორტსმენმა თავისი ნიჭი სწორედ ასე „შემთხვევით მიყვანის“ შემდეგ გამოამჟღავნა და ეს მაშინ, როდესაც მსგავს მონაცემებს მათგან არავინ ელოდა.

სპორტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ასაკის მოზარდისთვის და მით უმეტეს მათთვის, რომლებშიც შესაძლოა დიდი უნარები იმალებოდეს. სპორტის ექსპერტებს მშობლების მხრიდან დანაშაულადაც კი მიაჩნიათ საკუთარი შვილებისადმი გაჩენილი ნიჰილიზმი და სიზარმაცე, რადგან სულ რომ არ გამოვიდეს სპორტსმენი, სპორტში დახარჯული ნაბისმიერი საათი ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ფასეულია.

სულ სხვანაირი აფრიკა

სპორტი ბავშვებს არამხოლოდ ქვეყნებს, კონტინენტებსაც კი სულ სხვაგვარად აჩვენებს. განსაკუთრებით კი აფრიკას. რთულია მოზარდმა რომელიმე სასკოლო წიგნში ამოიკითხოს ის, რაც აფრიკაში და აფრიკულ სპორტში ხდება...

ბამბუკებით აშენებული ქოხები, ჩამოკონკილი მშიერი ბავშვები, საშინელი სიცხე, ეპიდემიად ქცეული შიდსი, გაუგონარი სიღარიბე და უიმედობა... ეს მხოლოდ ნაწილია იმ ზოგადი წარმოდგენებისა, რაც ევროპელებს აფრიკაზე და იქ მცხოვრებ ხალხზე გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, თუკი ადამიანს გაგებული მაინც გაქვს ეს ყველაფერი, როდესაც წარმატებულ აფრიკელ სპორტსმენებს ხედავ, შეუძლებელია არ უგულშემატკივრო და მათი პატივისცემით არ განიმსჭვალო.

რამდენიმე წლის წინ, ხუან ანტონიო სამარანჩმა მართლაც რომ შესანიშნავი სიტყვები თქვა: „აფრიკელმა სპორტსმენებმა დაამტკიცეს, რომ სპორტი ყველაზე სამართლიანი მოვლენაა დედამიწაზე. განა შეიძლება ადამიანი რასისტი იყოს, როდესაც ხედავს, თუ როგორ ამარცხებენ აფრიკელი სპორტსმენები განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებს“. მართლაც, დადგა დრო, აფრიკელთა მარავალწლიანი ჩაგვრისა და ვაების შემდეგ, ყველამ აღიაროს, რომ თუკი აფრიკელი სპორტსმენები ასეთ არათანაბარ პირობებშიც კი, როდესაც „შავი კონტინენტის“ ბევრ ქვეყანას ელემენტარული სპორტული ინფრასტრუქტურაც კი არ გააჩნია, აღწევენ წარმატებებს, მათი ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლებელია სულ სხვა რეალობა მივიღოთ. დიახ, კოლონიზაციის, შიმშილისა და მონობის შემდეგ, აფრიკამ დაიმსახურა იმაზე ბევრად კარგი აწმყო, ვიდრე ის დღეს არის. რაც მთავარია, ეს არ არის მხოლოდ თანაგრძნობა. ეს რეალობაა!

აფრიკის სპორტული წარმატებების საიდუმლო უპირველესად სწორედ აფრიკის განუმეორებლობაში იმალება. წარმოიდგინეთ კენიის ქვიშით დაფარულ უზარმაზარ ტრამალებზე გაფანტული პატარა სოფლები. სოფლებს შორის არ არსებობს არანაირი კომუნიკაცია (საუბარი არ არის ელექტროენერგიაზე, ტელევიზორზე და სხვა...) თავად ადამიანის გარდა. კენიაში საშინელი ქვიშის ქარიშხლები იცის და ქარიშხალი როდის ამოვარდება, ამის განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამიტომ, დიდსა თუ პატარას, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ქალსა თუ კაცს, ისღა დარჩენია ირბინოს.

და ამ ყველაფრის შემდეგ, კენიელი მძლეოსნების წარმატებები განა უნდა გაუკვირდეს ან ეწყინოს კაცს? ნებისმიერი კენიელი მძლეოსანის, ნიგერიელი ფეხბურთელისა თუ ანგოლელი მოკრივის უკან ხშირად მათი მთელი სანათესაოს, ანდა სულაც მთელი მშობლიური სოფლის გამოკვების და ზოგადად გადარჩენის საკითხი დგას. აფრიკაში, (განსაკუთრებით აფრიკულ სოფლებში) ხშირად მთელი სოფელი ფაქტობრივად

ერთ ოჯახად მოიაზრება და ევროპაში ბედის საძიებლად, სამუშაოდ თუ სათამაშოდ ახალგაზრდა კაცის გასაშვებად ფულს მთელი სოფელი აგროვებს. სწორედ ასეთი იყო აბედი პელეს, მასინგას, და სხვათა და სხვათა წარსული. გერმანიის ბუნდესლიგაში მოთამაშე ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი აფრიკელი ფეხბურთელი ყვებოდა, თავისი არცთუ ისე დიდი ჯამაგირით როგორ არჩენდა აფრიკაში მთელს თავის მშობლიურ სოფელს, სადაც თურმე 200-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ასეთი რამ მეგობარ-ნათესავ-ახლობლებზე გადაყოლილი ქართველისთვისაც კი წარმოუდგენელი ამბავია, მაგრამ თუკი აფრიკაში არსებულ გაჭირვებას წარმოვიდგენთ, ნამდვილად არაფერი იქნება ამაში უცნაური.

სხვა საქმეა მაღრიბის (არაბული) აფრიკა და მეტადრე სამხრეთ აფრიკა, სადაც გაჭირვება ისეთი თვალში საცემი არ არის, როგორც აფრიკის ცენტრალურ და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ნაწილში. ამის მიუხედავად, ეს უდაბნოში მორბენალი ბიჭები საკუთარი ოფლითა და სისხლით წერენ აფრიკის ახალ ისტორიას და ყველას თვალნათლივ აჩვენებენ, რომ სპორტული წარმატებები მხოლოდ დიდ ფულზე არ არის დამოკიდებული.

ევროპიდან ასიაში მაგრე

ფაქტია, რომ მოზარდების გეოგრაფიის ცოდნა და ზოგადად გეოგრაფიული თვალსაწიერის გაფართოება პირველყოვლისა სპორტისთვისაა მნიშვნელოვანი. მაშინ, როდესაც ევროპასა და ლათინურ ამერიკას ფეხბურთი ერთგვარად მონოპოლიზირებული ჰქონდათ და მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებზე აფრიკის, აზიისა და ცენტრალური ამერიკის გუნდები დამთრგუნველად დიდი ანგარიშით მარცხდებოდნენ, ბევრი ამბობდა, რომ არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს საფეხბურთო თვალსაზრისით „მეორეხარისხოვანი“ კონტინენტების მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა და მათ ნაცვლად ევროპული და სამხრეთამერიკული ნაკრებების დამატება უფრო საინტერესოს გახდის მსოფლიოს ჩემპიონატსო.

ეს მოსაზრება რომ ძირშივე მცდარი იყო, ყველაზე კარგად დრომ და შედეგებმა დაამტკიცა. თუმცა, ამ შემთხვევაში მხოლოდ შედეგები როდია გადამწყვეტი. სხვა თვალით რომ განვიხილოთ, ერთი შეხედვით, თითქოს, რატომ უნდა იყოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალი ზელანდიის ნაკრები, როდესაც ჩემპიონატის მიღმა ვთქვათ ჩინელები დარჩნენ?! მილიარდობით ჩინელისთვის განა მათი ნაკრების ხილვა არ ჯობს ენდი ბარტონისა და როი ფელონის ცქერას?!

ძალიან ადვილია შორიდან მსჯელობა, შეფასება და ყველაფრის მხოლოდ საკუთარ გემოვნებაზე მორგება მაშინ, როდესაც ბევრს არ სურს წარმოიდგინოს ის სიხარული, რაც ახალზელანდიელ ხალხს მათი ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშმა მიანიჭა.

თუკი სასწაული მოხდა და საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმაც უწია მსგავს დიდ მუნდიალს, დარწმუნებული ვარ, ევროპაში ბევრი „ექსპერტი“ გამოჩნდება, რომლებიც თეორიებს ჩამოაყალიბებენ იმასთან დაკავშირებით, რომ პატარა საქართველოს, არც მატერიალურად და არც სხვა მხრივ არ შეუძლია რაიმე შესძინოს მსოფლიო ფეხბურთს და უმჯობესია, რომ საქართველოს ნაცვლად, თუნდაც ვთქვათ – ავსტრიის ნაკრები გასულიყო. ამ დროს, დარწმუნებული ვარ, მავან „ექსპერტს“ აზრადაც კი არ მოუვა, რომ ჩამოვიდეს საქართველოში, ჩავიდეს ვთქვათ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათში და გაიგოს თუ რამხელა ბედნიერება იქნება მათთვის ეროვნული ნაკრების თუნდაც მხოლოდ სამი მატჩის ნახვა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

საქართველოში სპორტმა და განსაკუთრებით ფეხბურთმა ბევრი ბავშვი დააინტერესა გეოგრაფიით. ვისაც ჰგონია რომ ეს უმნიშვნელო ამბავია, მინდა გითხრათ, რომ ძალიან შემცდარა, რადგან თვალნათლივ იკვეთება იმ ადამიანების შეხედულების სიმცდარე, რომელთათვისაც ბავშვებისთვის სპორტი მხოლოდ ტყუილად დაკარგული დროა და „სულელურ ფეხბურთებს“, „რამე კარგი ფილმი“ ურჩევნით. კინომატოგრაფს ცხადია არაფერს ვერჩით, მაგრამ უფეხბურთოდაც არაფერი გამოვა.

კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ინდექსები და საქართველო

ვალერიან სანაძე
საჯარო მმართველობის დოქტორი

> **ცალკეული ქვეყნების კიბერსივრცის უსაფრთხოება ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც ქვეყნის სახმელეთო, საჰაერო, თუ საზღვაო ტერიტორიების დაცვა, რაც ხდება საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი.**

კიბერუსაფრთხოებამ, მიუხედავად თავისი განვითარების მოკლე პერიოდისა, დაიკავა ერთ-ერთი მთავარი ადგილი როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ უსაფრთხოებაში, გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, და მნიშვნელოვანი კომპონენტი. ფაქტიურად, ყოველივე ეს განაპირობა ინტერნეტისა და ინტერნეტ ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, პანდემიის ფონზე ელექტრონული სერვისების მიმართ გლობალურად მზარდმა მოთხოვნილებამ. ეს კი ითხოვს ინტერნეტის სტაბილურობისა და უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობას, რაშიც ჩართულია როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები. შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული ქვეყნების კიბერსივრცის უსაფრთხოება ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც ქვეყნის სახმელეთო, საჰაერო, თუ საზღვაო ტერიტორიების დაცვა, რაც ხდება საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი. ფაქტიურად, რაც უფრო დამოკიდებულია საზოგადოება თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მით უფრო მოწყვლადია კიბერ თავდასხმების მიმართ.

კიბერუსაფრთხოების საკითხის აქტუალობისა და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე უამრავი საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაცია ატარებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კვლევებს, რითაც აფასებენ კიბერუსაფრთხოების სფეროს მისი ცალკეული კომპონენტის მიხედვით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ყველაზე რეიტინგულად, სანდოდ და კომპეტენტურად აღიარებული არის ორი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი კვლევები, კერძოდ:

1. გაეროს ქვემდებარე სტრუქტურული ინსტიტუტის „საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი/International Telecommunication Union (ITU)“, რომელიც ყოველწლიურად ატარებს გლობალურ კვლევას კიბერუსაფრთხოების განვითარების შესახებ, რაც შემდეგ აისახება ნაშრომში „კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი/Global Cybersecurity Index (GCI)“. ITU თავის კვლევას აწარმოებს უკვე თერთმეტი წელია და ყოველი წლის ივნისის თვეში აქვეყნებს წინა წლის კვლევის შედეგებს;
2. ესტონური ორგანიზაცია „ელექტრონული მმართველობის აკადემია/e – Governance Academy (eGA)“ ITU-ს მსგავსად eGA თავის კვლევას „ეროვნული კიბერუსაფრთხოების ინდექსი/National Cybersecurity Index (NCSI)“ აწარმოებს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, თუმცა არა გლობალურად არამედ ეროვნულ დონეზე ევროპის რეგიონის ქვეყნების მიხედვით და კვლევის შედეგებს აქვეყნებს ყოველი წლის სექტემბრის თვეში, ITU – „გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის“ გამოქვეყნების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ITU-ს და eGA-ს მიერ კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსის შესაფასებლად განსხვავებული მეთოდოლოგიები იყო გამოყენებული, კვლევის შედეგები ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან. ორივე ორგანიზაციის კვლევის ფოკუსი, მიმართულია სახელმწიფოს კიბერუსაფრთხოების გაზომვად ასპექტებზე და კონცენტრირდება სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო ბაზაზე, სტრატეგიაზე, სამთავრობო უწყებებზე და ა.შ. კვლევებში არ არის მოყვანილი ქვეყნებზე განხორციელებული და წარმატებით მოგერიებული კიბერ თავდასხმების მაგალითები, აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სახელმწიფოს რეალური კიბერ თავდაცვითი პოტენციალი, თუმცა მოცემული ნაშრომის ფარგლებში, კიბერ უსაფრთხოების ასპექტების განხილვა ელექტრონული მმართველობის პერსპექტივიდან ხდება.

კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი (GCI)

როგორც ზემოთ არის აღნიშნული „კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი“ არის გაერო - ს ქვემდებარე სტრუქტურული ინსტიტუტის „საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU)“, უფრო კონკრეტულად, ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სპეციალიზირებული სააგენტოს ინიციატივა. მოცემული პროექტი პირველად დაიწყო 2015 წელს, და მისი მიზანი არის გლობალურად შეაფასოს კიბერუსაფრთხოების მდგომარეობა. ის აჩვენებს, აგრეთვე, თუ რა მდგომარეობაა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ცალკეულ ქვეყანაში კიბერუსაფრთხოების კომპონენტებში, თუ სად არიან წარმოდგენილნი ძლიერად, სად უჭირთ და სად შეიძლება მოხდეს კიბერშესაძლებლობების გაძლიერება. აგრეთვე, GCI-ით ხდება თითოეული ქვეყნის კიბერუსაფრთხოების მდგომარეობის ერთმანეთთან შედარება.

მიმდინარე წლის 29 ივნისს „საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებამ (ITU)“ გამოაქვეყნა 2020 წლის „კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი (GCI)“, რომელიც მოიცავს 194 სახელმწიფოს და კვლევა ტრადიციულად ხორციელდება ხუთი მიმართულებით, რაც მთლიანად აერთიანებს 20 კომპონენტს 82 კითხვით, კერძოდ:

1. სამართლებრივი ჩარჩოს მიმართულება – კიბერკრიმინალის რეგულაცია; კიბერუსაფრთხოების რეგულაცია; ტრენინგები კიბერუსაფრთხოების სფეროში;

2. **ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲯᲐᲛᲝᲑᲐ** — ეროვნული, სამთავრობო და სექტორების მიხედვით კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფები; სტანდარტები და სერტიფიკატები ორგანიზაციებისა და პროფესიონალებისთვის; ბავშვთა ონლაინ დაცულობა;
3. **ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲯᲐᲛᲝᲑᲐ** — სტრატეგია; შესაბამისი სააგენტოები; კიბერუსაფრთხოების შეფასება;
4. **ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ** — სტანდარტიზაციის ორგანოები; საუკეთესო პრაქტიკის კვლევის და განვითარების პროგრამები; საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები; პროფესიონალთა ტრენინგ მოდულები; ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამები და აკადემიური სილაბუსები; წამახალისებელი მექანიზმები; კიბერუსაფრთხოების ადგილობრივი ინდუსტრია;
5. **ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲐᲛᲝᲑᲐ** — შიდა სახელმწიფოებრივი თანამშრომლობა; მრავალმხრივი შეთანხმებები; საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობა; კერძო-საჯარო პარტნიორობა; უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

2020 წლის GCI-ში კვლევაში ჩართული იყო 169 მკვლევარი და ის მიმდინარეობდა, როგორც გლობალური გამოწვევების კუთხით, ისე რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით. ITU-ს სტანდარტებით, რეგიონალური დაყოფა წარმოდგენილია შემდეგნაირად — აფრიკის რეგიონი, ამერიკის რეგიონი, არაბეთის სახელწიფოების რეგიონი, აზია-ოკეანეთის რეგიონი, ევროპა და დსთ-ს ქვეყნები.

ბოლო ინდექსის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, კვლევაში მონაწილე პირველი 25 ქვეყნის ქულები და რეიტინგი მოცემული არის ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ	ᲥᲣᲚᲐ	ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ
შეერთებული შტატები	100	1
დიდი ბრიტანეთი	99.54	2
საუდის არაბეთი	99.54	2
ესტონეთი	99.48	3
სამხრეთ კორეის რესპუბლიკა	98.52	4
სინგაპური	98.52	4
ესპანეთი	98.52	4
რუსეთის ფედერაცია	98.06	5
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	98.06	5
მალაზია	98.06	5
ლიეტუვა	97.93	6
იაპონია	97.82	7
კანადა	97.67	8
საფრანგეთი	97.6	9
ინდოეთი	97.5	10
თურქეთი	97.49	11
ავსტრალია	97.47	12
ლუქსემბურგი	97.41	13
გერმანია	97.41	13
პორტუგალია	97.32	14
ლატვია	97.28	15
ნიდერლანდები	97.05	16
ნორვეგია	96.89	17
მავრიკის რესპუბლიკა	96.89	17
ბრაზილია	96.6	18

წყარო: კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი GCI 2020

> კიბერსაფრთხეების შესახებ მანათლების ზრდის ხელშეწყობა და წნოხიერების მაზრდა ქვეყნებისთვის იმდენად ჯიოხიტეულ და მნიშვნელოვან მიმართულებას ნარმოადგენს, რომ ის შეყვანილი არის თითოეული ქვეყნის კიბერსაფრთხეების ეროვნულ სტრატეგიებში.

კიბერსაფრთხეების ეროვნული ინდექსი (NCSI)

როგორც აღინიშნა, კიბერუსაფრთხოების გლობალური კვლევის მეორე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ესტონური ორგანიზაცია „ელექტრონული მმართველობის აკადემიის (eGA)“ მიერ ჩატარებული კვლევა „კიბერუსაფრთხოების ეროვნული ინდექსი“ (National Cyber Security Index – NCSI), რომელიც ზომავს ქვეყნების მზაობას კიბერ საფრთხეებისა და ინციდენტების წინაშე. მოცემული კვლევა ფარავს შემდეგ მიმართულებებს:

1. **კანონმდებლობა** – საკანონმდებლო აქტები; რეგულაციები; განკარგულებები;
2. **ორგანიზაციული** – არსებული სააგენტოები; ორგანიზაციები; CERT;
3. **მანევრირება** – კომიტეტები; საბჭოები; სამუშაო ჯგუფები;
4. **ვალდებული/ჯარიანები** – სამთავრობო პოლიტიკა; ტექნოლოგიები; ვებგვერდები; პროგრამები; აპლიკაციები.

მთლიანობაში, კვლევის ფარგლებში სახელმწიფოში არსებული კიბერთავდაცვითი პოტენციალი, 46 ინდიკატორის მიხედვით, 12 განზომილებაში იზომება და შედეგების მიხედვით დგინდება სახელმწიფოს კიბერუსაფრთხოების ინდექსი, კერძოდ:

- ელ-იდენტიფიკაცია და სერვისები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვა;
- კიბერ ინციდენტებზე რეაგირება;
- კიბერ კრიზისების მართვა;
- კიბერ დანაშაულთან ბრძოლა;
- სამხედრო კიბერ ოპერაციები;
- კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება;
- კიბერ საფრთხეების ანალიზი ;
- განათლება და პროფესიული განვითარება;
- წვლილი გლობალურ კიბერ უსაფრთხოებაში;
- ელ-სერვისების დაცვა;
- კრიტიკული ინფორმაციული ობიექტების დაცვა.

მანათლება და კიბერსაფრთხე

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კიბერუსაფრთხოების ორივე ინდექსში, გლობალურშიც და ეროვნულშიც, მოყვანილი კიბერშესაძლებლობების განვითარება თავის თავში მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორიც

არის განათლება და პროფესიული განვითარება. ფაქტიურად, განათლება და პროფესიული განვითარება არის ის აუცილებელი მიმართულება, რომლის განვითარებაზეც ზრუნავს ყველა ქვეყანა. კერძოდ, კიბერუსაფრთხოების შესახებ განათლების ზრდის ხელშეწყობა და ცნობიერების გაზრდა ქვეყნებისთვის იმდენად პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომ ის შეყვანილი არის თითოეული ქვეყნის კიბერუსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიებში. ამ მხრივ არც საქართველოს „კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა" არის გამონაკლისი, სადაც მოცემული მიმართულება მოხსენიებულია როგორც ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, კერძოდ:

1. კვლევა და ანალიზი;
2. სამართლებრივი ბაზის შემუშავება და სრულყოფა;
3. კიბერუსაფრთხოების სფეროში შესაძლებლობათა ამაღლება;
4. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო ბაზის შექმნა;
5. საერთაშორისო თანამშრომლობა.

უნდა ითქვას, რომ სტრატეგიებში განათლების სფეროს ასახვა ნათლად აჩვენებს ქვეყნების დიდ ინტერესს განავითარონ თავიანთი კიბერუსაფრთხოებითი შესაძლებლობა, რაც პირდაპირ კავშირშია პროფესიული და კვალიფიციური ადამიანური რესურსის არსებობასთან. აქვე ცალკე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სტრატეგიებში მოცემული კიბერუსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები, იქნება ეს კვლევა და ანალიზი, საერთაშორისო თანამშრომლობა, სამართლებრივ ბაზებზე მუშაობა და მისი განვითარება, თუ თავად კიბერუსაფრთხოების სფეროს შესაძლებლობების განვითარება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, პირდაპირ კავშირშია სწორად დაგეგმილი და ძლიერი საგანმანათლებლო ბაზის განვითარებასთან, რადგან სტრატეგიის ყველა ჩამოთვლილი მიმართულება მოითხოვს კვალიფიციურ კადრს.

როცა ვსაუბრობთ კვალიფიციურ კადრზე, იგულისხმება აკადემიური განათლების მქონე პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ, სულ ცოტა, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. გარდა ამისა, არსებობს საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერტიფიცირებული კურსები, თუმცა მათი უმრავლესობა კონკრეტული მიმართულებით ითხოვს საბაზისო ცოდნას, რაც შესაბამისობაშია ბაკალავრის დონესთან. ასევე დამსაქმებელთა დიდი ნაწილი ვაკანტური ადგილის დასაკავებელი კონკურსის მოთხოვნების განათლების სექციაში პირდაპირ უთითებს მინიმუმ ბაკალავრის დონეს. შესაძლებელია კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა, თუმცა ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული

სინამდვილეში მოცემული კიბერუსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები, იქნება ეს კვლევა და ანალიზი, საერთაშორისო თანამშრომლობა, სამართლებრივ ბაზებზე მუშაობა და მისი განვითარება, თუ თავად კიბერუსაფრთხოების სფეროს შესაძლებლობების განვითარება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, პირდაპირ კავშირშია სწორად დაგეგმილი და ძლიერი საგანმანათლებლო ბაზის განვითარებასთან.

მაგალითი პირდაპირ მიუთითებს კიბერუსაფრთხოების სფეროში აკადემიური განათლების მნიშვნელობაზე. აქვე თუ დავამატებთ იმ ფაქტს, რომ გლობალურად კიბერუსაფრთხოების სპეციალისტთა აშკარა დეფიციტია, ხოლო მათზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება უახლოესი მომავლის ერთ - ერთი მოთხოვნადი სპეციალობა. აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ ასეთ მზარდ მოთხოვნილებას, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მიმართულების სპეციალისტების შრომითი ანაზღაურება არის საკმაოდ მაღალი. კერძოდ, მაგალითისთვის, **https://www.payscale.com/**-ის მიხედვით, უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრის (Security Operations Center SOC) დამწყები ანალიტიკოსის წლიური ხელფასი 81,351 აშშ დოლარს შეადგენს. იგივე წყაროს ინფორმაციით, საკმაოდ მაღალანაზღაურებადი არის ისეთი სპეციალობები როგორებიც არის:

- შეღწევადობის ტესტერი;
- ინფორმაციული უსაფრთხოების ანალიტიკოსი;
- კიბერუსაფრთხოების ანალიტიკოსი;
- ეთიკური ჰაკერი.

ჩამოთვლილი სპეციალობების საშუალო წლიური ანაზღაურება დაახლოებით 83,968 აშშ დოლარს შეადგენს. ალბათ ყველაზე უფრო გასათვალისწინებელი ფაქტი არის ის, რომ მოცემული სპეციალობების ხალხის დასაქმება სირთულეს არ წარმოადგენს და საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე ძნელად თუ მოიძებნება მოცემული სპეციალობების კარგი და კვალიფიციური კადრები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მაღალი დონის განათლების მიღებაში ფინანსური საშუალებების „დაბანდება" საკმაოდ წარმატებულ ინვესტირებას უნდა წარმოადგენდეს.

განვითარებად ქვეყნებში კიბერუსაფრთხოების მიმართულებით განათლების განვითარების პროცესი არათანმიმდევრულად და რთულად მიმდინარეობს, ხოლო ხშირ შემთხვევაში ეს პროცესი საერთოდ არ არსებობს, ან თუ არსებობს საერთოდ არის მოწყვეტილი დარგის განვითარებისა და მისი მდგრადობის შენარჩუნებასთან. გამონაკლისს არ წარმოადგენს არც საქართველო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოში კიბერუსაფრთხოების მიმართულებით აკადემიურ დონეზე განათლება საერთოდ არ არსებობს, არის მხოლოდ სხვადასხვა უნივერსიტეტში არსებული ცალკეული მოდულები. ქვეყანაში არ არის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები მაშინ, როცა საქართველოს კიბერსივრცე, კრიტიკული ინფრასტრუქტურა დგას გლობალურად არსებული სულ უფრო ახალი გამოწვევების წინაშე.

ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ კიბერუსაფრთხოების განვითარებისა და მდგრადობის შენარჩუნებისთვის მის ყველა ცალკეულ მიმართულებაზე, აუცილებელია შესაბამისი განათლებული და კვალიფიციური კადრების არსებობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცულობის გაზრდას როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე.

საქართველო და კიბერსივრცის საერთაშორისო იდენტობა

ზემოთ წარმოდგენილი ორგანიზაციების მიერ ყოველწლიურად ხდება საქართველოს კიბერშესაძლებლობების შეფასება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის კიბერუსაფრთხოების სფეროში ყველაზე

წარმატებული იყო 2017 წელი, როცა ITU-ს „გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის (GCI)“ მიხედვით, ქვეყანამ გლობალურ რეიტინგში დაიკავა მე-8 ადგილი, ევროპის რეგიონში ასევე მე-8 ადგილი, ხოლო დსთ-ს ქვეყნებს შორის პირველი ადგილი. ქვემოთ ცხრილში მოცემულია საქართველოს შეფასებები კვლევითი კომპონენტების მიხედვით – სამართლებრივი, ტექნიკური, ორგანიზაციული, შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის განვითარება.

ქვეყანა	GCI ქულა	სამართლებრივი	ტექნიკური	ორგანიზაციული	შესაძლებლობების განვითარება	თანამშრომლობა
სინგაპური	0.92	0.95	0.96	0.88	0.97	0.87
შეერთებული შტატები	0.91	1	0.96	0.92	1	0.73
მალაიზია	0.89	0.87	0.96	0.77	1	0.87
ომანი	0.87	0.98	0.82	0.85	0.95	0.75
ესტონეთი	0.84	0.99	0.82	0.85	0.94	0.64
მავრიკის რესპუბლიკა	0.82	0.85	0.96	0.74	0.91	0.70
ავსტრალია	0.82	0.94	0.96	0.86	0.94	0.44
საქართველო	**0.81**	**0.91**	**0.77**	**0.82**	**0.90**	**0.70**
საფრანგეთი	0.81	0.94	0.96	0.60	1	0.61
კანადა	0.81	0.94	0.93	0.71	0.82	0.70

წყარო: კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი GCI 2017

იმავე წელს eGA-ს მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით საქართველომ ევროპის რეგიონში დაიკავა მეორე ადგილი, რაც ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი მიღწევა იყო (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი).

ქვეყანა	ქულა	რეიტინგი
ჩეხეთის რესპუბლიკა	72.73	1
საქართველო	**65.66**	**2**
ლიეტუვა	65.15	3
ბელორუსია	59.09	4
უკრაინა	56.06	5
მოლდოვა	42.42	6
ლატვია	41.92	7

წყარო: კიბერუსაფრთხოების ეროვნული ინდექსი NCSI 2017

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ITU-მ გამოაქვეყნა კიბერ უსაფრთხოების განახლებული კვლევა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ექსპერტები, 153 კითხვის ნაცვლად, 50 ასპექტის მიხედვით აფასებდნენ ქვეყანაში არსებულ კიბერუსაფრთხოების გარემოს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, 0.85 ქულით, საქართველომ ევროპაში მეცხრე, ხოლო მსოფლიოში მე-18 ადგილი დაიკავა. თავის მხრივ, 2018 წელს eGA-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, საქართველომ 64.9 ქულით, სიაში მე-19 ადგილი დაიკავა. 2020 წლის

GCI-ის მიხედვით, საქართველოს კიბერშესაძლებლობები კიდევ უფრო გაუარესდა, კერძოდ, ქვეყანამ 81.06 ქულით გლობალურ რეიტინგში დაიკავა 55-ე ადგილი, ხოლო 81.07 ქულით ევროპის რეგიონის რეიტინგში 30-ე ადგილი. ქვემოთ ნახატზე მოცემულია GCI-ის მიერ შეფასებული საქართველოს კიბერშესაძლებლობა 2020 წლისთვის თავისი ყველა ხუთი მიმართულებითა და შემადგენელი კომპონენტებით.



წყარო: კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი GCI 2020

მოცემულ ნახატზე ნათლად ჩანს, რომ საქართველოს კიბერუსაფრთხოების კომპონენტები და ქულები ხუთივე მიმართულებით შემცირებულია, კერძოდ:

1. იურიდიულ-სამართლებრივი – 17.75
2. ტექნიკური შესაძლებლობები – 17.13
3. ორგანიზაციული განვითარება – 14.67
4. შესაძლებლობების განვითარება – 15.89
5. თანამშრომლობის განვითარება – 15.63

ფაქტიურად, საქართველოს კიბერუსაფრთხოება 2017 წლიდან ნაცვლად გაუმჯობესებისა, წავიდა გაუარესებისკენ, რისი მიზეზიც არის ამჟამად დარგის ყველა მიმართულებით არსებული სტაგნაციური მდგომარეობა. ქვეყნის წარმატების მიზეზად, რამაც 2017 წელს ასახვა ჰპოვა საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების ინდექსებში, შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტები, რომ საქართველომ მოკლე დროში შეძლო:

1. იურიდიულ-სამართლებრივი და ნორმატიული ბაზის მოწყობა, კერძოდ:
   - მიიღეს „კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ (2012);
   - დაიწერა კიბერუსაფრთხოების ორი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2013-2015 და 2017-2018);

– განისაზღვრა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტები (2013);
– მიიღეს კანონი „პერსონალური მონაცემების შესახებ“ (2013);

2. ქვეყანა შეუერთდა ბუდაპეშტის კიბერდანაშაულის კონვენციას (2012);
3. შსს – შეიქმნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო (2012);
4. შეიქმნა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ოფისი (2013);
5. თავდაცვის სფერო საერთოდ გამოეყო სამოქალაქო სფეროს და თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა „სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიურო“ (2014), რაც იყო დიდი წარმატება და აუცილებელი მოვლენა ქვეყნის კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოებში და ზოგადად გლობალურად კიბერუსაფრთ-ხოების მდგომარეობის შეფასება ხდება ისეთი ორგანიზაციების მიერ, რომელთა სანდოობა და რეპუტაცია არის მაღალი. ჩვენს შემთხვევაში საუბარია მაღალი დონის ისეთ სანდო და რეპუტაციულ ორგანიზაციებზე, როგორებიცაა:

1. გაეროს ქვემდებარე სტრუქტურული ინსტიტუტის „საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი/ International Telecommunication Union (ITU)“, რომელიც ყოველწლიურად ატარებს გლობალურ კვლევას კიბერუსაფრთხოების განვითარების შესახებ, რაც შემდეგ აისახება ნაშრომში „კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი/Global Cybersecurity Index (GCI)“. ITU თავის კვლევას უკვე თერთმეტი წელია აწარმოებს და ყოველი წლის ივნისის თვეში აქვეყნებს წინა წლის კვლევის შედეგებს;
2. ესტონური ორგანიზაცია „ელექტრონული მმართველობის აკადემია/e – Governance Academy (eGA)“ ITU-ს მსგავსად eGA თავის კვლევას „ეროვნული კიბერუსაფრთხოების ინდექსი/National Cybersecurity Index (NCSI)“ აწარმოებს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, თუმცა არა გლობალურად არამედ ეროვნულ დონეზე ევროპის რეგიონის ქვეყნების მიხედვით და კვლევის შედეგებს აქვეყნებს ყოველი წლის სექტემბრის თვეში, ITU – „გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის“ გამოქვეყნების შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ ორივე ინდექსი ასახავს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით არსებულ მაქსიმალუ-რად რეალურ სურათს, რომლის შეფასება მოიცავს დარგის ყველა მიმართულებასა და მის შემადგენელ კომპონენტებს, კერძოდ:

1. სამართლებრივი ჩარჩოს მიმართულება – კიბერკრიმინალის რეგულაცია; კიბერუსაფრთხოების რეგულაცია; ტრენინგები კი-ბერუსაფრთხოების სფეროში;
2. ტექნიკური მიმართულება – ეროვნული, სამთავრობო და სექტორული CERT-ები; სტანდარტები და სერტიფიკატები ორგანიზაციებისა და პროფესიონალებისთვის; ბავშვთა ონლაინ დაცულობა;
3. ორგანიზაციული მიმართულება – სტრატეგია; შესაბამისი სააგენტოები; კიბერუსაფრთხოების შეფასება;
4. შესაძლებლობების განვითარება – სტანდარტიზაციის ორგანოები; საუკეთესო პრაქტიკის კვლევის და განვითარების პროგ-რამები; საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები; პროფესიონალთა ტრენინგ მოდულები;

ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამები და აკადემიური სილაბუსები; წამახალისებელი მექანიზმები; კიბერუსაფრთხოების ადგილობრივი ინდუსტრია;

5. **თანამშრომლობის მიმართულება** – შიდა სახელმწიფოებრივი თანამშრომლობა; მრავალმხრივი შეთანხმებები; საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობა; კერძო-საჯარო პარტნიორობა; უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების მნიშვნელობა კიბერუსაფრთხოების სფეროში, რადგან ეს არის ის შემადგენელი კომპონენტი, რომლის მიხედვითაც ახდენს შეფასებას ორივე გლობალური და ეროვნული ინდექსი. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ კიბერუასფრთხოების დარგი მოითხოვს მაღალკვალიფიციურ აკადემიური დონის კადრებს და ამიტომაც ხდება მოცემული მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე. გარდა ამისა, ხდება აკადემიური კვლევების კომპონენტების განვითარება. ამ კუთხით სავალალო მდგომარეობაა საქართველოში, სადაც არ არსებობს არც ბაკალავრიატი და არც მაგისტრატურა, არ ტარდება კვლევები და ფაქტიურად, მოცემული მიმართულებით დარღვეული არის კავშირი საჯარო სექტორსა და აკადემიურ წრეებს შორის, როცა ამ უკანასკნელისთვის შეიძლება თავად სახლემწიფო ყოფილიყო დამკვეთი მისთვის აუცილებელი კადრების მომზადებასა და გადამზადებაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ასევე თანამშრომლობის აუცილებლობა სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიმართულებითაც, რაც დღეს ფაქტიურად საერთოდ მოშლილია და არ ტარდება აკადემიური დონის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The Global Risks Report 2021, 16th Edition of the World Economic Forum, In partnership with Marsh McLennan, SK Group and Zurich Insurance Group, 19 January, 2021
   https://www.weforum.org/reports/the-global-risks-report-2021;
2. ვლადიმერ ნაფეტვარიძე, ელექტრონული მმართველობის დანერგვა საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, 2020;
3. Global Cybersecurity Index 2020
   file:///C:/Users/Admin/Desktop/Global%20Cybersecurity%20Index%202020.pdf;
4. ვლადიმერ სვანაძე „განათლების მნიშვნელობა კიბერუსაფრთხოების განვითარებაში“, 20201;
5. e – Governance Academy https://ega.ee/projects/?programme=cyber-security;
6. ვლადიმერ სვანაძე, ანდრია გოცირიძე "კიბერ თავდაცვა: კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები (ნაშრომების და სტატიების კრებული)", 2016;
7. GUIDE TO GOOD GOVERNANCE IN CYBERSECURITY, DCAF Business and Security Division, Directorate for Security Cooperation and Defence (DCSD) of the French Ministry of Europe and Foreign Affairs, 19 January, 2021
   https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/CyberSecurity_Governance_ENG_Jan2021_0.pdf;
8. https://www.cybrary.it/.

თვითდაზიანებაღი თამაშების ტენდენცია და პათვან ნამოსული საფრთხეები

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲜᲐᲓᲐᲫᲔ

„თითოეულ ჩვენგანში, ორი ბუნება ებრძვის ერთმანეთს – კეთილი და ბოროტი. მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში მათ შორის ეს ბრძლა მიმდინარეობს და ერთ-ერთმა უნდა შეძლოს მეორის დამარცხება. მაგრამ ჩვენს ხელში არის ძალა იმისა, რომ ავირჩიოთ – ჩვენ სწორედ ის ვართ, რაც ყველაზე მეტად გვსურს რომ ვიყოთ“

რობერტ ლუის სტივენსონი

კაცობრიობის თითოეულ მიღწევასა და გამოგონებას გააჩნია ორი მხარე, პირველი, რომელიც გულისხმობს მისი პოზიტიური ასპექტით გამოყენებას, ხოლო მეორე, რომელიც მის საპირისპირო, ნეგატიურ გზას გვთავაზობს. მაგალითისთვის მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოგონებას და აღმოჩენას ატომის გახლეჩა წარმოადგენს – 1932 წლის აპრილში მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველზე მნიშვნელოვანი მეცნიერების – ჯონ ქოქქროფთისა (John Cockcroft) და ერნესტ ვოლტონის(Ernest Walton) მიერ – კავენდიშის ლაბორატორიაში, კემბრიჯში. რა თქმა უნდა, ამ აღმოჩენის განვითარება აქ არ შეწყდა და მეცნიერებმა ატომის გახლეჩის სხვადასხვა გამოყენებას მიაგნეს, მათ შორის ენრიკო ფერმიმ, რომელმაც პირველი ატომური რეაქტორი შექმნა. ფერმიმ იცოდა, რომ ატომის გახლეჩა ნეიტრონების „გათავისუფლებას“ იწვევდა და მალევე გააანალიზა ის ფაქტიც, რომ ჯაჭვური ეფექტით ეს პროცესი შესაძლოა ორი შედეგით დასრულებულიყო, პირველი, რომელიც მან თავისი მემკვიდრებობის – ატომური რეაქტორის – შექმნაში გამოიყენა, სიმხურვალის სახით ენერგიის სტაბილურ გამოყოფამდე ან დამღუპველ, უზარმაზარ აფეთქებამდე. თუმცა ამ მოვლენებისგან არც ისე შორეულ მომავალში, ატომური ბომბის მამად წოდებულმა, ლოს ალამოს ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ჯ. რობერტ ოპენჰაიმერმა და „მანჰეტენის პროექტმა“ კაცობრიობისთვის წარმოუდგენლი

> ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ, ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲪᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ ᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ – 1932 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ – ᲯᲝᲜ ᲥᲝᲥᲥᲠᲝᲤᲗᲘᲡᲐ (John Cockcroft) ᲓᲐ ᲔᲠᲜᲔᲡᲢ ᲕᲝᲚᲢᲝᲜᲘᲡ(Ernest Walton) ᲛᲘᲔᲠ – ᲙᲐᲕᲔᲜᲓᲘᲨᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲙᲔᲛᲑᲠᲘᲯᲨᲘ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲛ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲥ ᲐᲠ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲜᲠᲘᲙᲝ ᲤᲔᲠᲛᲘᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲤᲔᲠᲛᲘᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲐ ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡ „ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ“ ᲘᲬᲕᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲒᲐᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲯᲐᲭᲕᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲗ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲝᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ – ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ – ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘ �გᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ, ᲡᲘᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲡ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠ �გᲐᲛᲝᲧᲝᲤᲐᲛᲓᲔ ᲐᲜ ᲓᲐᲛᲦᲣᲞᲕᲔᲚ, ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐᲛᲓᲔ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ, ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ, ᲚᲝᲡ ᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ჯ. ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲝᲞᲔᲜᲰᲐᲘᲛᲔᲠᲛᲐ ᲓᲐ „ᲛᲐᲜᲰᲔᲢᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲛᲐ“ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲚᲘ

დესტრუქციული ძალის მქონე პირველი ატომური იარაღი შექმნეს. მისივე მიღწევაზე თავად ოპენჰაიმერმა კი, ჰინდუს ერთ-ერთი წმინდა ტექსტიდან ბჰაგავატ-გიტადან მოყვანილი ციტატით გააკეთა კომენტარი, „ახლა მე ვიქეცი სიკვდილად, სამყაროთა გამანადგურებლად“ ('Now I am become Death, the destroyer of worlds').

აღნიშნული მოვლენა ნათლად ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება ერთი გამოგონების, როგორც „სამყაროს გასანადგურებლად“ გამოყენება, როგორც ეს სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ვიხილეთ, მეორე მხრივ, ისე როგორც ენერგიის წყაროდ, რესურსად, რომლის დეფიციტის გამოც უამრავი ომი წარმოებულა და უამრავი ადამიანი შეუწირავს მსხვერპლად.

ინტერნეტი ნამდვილად არის კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოგონება და მიღწევა, მისი საშუალებით თანამედროვე სამყაროში ნებისმიერ ადმიანს შეუძლია წარმოუდგენლად დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება, მოპოვება და დამუშავება, განათლებისა და ცოდნის მიღება, კომუნიკაციის დამყარება წამიერად და საზღვრების გარეშე, მისი საშუალებით ხელოვნება, ლიტერატურა და ნებისმიერი სახის კულტურა, რომელიც კაცობრიობის საწყისებიდან დღევანდელობამდე შემორჩა ერთი ღილაკის დაშორებითაა ნებისმიერი მსურველისაგან. ინტერნეტმა თავისი არსებობით არამხოლოდ ცოდნის, არამედ კაცობრიობის მორალის განვითარებასაც შეუწყო ხელი, სწორედ მისი საშუალებით დაიწყო არაერთი მოძრაობა, რომელმაც სხვადასხვა უმცირესობას საშუალება მისცა საკუთარი ხმა ფართო საზოგადოებამდე მიეტანა და ბრძოლის შანსი ჰქონოდა დისკრიმინაციისა და უთანასწორობის წინააღმდეგ. თუმცა ისევე, როგორც ყველაფერს ინტერნეტსაც გააჩნია მონეტის მეორე მხარე, რომლის მიღმაც ამორალური, მენტალურად არამდგრადი ადამიანების ჯგუფები იმ შესაძლებლობებს, რასაც ინტერნეტი კაცობრიობას სთავაზობს ბოროტად, დესტრუქციისა და ტერორის გასავრცელებლად იყენებენ.

სწორედ მსგავსი საფრთხეების შესახებ შეიტყობთ ამ სტატიის მეშვეობით. „თამაშებისა“ და გამოწვევების შესახებ, რომლებიც მცირეწლოვან ადამიანებსა და მარტივად გავლენის ქვეშ მოქცევად, მოწყვლად ადამიანებს იღებს მიზანში და მათით მანიპულირებს.

სასიკვდილო მეკობრეობა / მეთიხვევის თამაში / THE CHOKING CHALLENGE / BLACKOUT GAME

ამ გამოწვევამ პოპულარობა მოიპოვა მოზარდებს შორის, რომლებმაც საკუთარი თავის დახრჩობა დაიწყეს, რათა ეიფორია განიცადონ მათი აზრით, ტვინისათვის ჟანგბადის მიწოდების შეწყვეტამ და სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვით შეძლებენ დროებითი ეიფორიის გამოწვევას. ისინი იმედოვნებენ რომ შეჩერებას დროულად მოახერხებენ.

გამოწვევის წესები/ინსტრუქციები თავდაპირველად სიტყვიერი სახით გავრცელდა, მოზარდები მას ჯგუფებში ან წყვილებში „თამაშობდნენ“. ერთ-ერთი მოზარდი ახრჩობდა მეორეს, თუმცა საფრთხის/სიკვდილის მოახლოებასთან ერთად მოზარდი წყვეტდა ხრჩობის პროცესს. ახლა კი, მილიონობით ტუტორიალის ვიდეოა ხელმისაწვდომი მარტივი ძიების საშუალებით, მოზარდები კი მას უკვე დიდი ალბათობით მარტო თამაშობენ, საკუთარ ოთახში. ქამრებისა და თასმების გამოყენებით. სხვა მოთამაშის ყურადღების „დაცვის“ გარეშე კი თამაში ბევრად უფრო სახიფათო და ფატალური გახდა.

"how to play pass out game"-ის მარტივი ძებნის შემდეგ Youtube -ზე 36 მლნ. ზე მეტი შედეგის პოვნა შეიძლება, ხოლო 1.5 მლნ.-ზე მეტი "how to play choking game" .

2021 წლის იანვარში ანტონელა სიკომეროს გარდაცვალებისა და იტალიაში TikTok-ის დაუმოწმებელი ანგარიშების აკრძალვის შემდეგ, კომპანია დათანხმდა ქვეყნის 12,5 მილიონი მომხმარებლის ასაკის ხელახლა გადამოწმებას. წაშალა ნახევარ მილიონზე მეტი ანგარიში. TikTok-მა ასევე უთხრა თავის რეგიონალურ მენეჯერებს, რომ თვალყური ადევნონ თავიანთ ბაზრებზე არსებულ ნებისმიერი გამოწვევის კონტენტს, წაეშალათ ვიდეოები, რომლებიც ავრცელებდნენ ამ კონტენტს და „წაართვეს“ მომხმარებლებს შესაძლებლობა აპლიკაციაში მოძებნონ იგი.

TikTok-მა უარი თქვა იმის გამხელაზე, თუ რამდენი ვიდეო იყო საერთო ჯამში წაშლილი, მაგრამ TikTok-ის წარმომადგენელმა Mahsau Cullinane -მა თქვა, რომ კომპანიას არასოდეს უპოვია რაიმე მტკიცებულება პლატფორმაზე არსებული გამოწვევის შესახებ. ის მიუთითებს გამოკითხვაზე, რომელიც მან იმ წელს ჩაატარა, სადაც ნაჩვენებია, რომ მოზარდების მხოლოდ 0,3%-მა თქვა, რომ მონაწილეობა მიიღეს იმ გამოწვევაში, რომელიც მათ „ნამდვილად საშიშად" მიიჩნიეს. ბევრად უფრო გლობალურ-მა გამოკითხვამ კი ასევე დაადგინა, რომ 2%-მა თქვა, რომ მონაწილეობას მიიღებდა გამოწვევებში, რომლებსაც ისინი მიიჩნევდნენ „სარისკოდ და საშიშად", პროცენტული მაჩვენებლებით თითქოს ეს რიცხვები არც ისე დიდი რისკის მატარებლები არიან, მაგრამ კვლევების მასშტაბურობიდან გამომდინარე, საუბარია ათასობით ან ათიათასობით მოზარდზე, რომელიც მზად არის საკუთარი სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენოს.

ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲡ / ᲬᲘᲜᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲡ / THE GHOST PEPPER CHALLENGE

ასევე ცნობილი, როგორც bhut jolokia , არის მსოფლიოში ყველაზე ცხარე წიწაკა. მოზარდები თავდაპირველად მისი „დაგემოვნების" რეაქციებს იწერდნენ და აზიარებდნენ ინტერნეტ სივრცეში. ამ ქმედების საბოლოო შედეგი კი აუტანელი ტკივილია, თუმცა ზოგიერთ ადამიანზე ბევრად უფრო ფატალური შედეგიც აქვს. მას შეუძლია გამოიწვიოს გულისრევა, ხრჩობა და შესაძლოა მოზარდის ჰოსპიტალიზებაც კი გახდეს საჭირო.

თამაშის წესები საკმაოდ მარტივია, დასაწყისში მოთამაშე აცხადებს გამომწვევის სახელს, ხსნის პაკეტს და ერთიანად ღეჭავს მთლიან წიწაკას, რის შემდეგაც საჭიროა მინიმუმ 10 წამის განმავლობაში განაგრძოს ღეჭვა, შემდგომ გადაყლაპოს. მომხმარებლებს შეუძლიათ „ბონუს ქულების" დაგროვება ვიდეოს გახანგრძლივებით და, რაც შეიძლებაა დიდხანს წყლის ან სხვა რაიმე სასმელის გარეშე გაძლებისთვის. გამოწვევას მინიმალური რეზოლუციის მოთხოვნაც კი აქვს.

ერთ-ერთი პირველი, ვისგანაც ამ გამოწვევამ დიდი ალბათობით მეორე სიცოცხლე შეიძინა არის Youtube ვლოგერი Stromedy, რომელმაც როგორც თავის ვლოგში ახსნა, გამოწვევის შესახებ ბიძამისისგან შეიტყო, რომელმაც უთხრა, რომ მისი მოზარდობისას გამოწვევაში მონაწილეობის მიღება „მიღწევად" ითვლებოდა, ვიდეოს გადაღების შემდგომ იგი 300 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა, ხოლო 17 ათასზე მეტი მოწონება დაიმსახურა.

ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲡ / THE SALT AND ICE CHALLENGE

ამ თამაშის მიმდინარეობისას მოთამაშეებს სთხოვენ სხეულის, რომელიმე ნაწილზე მარილის დაყრას შემდგომ კი მასზე ყინულის მოთავსებას. რაც დამწვრობის შეგრძნებას იწვევს, მოყინვის მსგავსს. შემდგომ კი იმარჯვებს ის მოთამაშე, რომელიც ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში შეძლებს ტკივილის ატანას. ტკივილი, რა თქმა უნდა, არც ისე მცირეა, რადგან მარილისა და ყინულის ურთიერთქმედება იწვევს ქიმიურ რეაქციას, რომლის შედეგადაც „ნაზავი" -18 გრადუსამდე ცივდება და კანის გარსისა თუ კუნთოვანი მასის დამწვრობას იწვევს. გამოწვევას მარტივად შეუძლია მეორე ან მესამე ხარისხის დამწვრობების მიყენება, ნერვული სისტემის დაზიანების გამოწვევა და სხვა ფიზიკური ზიანის მიყენება მონაწილისთვის, ხოლო პროცესის ჩაწერისა და შემდგომში Youtube-სა და სხვა პლათფორმებზე განთავსებით მონაწილეთა რიცხვი დროთა განმავლობაში მატულობს.

მიუხედავად იმისა, რომ მარილისა და ყინულის გამოწვევა ჯერ კიდევ 2019 წელს არ წარმოადგენდა სიახლეს, მან „მეორე სიცოცხლის" შეძენა მაინც მოახერხა, რის შემდგომაც არაერთმა თინეიჯერმა მიიღო სხეულის საკმაოდ სერიოზული დაზიანება, ზოგიერთმა მათგანმა თამაშის წესების შეცვლა და უფრო „კრეატიულად" მონაწილეობაც კი დაიწყო და თამაშის წესებს სხვადასხვაგვარად ართულებდნენ.

ლუსი ვეშაპი

ზემოთ ჩამოთვლის „თამაშებს“ შორის ალბათ ყველაზე, საშიშს მაინც ლურჯი ვეშაპი წარმოადგენს, თავისი კომპლექსურობისა და მის უკან მყოფი პედანტური გონებისგან და ორგანიზებულობისაგან გამომდინარე. ლურჯი ვეშაპი არის თამაში, რომელიც 50 დღის განმავლობაში მიმდინარეობს და დღის განმავლობაში მონაწილემ 1 კონკრეტული დავალება უნდა შეასრულოს, 50-ე დღეს კი მის საბოლოო დავალებას საკუთარი სიცოცხლის სუიციდით დასრულება წარმოადგენს. თითქოს ერთი შეხედვით შეუძლებელია ადამიანს, რომელსაც არ სურს საკუთარ სიცოცხლეს ავნოს, დააძალო, როგორმე მონაწილეობა მიიღოს „თამაშში“, რომელიც მისი სიცოცხლის მოსპობას ემსახურება. მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი ინტერესით იწყება, თამაში კი შეიძლება ითქვას ეტაპობრივად „რთულდება“ და ორიენტირებულია იმაზე, რომ მას შემდგომ, რაც ადამიანი მასში ჩაერთვება, ერთი შეხედვით უკან დახევის ყოველგვარი შესაძლებლობა გერთმევა.

დავალებები თავდაპირველად, საკუთარი თავისთვის მინიმალური ფიზიკური ზიანის, მიყენებაზე ორიენტირდება, თუმცა მის სამიზნეს მონაწილის ფსიქოლოგია და მენტალური მდგომარეობა წარმოადგენს, დავალებები ორიენტირდება ადამიანის იდენტობის წაშლაზე, საკუთარ სხეულზე ერთგვარი ნუმერაციის ამოკაწვრით, ისევე როგორც ნაცისტები ცდილობდნენ ებრაელებისათვის წაერთმიათ პიროვნულობა და იდენტობა, საკუთარი მენტალური მდგომარეობის მაქსიმალურ წნეხში მოქცევასა და „კურატორის“ მიერ შენი თითოეული ნაბიჯის კონტროლით, ასევე სხვა მონაწილეებთან კომუნიკაციით, ბრბოს ფსიქოლოგიის გამოყენებით შენი თამაშში შენარჩუნებით, სიმაღლესთან და მაღალ ადგილებთან შეგუებისა და ადაპტირებაზე, მორგებული დავალებებით კი სავალალო ნაბიჯისთვის მოსამზადებელ პირობებს შენვე განხორციელებინებენ, ხოლო საბოლოოდ 20 დღიანი გამოუძნებლობითა და დეზორიენტაციის შემდეგ მონაწილე იღებს დავალებას, რომელიც ამდენხნიანი უძილობის, დატვირთვისა და მოუსვენრობის ფონზე, ისედაც მარტივად სხვისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევად ადამიანს, რომელიც ამ ყველაფერმა კიდევ უფრო დამყოლი გახადა, საკუთარი სიცოცხლის მოსწრაფებისკენ მოუწოდებს.

როგორც პუბლიუს ფლავიუს რენატუს ვეგეციუსი ამბობს Si Vis Pacem, Para Bellum ანუ „თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის“ . ასევეა ამ შემთხვევაშიც თუ გვსურს, რომ აღარ გავიმეოროთ წარსული შეცდომები და შედარებით მოწყვლადი ჯგუფი აღარ დადგეს საფრთხის წინაშე. მოზარდების გრძნობებითა და ემოციებით მანიპულირება ადვილია და ამიტომ ექცევიან ისინი მავნე ზეგავლენის ქვეშ. ამ ხშირად საბედისწერო ზეგავლენის პრევენციის საუკეთესო საშუალებას კი ინფორმირებულობა წარმოადგენს, რათა ადამიანებმა დროულად შეძლონ იმ ქცევითი მოდელის ამოცნობა, რომლებიც მსგავს თვითდაზიანებად თამაშებს და მათ უკან მდგომ ამორალურ ადამიანებს აერთიანებთ და, არათუ მათი ზეგავლენისგან სჭირდებოდეთ თავის დაღწევა, რათა სრულფასოვნად შეძლონ ცხოვრების გაგრძელება, არამედ ფიქრადაც კი არ გაივლონ მსგავს დესტრუქციულ „პროექტებში“ მონაწილეობის მიღება და საჭიროების შემთხვევაში დროულად ითხოვონ დახმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://shorturl.at/qtxE0
2. https://rb.gy/zewiu
3. http://www.greatachievements.org/?id=3695
4. https://www.atomicheritage.org/profile/j-robert-oppenheimer#:~:text=Robert%20Oppenheimer-,J.,father%20of%20the%20atomic%20bomb.%22
5. https://en.wikipedia.org/wiki/Choking_game
6. https://time.com/5189584/choking-game-pass-out-challenge/
7. https://en.wikipedia.org/wiki/Hot_pepper_challenge
8. https://www.youtube.com/watch?v=NyO4IFsIyI
9. https://en.wikipedia.org/wiki/Salt_and_ice_challenge
10. https://www.youtube.com/watch?v=AhX1480QGkg

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲘᲚᲐᲫᲔ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲠᲝᲑᲝᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲝᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲭᲠᲘᲐᲮᲝᲑᲐᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲮᲕᲔᲬᲐᲗ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘ — „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1950 ᲬᲚᲘᲡ ᲯᲝᲜ ᲛᲐᲥᲥᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲘᲒᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ — Ს�წᲐᲕᲚᲘᲡᲐ ᲐᲜ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲐᲡ�პᲔᲥᲢᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ — ᲙᲝᲛ�პᲘᲣᲢᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ. ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲑᲐ Ი�პᲝᲕᲝᲡ ᲒᲖᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲔᲜᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲝᲜ, ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲜ ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ, ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ , ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ — Software-ᲡᲐ ᲗᲣ Hardware-ᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ .

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ: ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲒᲐᲐᲥᲠᲝᲑᲓᲐ „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ“ (Human error) ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ �გᲝᲜᲔᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲗ, ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲚᲝ�გᲘᲙᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲓᲐ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

არ არის ამა თუ იმ პრობლემისთვის, ასევე ხშირია „ადამიანური შეცდომის“ შემთხვევები, როდესაც ისინი ერთი პრობლემის გადაწყვეტით ახალს წარმოქმნიან ხოლმე, რადგან ვერ შეძლეს ქმედებათა ჯაჭვის სრულად დანახვა, ხელოვნური ინტელექტი კი ადამიანზე ბევრად სწრაფად შეძლებს მილიონობით სხვადასხვა ქმედებათა ჯაჭვისა და შედეგის დანახვასა და გაანალიზებას და მათ შორის ყველაზე ეფექტურს აირჩევს.

თუმცა, მიუხედავად მისი ეფექტურობისა, კვლავ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ხელოვნური ინტელექტის იდეასა და მის რეალობაში განხორციელებას. ისინი ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა არგუმენტს უპირისპირებენ, მათი აზრით, მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის მაღალი ეფექტურობის მაჩვენებლისა მათ არ გააჩნიათ ემოციები, ემოციები, რომლებიც საჭიროა „ადამიანური კავშირის“ დასამყარებლად, რომელიც ამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის, რათა მათ ჯანსაღად შეძლონ ფუნქციონირება სამუშაო გარემოში.

თუმცა სკეპტიკოსების ამ არგუმენტის გაბათილება, მარტივად არის შესაძლებელი, რადგან თანამედროვე „მიახლოებული ხელოვნური ინტელექტის“ სისტემებსაც კი შეუძლიათ ადამიანური ემოციების წაკითხვა, რომლის შესასწავლად და განსავითარებლად არსებობს ცალკე მიმართულება „ემოციური ხელოვნური ინტელექტი“ (Emotional AI), რომელსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც აფექტური გამოთვლა და ხელოვნური ემოციური ინტელექტი, ამ მიმართულების დანიშნულებას წარმოადგენს ადამიანური ემოციების წაკითხვა და მისი „გამეორება“. რისთვისაც პროგრამა ადამიანის მსგავსად იყენებს – კონტექსტის, ხმის ტონის, გამომეტყველებისა და ჟესტების მეშვეობით, რაზე დაფუძნებითაც იგი თავისსავე ქცევასაც ცვლის. აღნიშნულ მიმართულებაზე მუშაობა კი ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს ამ ეტაპისთვის ბევრად უკეთ შეგვიძლია ამ ემოციების ამოცნობა და მათ მიმართ ემპათიით განწყობა ეს დარგი ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის ევოლუციას.

ხელოვნური ინტელექტი ასევე შეძლებს გასწიოს რისკი ადამიანთა ნაცვლად, თუმცა ეს ნაწილი, თავისი სრული პოტენციალის გამოსავლენად და გამოსაყენებლად, არამხოლოდ სრულად ფუნქციონირებადი ხელოვნური ინტელექტის არსებობას არამედ, თანამედროვე რობოტების დახვეწასა და განვითარებასაც მოითხოვს. საბოლოოდ კი, რობოტებს, რომლებიც აღჭურვილი არიან ხელოვნური ინტელექტის პროგრამული უზრუნველყოფით და გააჩნიათ ადამიანის მიერ შესრულებული მოძრაობების სრულად გამეორების შესაძლებლობა, შეუძლიათ ადამიანის ნაცვლად შევიდეს ცეცხლმოკიდებულ შენობაში და მეხანძრის ნაცვლად საკუთარ თავზე აიღოს რისკი, იმუშაოს რადიაციულ ნივთიერებებთან და სხვა მრავალი საფრთხისგან დაიცვას ადამიანები. მაგალითისთვის, ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი, რობოტების წყალობით შესაძლებელი იქნებოდა ჩერნობილის ტრაგედიისას ხანძრის საწყის ეტაპებზე კონტროლი, რადგან ნებისმიერი ადამიანი რომელიც ბირთვს (The core) უახლოვდებოდა რამდენიმე წამში, რადიაციისგან იღუპებოდა, საობოლო ჯამში საჭირო გახდა სილასა და ბორში ბირთვის დამარხვა ვერტმფრენის საშუალებით, რასაც, რა თქმა უნდა, მოსამზადებელი პერიოდი სჭირდებოდა, რომლის დროსაც კი ზიანი თანდათანობით იზრდებოდა, მაგრამ რობოტები, რომელთა ჯანმრთელობასაც პრობლემა არ შეექმნებოდა შეძლებდნენ ხანძრის ლოკალიზებასა და ზიანის შემცირებას.

თუმცა, სკეპტიკოსები და არამხოლოდ სკეპტიკოსები, ხელოვნური ინტელექტისგან მიღებულ ამ სარგებელსაც უძებნიან კონტრარგუმენტს მორალურ პრობლემას, როგორც ადამიანის ასევე ხელოვნური ინტელექტის მხრიდან. ამ აზრს ყველაზე კარგად კრის სთოუქსი, ჩინეთში ვუჰანის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, წარმოაჩენს სტატიაში, ის ცდილობს ახსნას თუ რატომ არაა გამოსადეგი, რობოტიკის სამი კანონი რეალურ ცხოვრებაში.

რობოტიკის სამი კანონი აიზეკ აზიმოვის, მწერლისა და მეცნიერის, რომელმაც სხვადასხვა უნივერსიტეტიდან 14 საპატიო დოქტორის ხარისხი მიიღო, მიერ თავისი ნაწარმოებებისთვის შექმნილი კანონთა ერთობლიობაა. 1. რობოტს არ შეუძლია მიაყენოს ზიანი ადამიანს საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით დაუშვას რომ ადამიანს რაიმე სახით ზიანი მიადგეს; 2. რობოტი უნდა დაემორჩილოს ადამიანის მიერ მიღებულ ნებისმიერ ბრძანებას, თუ იგი რაიმე სახით არ ეწინააღმდეგება პირველ კანონს; 3. რობოტმა უნდა დაიცვას საკუთარი არსებობა, თუ ეს დაცვა კონფლიქტში არ მოდის პირველ ან მეორე კანონთან ; ნულოვანი კანონი, რომელიც შემდგომში დაემატა პირველ სამ კანონს : რობოტმა არ უნდა ავნოს კაცობრიობას ან საკუთარი უმოქმედობით დაუშვას, რომ კაცობრიობას რაიმე ზიანი მიადგეს.

თუმცა, როგორც კრის სთოუქსი ამბობს ეს კანონები გამოუსადეგარია, რადგან – „პირველი კანონი მარცხდება ენაში, ფორმულირებაში არსებული გაურკვევლობის გამო და რთული ეთიკური პრობლემების, რომლებიც არის ზედმეტად რთული რომ ჰქონდეთ მარტივი „კი“ ან „არა“ პასუხი; მეორე კანონი მარცხდება მისი არაეთიკური ბუნებიდან გამომდინარე, რადგან კანონი მოითხოვს რომ მოაზროვნე არსებები დარჩენენ მონებად; მესამე კანონი მარცხდება, რადგან იგი იწვევს მუდმივ სოციალურ სტრატიფიკაციას, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფას, „სისტემაში“ დიდი რაოდენობით ჩაშენებული ექსპლუატაციის გამო; ნულოვანი კანონი მარცხდება გაურკვეველი იდეოლოგიის გამო ; ხოლო თითოეული კანონი მარცხდება, რადგან ძალიან მარტივია გვერდი აუარო კანონის „სულს“, მაგრამ მაინც ემორჩილებოდე მას.“

მიუხედავად იმისა, რომ მარტივია დავინახოთ და მივყვეთ ლოგიკას, ქრის სთროუქსის მსჯელობაში, ჩემი აზრით, ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად პირველი პრობლემის დაძლევა მარტივად გახდება შესაძლებელი, რომ ხელოვნურ ინტელექტს მივცეთ შესაძლებლობა გაიაზროს რთული ეთიკური პრობლემები და გადაწყვეტილებები კონკრეტულ კანონთა კრებულზე – „მორალზე“ დაფუძნებით მიიღოს. ხოლო დანარჩენი ორი პრობლემა, რომლებიც ქრის სთროუქსის მოსაზრებით ადამიანების მხრიდან არის არაეთიკური და ამორალური ჯერ კიდევ არ დგას დღის წესრიგში, რადგან იყოს მოაზროვნე არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვნურ ინტელექტს ექნება თავისუფალი ნება, არა იმიტომ, რომ მას ადამიანი არ მისცემს, არამედ იმიტომ რომ, იმისათვის, რომ გაგაჩნდეს თავისუფალი ნება აუცილებელია გაგაჩნდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რაც რთულია, როცა კონკრეტული მიზნისთვის ხარ შექმნილი. მაგალითისთვის ადამიანები, რომ ავიღოთ ადამიანის თავისუფალი ნება მომდინარეობის მისი აღზრდიდან და განვითარებიდან, რადგან სწორედ ამ პროცესის დროს უყალიბდება, მას ინდივიდუალიზმი, მორალი, პირადი მისწრაფებები და სურვილები, რაც შემდგომში განაპირობებს იმას, რომ ადამიანს გააჩნია თავისუფალი ნება, ამავდროულად შეუძლებელია განსაზღვრო ესა თუ ის გარემო ფაქტორი სხვადასხვა ადამიანზე, როგორ იმოქმედებს, იმიტომ, რომ ადამიანები ბოლომდე რაციონალური არსებები არ ვართ, ჩვენს გონებასა და სხეულში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები, ემოციები და ქვეცნობიერი უნიკალურებად გვაქცევს, მაგრამ იგივეს თქმა მინიმუმ ტექნოლოგიური პროგრესის ამ ეტაპზე შეუძლებელია ითქვას, რომელიმე ხელოვნური ინტელექტის ალგორითმზე, რადგან თუნდაც მათ შეეძლოთ თავისუფალდ აზროვნება, მათ ფსიქიკასა და ფსიქოლოგიაზე გავლენა არ ჰქონია უამრავ ადამიანსა და ფაქტორს, მათში არ არსებობს იმ ინდივიდუალურობისა და უნიკალურობის ნაპერწკალი, რომლითაც ადამიანია დაჯილდოებული – რაც პირდაპირ კავშირშია თავისუფალ ნებასთან და სწორედ ამ უნიკალურობის დანაკლისის გამო, ჩემი აზრით, ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც თავისუფალი ნება ექნება ჯერ კიდევ სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს წარმოადგენს. ხოლო თავისუფალი ნებისა და მისი წართმევის გარეშე შეუძლებელია ვინმე ან რაიმე დაიმონო, განსაკუთრებით საკუთარი ქმნილება, რომელიც კონკრეტული დანიშნულებით არის შექმნილი და ცოცხალ ორგანიზმადაც ვერ მოხერხდება მისი კლასიფიცირება.

კიდევ ერთი მიმართულება, რომელშიც ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ადამიანებს დაეხმაროს არის გამეორებადი სამუშაო, რომლის შესრულებაც ამ ეტაპისთვის ხშირ შემთხვევაში ადამიანებს უწევთ, მაგრამ მათი ავტომატიზირების შემთხვევაში იგივე საქმის შესრულება ბევრად სწრაფად და ხარისხიანად იქნება შესაძლებელი, თუმცა ხშირად ადამიანებს ხელოვნური ინტელექტის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება სწორედ ამ „სარგებლის" გამო აქვთ, მათი აზრით, რობოტები და ხელოვნური ინტელექტი მათ სამუშაო ადგილებს დაიკავებენ და შემოსავლის წყაროს წაართმევენ, მაგრამ რატომღაც არ უნდათ იმის გააზრება, რომ ახალი ტექნოლოგიის დანერგვა თავისთავად ნიშნავს ახალი პროფესიებისა და სამუშაო ადგილების შექმნას. ხოლო ადამიანებს საშუალებას მისცემს თავიანთი დრო ბევრად უფრო კრეატიულ და საინტერესო სამუშაოს მოახმარონ.

ასევე ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობისა და მისი არსებობის სარგებლიანობის არგუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ – EMI – ექსპერიმენტები მუსიკალურ ინტელექტში, პროგრამა, რომელმაც შეძლო ბახის სტილში შეექმნა უკეთესი მუსიკალური ნაწარმოები ვიდრე ადამიანს. მეტიც თავის წიგნში „ჰომო დეიუსი: ხვალინდელობის მოკლე ისტორია" – იუვალ ნოახ ხარარი, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჩატარდა კვლევა, რომლის დროსაც საკვლევ ჯგუფს ასმენინებდნენ, ბახის , EMI-სა და სხვა არაცნობილი კომპოზიტორის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს, რის შემდეგაც ინდივიდებს უნდა გამოეცნოთ ნაწარმოებების ავტორები. კვლევის შედეგმა კი აჩვენა, რომ ადამიანთა უმრავლესობამ EMI-ს მიერ შექმნილი ნაწარმოები ბახს მიაკუთვნა, ბახისა უცნობ კომპოზიტორს, ხოლო უცნობი კომპოზიტორისა ალგორითმს.

აღნიშნული ექსპერიმენტი, ნათლად ასახავს ხელოვნური ინტელექტის უსაზღვრო პოტენციალს საზოგადოების სკეპტიციზმის ფონზე და წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რატომაც არ უნდა მოხდეს ამ მიმართულების განვითარებისა და ევოლუციის შეწყვეტა, რათა მოხდეს სრულყოფილებასთან მაქსიმალურად მიახლოებული ხელოვნური ინტელექტის შექმნა და მისი სხვადასხვა დარგში გამოყენება და ამის მეშვეობით ამ დარგების განვითარება და მათთვის სრულიად ახალი სახის მიცემა, რაც კაცობრიობისთვის სრულიად ახალ შესაძლებლობებსა და ხედვებს გააჩენს.

მიუხედავად იმისა, რომ ომი ტექნოლოგიურ პროგრესზე ხშირ შემთხვევაში დადებითად, მოქმედებს, რადგან ორივე მხარე ცდილობს, უფრო ახალი და უფრო განვითარებული ტექნოლოგია შექმნას - ერთადერთი მიმართულება, რომელშიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლოა არასწორად ჩაითვალოს არის ომი ან/და საბრძოლო მოქმედებები, ამას რამდენიმე მარტივი მიზეზი განაპირობებს, პირველი ის რომ ჰუმანური თვალსაზრისიდან ამორალურია თუნდაც იმაზე ფიქრი, რომ ადამიანები შექმნიან დამოუკიდებლად მოაზროვნე რობოტებს, რომლის მთავარი დანიშნულებაც განადგურება და ომის წარმოება იქნება, ამავდროულად ხელოვნური ინტელექტი საკუთარ გამოთვლებს ფაქტებზე დამყარებით აწარმოებს, რის გამოც იგი ვერ შეძლებს პარადოქსების აღქმას, მაგალითისთვის ავიღოთ „მატყუარას პარადოქსი" – თუ ადამიანი ამბობს რომ ის მატყუარაა, ყოველთვის იტყუება და ამატებს ფაქტს, რომ მან ახლახან მოიტყუა. არის თუ არა იგი მატყუარა?! ამ პრობლემის გადაჭრას უამრავი ფილოსოფოსი ეცადა, უშედეგოდ. მსგავსად მატყუარას პარადოქსისა, საომარი მოქმედებებისას, როგორ შევძლებთ ხელოვნურ ინტელექტს ავუხსნათ ვის უნდა ავნოს და ვის არა?! საომარი მოქმედებებისას ადამიანების მთავარ მიზანს მოწინააღმდეგის დამარცხება და მისთვის ზიანის მიყენებაა, თუმცა ამავდროულად ადამიანთა უმრავლესობას გააჩნია საკუთარი მორალი და პრინციპები, რომლებსაც არასდროს არ გადაუხვევს და, რომლებიც ემპათიის გამოვლენისკენ მოუწოდებს მათ, თუმცა არ არსებობს მორალის უნივერსალური მოდელი, ამავდროულად ხელოვნური ინტელექტისთვის პარადოქსი იქნება იმის განსაზღვრა, რომ ზოგიერთი ადამიანი „იმსახურებს" ზიანის მიყენებას, მაგრამ

ზოგიერთი უნდა დაიცვას, ასევე მისთვის რთული იქნება სამოქალაქო და სამხედრო პირების გარჩევა, მითუმეტეს, როცა ორივე შემთხვევაში აღნიშნული ადამიანები მის „მტრებს“ წარმოადგენენ, მეორეს მხრივ შესაძლოა ბაზის შექმნა, რომელშიც ადამიანებს, როგორც „საფრთხის“ შემცველებად და „უსაფრთხოებად“ დავაკლასიფიცირებთ, მაგრამ ეს მეთოდიც არ არის გამართლებული, პირველ რიგში იმიტომ, რომ თითქმის შეუძლებელია თითოეული ადამიანის იდენტიფიცრება, ბაზაში შეგროვება და შემდგომ მათი კლასიფიცირება, ამავდროულად სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა ერთი შეხედვით უსაფრთხო და უწყინარ ადამიანებს კაცობრიობისთვის და კონკრეტული სოციუმისთვის წარმოუდგენელი ზიანი მიუყენებია.

ამავდროულად სტრატეგიულად და ლოგიკურად ყველაზე გამართლებული გზა, რომლითაც ომის მოგებას შევძლებთ ხშირად არაჰუმანური, ამორალური და უსამართლოა, ხოლო ინტელექტი, რომელიც ორიენტირებულია იმაზე რომ „პრობლემის“ გადასაჭრელად ყველაზე მარტივი და ეფექტური გზა გამოიყენოს, ამ შემთხვევაშიც პარადოქსის წინაშე აღმოჩნდება, რადგან მანდ არჩევანი უნდა გააკეთოს მორალურსა და ეფექტურს შორის, რის გამოც შეიძლება არ ან ვერ დაიცვას თუნდაც ჟენევის კონვენცია ან/და უბრალოდ ვერ შეძლოს ადამიანური ემპათიის გამოვლენა.

ნებისმიერ ტექნოლოგიასა და აღმოჩენას, ორი მხარე გააჩნია, პოზიტიური და ნეგატიური. მაგალითად ატომის, მისი ენერგიისა და გახლეჩის შესაძლებლობის შესწავლამ შესაძლებელი გახადა ატომური ელექტროსადგურების აშენება და მათი გამოყენებით ენერგიის მიღება, რომელიც დედამიწისთვისაც და ადამიანისთვისაც ბევრად ნაკლები ზიანის მომტანია და სარგებლიანი, მაგრამ მეორე მხრივ შეიქმნა ატომური ბომბი, რომელმაც თითქოს ორმხრივად გარანტირებული განადგურების „ცნებისა“ და „ფილოსოფიის“ წყალობით საომარი დაპირისპირების შესაძლებლობა შეამცირა, მაგრამ კაცობრიობისთვის ჰიროსიმა და ნაგასაკი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე დიდ ლაქას წარმოადგენს, ხოლო ატომური იარაღი ყველაზე დიდ საფრთხეს. შესაბამისად ხელოვნური ინტელექტის განვითარება და მასთან დაკავშირებული რისკები სრულად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რისთვის გამოიყენებს მას ადამიანი.

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. https://www.britannica.com/technology/artificial-intelligence#:~:text=Artificial%20intelligence%20(AI,in%20specific%20tasks.
2. https://towardsdatascience.com/advantages-and-disadvantages-of-artificial-intelligence-182a5ef6588c#:~:text=Artificial%20Intelligence%20is,improve%20themselves.%E2%80%99
3. https://gulfbusiness.com/human-error-in-data-analytics-and-how-to-fix-it-using-artificial-intelligence/
4. https://towardsdatascience.com/advantages-and-disadvantages-of-artificial-intelligence-182a5ef6588c#:~:text=There%20is%20no%20doubt%20that%20machines%20are%20much%20better%20when%20it%20comes%20to%20working%20efficiently%20but%20they%20cannot%20replace%20the%20human%20connection%20that%20makes%20the%20team.%20Machines%20cannot%20develop%20a%20bond%20with%20humans%20which%20is%20an%20essential%20attribute%20when%20comes%20to%20Team%20Management.
5. https://www.iotforall.com/emotional-ai-are-algorithms-smart-enough-to-decipher-human-emotions#:~:text=Emotional%20AI%2C%20also,its%20demeanor%20accordingly.
6. https://towardsdatascience.com/advantages-and-disadvantages-of-artificial-intelligence-182a5ef6588c#:~:text=This%20is%20one,a%20mere%20distance
7. https://towardsdatascience.com/advantages-and-disadvantages-of-artificial-intelligence-182a5ef6588c#:~:text=This%20is%20one,a%20mere%20distance
8. https://en.wikipedia.org/wiki/Isaac_Asimov#cite_note-206:~:text=He%20also%20received%2014%20honorary%20doctorate%20degrees%20from%20universities.%5B195%5D
9. https://en.wikipedia.org/wiki/Isaac_Asimov#cite_note-206:~:text=He%20also%20received%2014%20honorary%20doctorate%20degrees%20from%20universities.%5B195%5D
10. https://mindmatters.ai/2019/09/the-three-laws-of-robotics-have-failed-the-robots/

მარიამ ღანუღარიძე
მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, კომუნიკაციების კომისია

მედიაწიგნიერების განვითარება საქართველოში

თანამედროვე მედიაწიგნიერების თეორია და პრაქტიკა ერთგვარი გაგრძელებაა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნის ევროპაში დანერგილი პოლიტიკის სწავლების მეთოდებისა, რაც ორატორობასთან ერთად, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე იყო ორიენტირებული.

მესაკული

თანამედროვე სამყაროში, მედიაწიგნიერება ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. მედიაწიგნიერება, როგორც განათლებისა და კვლევის ცალკეული მიმართულება, დასაბამს 1970-იანი წლებიდან იღებს (Arke, 2013). ამ სფეროს განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა, დღესდღეობით, მედიაწიგნიერების ხელშეწყობა ხუთი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: ახალგაზრდების ჩართულობა; მასწავლებლების გადამზადება და სასწავლო რესურსების შექმნა; მშობელთა ცნობიერების გაზრდა; პოლიტიკის ინიციატივები და კვლევის შედეგად მონაცემთა ბაზის შექმნა (Bulger & Davison, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მედიაწიგნიერების უნივერსალური განმარტება, მკვლევართა უმრავლესობა, ისევე, როგორც ამ სფეროში ჩართული სხვადასხვა აქტორი, თანხმდება, რომ ეს არის კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებულ უნართა ერთობლიობა (Bulger & Davison, 2018). უფრო კონკრეტულად კი, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) მედიაწიგნიერებას განსაზღვრავს, როგორც მედიაპროდუქტზე წვდომის, მისი ანალიზის, კრიტიკული შეფასების, შექმნისა და გავრცელებისათვის საჭირო ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების, კომპეტენციებისა და ჩვევების ერთობლიობას.[1]

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მედიაწიგნიერების თეორია და პრაქტიკა ერთგვარი გაგრძელებაა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნის ევროპაში დანერგილი პოლიტიკის სწავლების მეთოდებისა, რაც ორატორობასთან ერთად, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე იყო ორიენ-

ტირებული (Hobbes & Jensen, 2009). ასევე, მედიაწიგნიერების პრაქტიკის განვითარება ფილმის, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის, გამოყენებასთანაც არის დაკავშირებული. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მედიაწიგნიერების ელემენტები სწორედ ვიზუალური განათლების, ანუ ფილმების სასკოლო სწავლებაში ინტეგრირების, პროცესში ვლინდებოდა, რომელიც აშშ-ში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, აღნიშნული მცდელობები მალევე წარუმატებლად შეფასდა განათლებისა და კომერციული სფეროს წარმომადგენელთა შეუთანხმებლობის გამო (Saettler, 2004).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კი, დაიწყო მედიაწიგნიერების განვითარების მეორე ტალღა, რაც კომუნიკაციების მეცნიერებისადმი გაზრდილ ინტერესს მოჰყვა ამერიკისა და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში (Hobbes & Jensen, 2009). ამ პერიოდში, მედიაწიგნიერების როლი გამოიხატებოდა ბავშვების დაცვაში მასობრივი ინდრუსტრიისთვის დამახასიათებელი სენსაციონალიზმისა და პროპაგანდისაგან (Alvarado, Gutch & Wollen 1987). თუმცა, მოგვიანებით, განათლების სფეროს წარმომადგენელთა დამოკიდებულება შეიცვალა ფილმებისა და ტელევიზიის მიმართ, რაც კომუნიკაციისა და გამოხატვის ლეგიტიმურ ფორმად დამკვიდრდა, და დაიწყო ფიქრი მათი განათლებაში ინტეგრირების სასარგებლო მხარეებზე (Hobbes & Jensen, 2009).

1970-იანი წლებიდან, მედიაწიგნიერებამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა – დემოკრატიული უფლებებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობების სწავლების პრაქტიკად იქცა. ამას თან მოჰყვა მედიააქტივიზმის ზრდა, რაც სასწავლო პროცესშიც აისახა. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და გაციფრულების ტენდენციამ კი, დამატებით არაერთი თავსატეხი გაუჩინა მედიაწიგნიერების სფეროს წარმომადგენლებს. თუმცა, ამასთან ერთად, გაჩნდა მრავალი შესაძლებლობაც, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარების საჭიროებას მნიშვნელოვნად ზრდის.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) აქტიურად მონაწილეობს მედიაგანათლების ხელშეწყობაში. UNESCO მიზნად ისახავს ისეთი ჯგუფების მედია და ინფორმაციული წიგნიერების კომპეტენციების განვითარებას, როგორებიც არიან: პოლიტიკის შემქმნელები, მასწავლებლები, ინფორმაციისა და მედიის პროფესიონალები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და დაუცველი მოსახლეობა. გარდა ამისა, ორგანიზაცია თანამშრომლობს წევრ სახელმწიფოებთან და ეხმარება მათ მედია და ინფორმაციული წიგნიერების პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებაში.

მედიაწიგნიერების ხელშეწყობისადმი გაზრდილი ინტერესის მაგალითია გაეროს მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის შესახებ რეზოლუცია, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2021 წლის 25 მარტს 75-ე სესიის ფარგლებში მიიღო. რეზოლუციის თანახმად, მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეული ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირას აღინიშნება სხვადასხვა ღონისძიებებით, რათა გლობალურად გაიზარდოს ცნობიერება მედიაწიგნიერების საჭიროებებისა და როლის შესახებ. მედიისა და ინფორმაციული წიგნიერების გლობალური კვირეულის შესახებ რეზოლუციას, გაეროს სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად, საქართველოც შეუერთდა.

საქართველოში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კანონისმიერი ფუნქცია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, 2017 წლის ბოლოდან დაეკისრა. ამ მიმართულებით საკუთარი წვლილი შეაქვს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების განხორციელების გზით.

ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲬᲘᲒᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ — ᲛᲔ-21 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲐ

ტექნოლოგიურმა წინსვლამ, ბევრ სიკეთესთან ერთად, საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. თანამედროვე სამყაროში ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება. ციფრული ტექნოლოგიების

განვითარებამ თითოეული ჩვენგანი ინფორმაციის მომხმარებლად და, ამავე დროს, მედიაპროდუქტის შემქმნელად აქცია. შესაბამისად, გაიზარდა ინფორმაციის გავრცელების მასშტაბი.

კომუნიკაციის საშუალებების მრავალფეროვნებამ და მოქალაქე ჟურნალისტების გაჩენამ განაპირობა მედიაწიგნიერების აუცილებლობა, რადგან სწორედ მედიაწიგნიერება აძლევს ადამიანს საშუალებას, გაიკვლიოს გზა ინფორმაციულ ლაბირინთებში, მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია და სწორად აღიქვას და გააანალიზოს იგი.

დღეს, ბევრად გართულდა არა ინფორმაციის მოძიება, არამედ, ინფორმაციის უწყვეტ ნაკადში მისი სიზუსტის გადამოწმება. ამდენად, ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა, ყალბი და ნამდვილი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა. სწორედ ამ პრობლემის საპასუხოდ გაჩნდა თანამედროვე ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიაწიგნიერების კომპეტენცია. ის, თუ როგორ ახერხებს ადამიანი ინფორმაციის გაანალიზებას, გაფილტვრას და შეფასებას, განსაზღვრავს მის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. ამგვარად, კრიტიკული და ლოგიკური ანალიზის უნარი წარმოადგენს მედიაწიგნიერების ძირითად კომპეტენციას.

მედიაწიგნიერება ციფრული საუკუნის გამოწვევების დასაძლევად ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია, ვინაიდან ყალბ ახალ ამბებთან, დეზინფორმაციასთან, მისინფორმაციასთან და პროპაგანდასთან გამკლავების ერთადერთი იარაღი ინფორმირებული და ცოდნით აღჭურვილი მოქალაქეა. ამიტომ, საზოგადოებაში მედიაწიგნიერების უნარების განვითარება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ გლობალურად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. მედიაწიგნიერების კიდევ ერთი დანიშნულება გახლავთ, ერთი მხრივ, მედიასტანდარტის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნას და, მეორე მხრივ, მოქალაქეების ინფორმირებულობის ხელშეწყობა, რათა შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება.

მედიაწიგნიერება, სოციალი მაგალითი ევროკავშირი

მედიაწიგნიერება, როგორც გამჭოლი კომპეტენცია, ეროვნულ სასწავლო გეგმას 2011 წელს დაემატა. ეროვნული სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს საგნების სწავლის სისტემური ცოდნის გადაცემასთან ერთად, გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარებას მოსწავლეში. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024) მოიცავს ცამეტ ასეთ კომპეტენციას, რომელთა ერთობლიობა წარმოადგენს სწორედ მედიაწიგნიერების საჭირო უნარებს. ეროვნული სასწავლო გეგმა, ასევე გვთავაზობს მედიაწიგნიერების განმარტებას, როგორც თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისთვის აუცილებელ კომპონენტს:

„საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად თანამედროვე სამყაროში ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გაზიარება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა. მეორე მხრივ - მედია სამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის გაფილტვრა) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.“

აღსანიშნავია, ევროპული ქვეყნების ძალისხმევა მედიაწიგნიერების ინტეგრირების ფორმალურ განათლებაში. ამ თვალსაზრისით, ევროკომისია 2009 წლიდან მოყოლებული აქტიურად უჭერს მხარს მედიაწიგნიერების ინტეგრირებას სასკოლო პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიას არ აქვს წევრ სახელმწიფოთა საგანმანათლებლო პოლიტიკის რეგულირების პირდაპირი შესაძლებლობა, რეკომენდაციებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების გზით, ევროპულმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ამ მიმართულებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მედიაწიგნიერების, როგორც სავალდებულო სასკოლო საგნის დანერგვა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ევროპისა და აშშ-ის მასშტაბით. არამედ, ის ძირითადად ისწავლება, როგორც არჩევითი საგანი (მაგ.: დანია, უნგრეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ესტონეთი, თურქეთი), ან ინტეგრირებულია სხვა სოციალური მეცნიერებების კურიკულუმებში (ფინეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია). ყოველივე ზემოაღნიშნული ხაზს უსვამს ფორმალურ განათლებაში მედიაწიგნიერების დანერგვის მნიშვნელობას, როგორც საქართველოში, ასევე, გლობალურად.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲬᲘ�გᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

საქართველო, ისევე, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ცდილობს საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების გზით დაძლიოს მზარდი დეზინფორმაციის გამოწვევა. ეს ფუნქცია ევროპის ქვეყნებში სწორედ მარეგულირებელ კომისიებს აკისრიათ. ამიტომაც, 2017 წელს, საქართველოს კომუნიკაციების კომისიამ პარლამენტს მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების წინადადება წარუდგინა, რომელიც ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს „აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ დირექტივას“ (2010/13/EC) ეფუძნებოდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ევროპული მარეგულირებლების უმრავლესობისთვის მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა კანონისმიერი ვალდებულებაა, კომისიამ სიღრმისეულად შეისწავლა ევროპის მარეგულირებლების, როგორც ნორმატიული ვალდებულებები, ასევე, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკა და სწორედ მასზე დაყრდნობით შეიმუშავა საკანონმდებლო ინიციატივა.

კანონის ძირითადი მიზანია საზოგადოების აღჭურვა „ცოდნის იარაღით“, რათა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გადატვირთული საინფორმაციო ველის პირობებში შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის გადამუშავება, კრიტიკული ანალიზი, შეფასება და ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. ასევე, კანონი უზრუნველყოფს დეზინფორმაციის, მისინფორმაციის, პროპაგანდის მავნე ზეგავლენისაგან და ამასთან დაკავშირებული საფრთხეებისგან თავის დაცვას.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, კომისიამ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, მედიაწიგნიერების პოლიტიკის განსაზღვრის როლი უნდა იკისროს და ის ქმედებები და აქტივობები განახორციელოს, რომლებიც გათვალისწინებულია „აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ დირექტივითა“ (2010/13/EC) და ევროკომისიის 2009 წლის რეკომენდაციით. „მედიაწიგნიერება ციფრულ გარემოში უფრო კონკურენტული აუდიოვიზუალური და კონტენტის ინდუსტრიისთვის და ინკლუზიური ცოდნის მქონე საზოგადოებისთვის“. კერძოდ, კომისია პასუხისმგებელია მედიაწიგნიერების დონისა და მისი პროგრესის სისტემატურ კვლევაზე, ისევე როგორც ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებაზე. განსაკუთრებით კი, შემდეგ სამიზნე ჯგუფებში: მოსწავლეები, ახალგაზრდები, მშობლები და მასწავლებლები.

საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ევროპული პრაქტიკა და აღნიშნული ცვლილება 2017 წლის დეკემბერში დაამტკიცა. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 2018 წლიდან, კომუნიკაციების კომისიას ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის ფუნქცია დაეკისრა. ამ მიზნით, 2018

წელს შეიქმნა მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტი და (ააიპ) მედია აკადემია. გარდა ამისა, მომზადდა მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სტრატეგიული ხედვა შეიმუშავა მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტმა მარტინა ჩეპმენმა, რომელიც წარმოადგენს ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, როგორიცაა: ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია, ირლანდიის მედიის მარეგულირებელი, დიდი ბრიტანეთის მარეგულირებელი და BBC.

კომუნიკაციების კომისიის მიერ 2018 წელს დაარსებული მედიააკადემიის მთავარი ამოცანა ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობაა. მედიააკადემია სამი ძირითადი მიმართულებით საქმიანობს. ეს მიმართულებებია მედიასკოლა, მედიაკრიტიკა და მედიალაბი.

მედიასკოლა ატარებს სხვადასხვა ხანგრძლივობისა და შინაარსის კურსებსა და სემინარებს მედიამენეჯერებისთვის, პროდიუსერებისა და ჟურნალისტებისთვის. მედიაკრიტიკის მიმართულების ამოცანაა ქართულ მედიაბაზარზე არსებული მედიაპროდუქტის ანალიზი და კრიტიკული შეფასება, რაც, ერთი მხრივ, პროფესიულ ზრდაში ეხმარება ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარი გზამკვლევია მომხმარებელთათვის. აკადემიის მესამე კომპონენტია მედიალაბორატორია, რომელიც ხელს უწყობს ციფრულ მედიაში სტარტაპების მხარდაჭერასა და დაფინანსებას.

დაარსებისთანავე მედიააკადემიამ შეიმუშავა საკუთარი მედიაპლატფორმა და სარედაქციო კოდექსი, რომელსაც ეფუძნება როგორც სასწავლო-აკადემიური პროცესი, ისე მედიაკრიტიკის მიმართულების განვითარება.

ჟურნალისტი და საგანმანათლებლო ღონისძიებები

მედიაწიგნირების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კომისია 2018 წლიდან, ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს. ძირითადი სამიზნე აუდიტორიაა მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები და მშობლები. პროექტების შერჩევის პროცესი ითვალისწინებს საერთაშორისო, მათ შორის ევროპული ქვეყნების, საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას და დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით, კონკრეტული პროექტის ქართულ რეალობასთან ადაპტირებას. მედიაწიგნიერების ხელშეწყობის მიმართულებით, კომუნიკაციების კომისიის პარტნიორთა შორის გახლავთ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები – ევროკავშირი, ევროპის საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი და მსოფლიო ბანკი.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნიკაციების კომისიამ, მოკლე დროში, შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია – 400-ზე მეტი საგანმანათლებლო ღონისძიების ფარგლებში ჯამში გადამზადებულია 8300 მოსწავლე, 2300-ზე მეტი პედაგოგი და 1000 სტუდენტი. აღსანიშნავია ისიც, რომ კომისიის მიერ მედიაწიგნიერების ცნობიერების ამაღლებისთვის განხორციელებული ინიციატივები, 2022 წელს, მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) საბჭომ შეაფასა, როგორც წარმატებული მაგალითი.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, კომუნიკაციების კომისიამ უკვე განახორციელა არაერთი წარმატებული პროექტი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის. ამის ნათელი მაგალითია პროექტი – „დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა: კრიტიკული აზროვნების განვითარება სკოლებში“, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სპეციალური საგანმანათლებლო მოდული, ჩატარდა 60 სემინარი და საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლისა და პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის 900 მასწავლებელი გადამზადდა. აღნიშნული პროექტი საქართველოში ევროკავშირის

წარმომადგენლობის მხარდაჭერით განხორციელდა. თუმცა, ფორმალურ განათლებაში მედიაწიგნიერების დანერგვისკენ მიმართული ძალისხმევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

მნიშვნელოვანი პროექტია კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების შემსწავლელი სახელმძღვანელო - „გამარჯობა რუბის“ წიგნების შეტანა სკოლებში, რომელსაც კომისია 2019 წლიდან ახორციელებს. „გამარჯობა რუბი“ ფინური წიგნების სერიაა, რომელიც მიზნად ისახავს დაწყებითი კლასის ბავშვებში პროგრამირებისა და კომპიუტერული მეცნიერებების საწყისების დაუფლებასთან ერთად, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარების განვითარებას. სახელმძღვანელოს ავტორი ფინელი პროგრამისტი ლინდა ლიუკასია, რომელიც ჟურნალმა „ფორბსმა,“ 2018 წელს, ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ევროპის საუკეთესო 50 ქალს შორის დაასახელა, ხოლო ევროკომისიამ „ფინეთის ციფრული ჩემპიონი“ უწოდა.

„გამარჯობა რუბის“ წიგნები თარგმნილი და გამოცემულია 25 ენაზე. წიგნების ქართულ ენაზე გამოცემის ლიცენზია კომუნიკაციების კომისიამ 2019 წელს მიიღო. კომისიის მოწვევით, ლინდა ლიუკასი საქართველოში ჩამოვიდა და მასწავლებლები თავად გადაამზადა. ავტორმა 60-ზე მეტ პედაგოგსა და ტრენერს სერტიფიცირებული სემინარი ჩაუტარა და მათ წიგნით სწავლების უნიკალური საგაკვეთილო მეთოდი თავად გააცნო. კომისია აგრძელებს პედაგოგების „გამარჯობა რუბის“ სწავლების მეთოდებში გადამზადებას. კომუნიკაციების კომისიამ ფინური წიგნები „თავგადასავალი პროგრამირების სამყაროში“ და „მოგზაურობა კომპიუტერში“ 61 საჯარო სკოლას უსასყიდლოდ გადასცა.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლისთვის სავალდებულო გახდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება, რის შედეგადაც გაიზარდა მოთხოვნა „რუბის“ წიგნებზე. ვინაიდან ინფორმაციული ტექნოლოგიები არის სწრაფად ცვალებადი და შესაბამისად განახლებადი დარგი, არ არსებობს საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ მათთვის სასურველი სწავლების მეთოდი, რაშიც რუბის წიგნები ეხმარებათ.

კომუნიკაციების კომისია მედიაწიგნიერების მიმართულებით მრავალფეროვან პროექტებს სთავაზობს სამიზნე აუდიტორიას, მათ შორის არის კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!“, რომელიც სკოლის მოსწავლეებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას ისახავს მიზნად. დღემდე ჩატარებულია 8 კონკურსი, რომლის ფარგლებში შეფასებულია 700-ზე მეტი საკონკურსო ნამუშევარი და გადამზადებულია 2700-ზე მეტი მოზარდი. ასევე, აღსანიშნავია პროექტი „მედიის ეკონომიკა“, რომლის ფარგლებშიც მაღალი კლასების მოსწავლეები და მასწავლებლები ეცნობიან ციფრული მედიის დაფინანსებისა და მედია ეკონომიკის პრინციპებს. კომისიის კიდევ ერთი წარმატებული პროექტია “Happy Onife” ონლაინ აპლიკაციის ადაპტირებული ვერსია, რომელიც მოზარდებს ციფრული მედიის უსაფრთხო და პასუხისმგებლობით გამოყენებას, ონლაინ კონტენტის კრიტიკულ შეფასებასა და ანალიზს ასწავლის. დაბოლოს, კომისიამ შექმნა ფინური ონლაინ პლატფორმის ანალოგი, რომელიც „მედიის გასაღების“ სახელით არის ცნობილი და მშობლებს, მასწავლებლებსა და მოზარდებს ფილმების შინაარსის გააზრებაში ეხმარება.

გარდა არაფორმალური განათლების პროექტებისა, კომისია ხელს უწყობს მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში დამკვიდრებასაც. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია მედიაწიგნიერების ინტეგრირება ფორმალურ განათლებაში, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარე წელს განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, სკოლებში ჩატარდა მედიაწიგნიერების საჭიროებების შეფასება, რისი გათვალისწინებითაც, მეორე ეტაპზე, შემუშავდა მედიაწიგნიერების საგანმანათლებლო სტანდარტი ზო-

გადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხურისთვის. ასევე, შეიქმნა მედიაწიგნიერების სახელმძღვანელო და შესაბამისი ტრენინგ-მოდული მასწავლებლებისთვის. პროექტის ფარგლებში შემუშავებული ახალი რესურსების მიხედვით, გადამზადება გაიარა ოთხმა ტრენერემა, რომელთაც თავის მრივ მასწავლებლები გადაამზადეს. აღსანიშნავია, ისიც, რომ პედაგოგების გადამზადება პირველ ეტაპზევე განხორციელდა საქართველოს მასშტაბით და თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ზესტაფონში, ამბროლაურში, გორში, მცხეთაში, თელავში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, მარნეულში, ახალციხესა და პანკისში სულ 600 პედაგოგი გადამზადდა.

პროექტი „მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირება“ მე-10 კლასელებისთვის არჩევითი საგნის დამატებას ემსახურება, რომელსაც მოსწავლეები გადამზადებული მასწავლებლების ხელმძღვანელობით, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან, სემესტრის განმავლობაში, გაივლიან და მედიაწიგნიერების, მედიისა და ინფორმაციის ენის, ინფორმაციის დამუშავებისა და დეზინფორმაციის შესახებ ისწავლიან.

გარდა საგანმანათლებლო ღონისძიებებისა, რომელსაც კომისია მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის, ასევე ვმუშაობთ მედიაწიგნიერების საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსების შექმნაზე. 2021 წელს, ევროკომისიის მხარდაჭერით, კომისიამ წარადგინა მედიაწიგნიერების ონლაინ პლატფორმა (mediatsigniereba.ge) ძირითადად სამი სამიზნე აუდიტორიისთვის: მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. მედიაწიგნიერების პლატფორმა მომხმარებლებს სთავაზობს ღია ელექტრონულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსებზე წვდომას და წარმოადგენს ერთგვარ ჰაბს, რომელიც აერთიანებს პარტნიორ ორგანიზაციებს, საჯარო და კერძო სექტორს, აკადემიურ წრეებს, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს, რომელთა საერთო მიზანს წარმოადგენს საქართველოში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. მედიაწიგნიერების პლატფორმის მიზანია საგანმანათლებლო რესურსებითა და ამ სფეროში მიმდინარე სიახლეების გაცნობით, ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში მედიაწიგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოსთან და მის თანმდევ გამოწვევებთან ადაპტაცია მარტივი ამოცანა ნამდვილად არ გახლავთ. თუმცა, საქართველო, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან ერთად და საუკეთესო პრაქტიკის კვალდაკვალ, განსაკუთრებულ ძალისხმევას დებს საზოგადოების მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარებაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კომუნიკაციების კომისიაც, რომელიც აგრძელებს მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობას და მომავალშიც არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გეგმავს.

ბიბლიოგრაფია

1. Alvarado, M., Gutch, R., & Wollen, T. (1987). *Learning the Media: An Introduction to Media Teaching*. Macmillan Education.

   Arke, E. T. (2013). Media Literacy: History, Progress, and Future Hopes. In K. E. Dill (Ed.), *The Oxford Handbook of Media Psychology* (pp. 96–108). https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780195398809.013.0006

2. Bulger, M. & Davison, P. (2018). *The Promises, Challenges, and Futures of Media Literacy.* Retrieved Jan 30, 2023, from https://apo.org.au/sites/default/files/resource-files/2018-02/apo-nid134501.pdf

4. Hobbs, R., & Jensen, A. (2009). The past, present, and future of media literacy education. *Journal of media literacy education*, *1*(1), 1-11. https://doi.org/10.23860/jmle-1-1-1

5. Saettler, P. (2004). *The Evolution of American Educational Technology.* Information Age Publishing.

შენიშვნა

1 https://iite.unesco.org/mil/

რა არის მდგრადი განვითარების მიზნები?

მარია ბლიაძე
გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების ექსპერტი

მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გაეროს წევრი ქვეყნების მიერ მიღებული იქნა, გაეროს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა.

2014 წლის 19 ივლისს გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDGs) მომუშავე ღია ჯგუფმა ახალი წინადადება წარუდგინა ასამბლეას მდგრადი განვითარების შესახებ.

2015 წელს დასრულდა ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის 15-წლიანი ციკლი და მსოფლიო განვითარების ახალი გამოწვევების განსაზღვრისა და ახალი მიზნების შემუშავების ამოცანის წინაშე დადგა. მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივმა ძალისხმევამ და თანამშრომლობამ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში ნათლად აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ერთიანი გლობალური დღის წესრიგის არსებობა ისეთ გამოწვევებთან გამკლავებისას, როგორიცაა სიღარიბის აღმოფხვრა. მსოფლიომ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია 15 წლის მანძილზე, მაგრამ განვითარების ძირითადი გამოწვევების გლობალური დაძლევა კვლავაც აქტუალურია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი გლობალური დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებს 2015 წლის შემდეგ. მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანაა, გააგრძელოს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიერ დაწყებული საქმე.

გაეროს წევრმა ქვეყნებმა 2015 წლის 25-27 სექტემბერს ნიუ იორკში (აშშ) გამართულ მდგრადი განვითარების სამიტზე მიიღეს მდგრადი განვითარების

> **მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ინსტიტუციურ განვითარებას, ასევე ადამიანის უფლებებს, ინოვაციებს, ეფექტიანობასა და ეკოლოგიურ ქვეყნებს. ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანამ მხარი უნდა დაუჭიროს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზნის მესაჯილებას ერთნელ ღონეზე 2030 წლამდე.**

მიზნები. გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას, სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრის, კლიმატის და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოების დამკვიდრების გზით. მდგრადი განვითარების ახალი სამოქმედო გეგმა 17 მიზანს და 169 ამოცანას მოიცავს. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, თითოეულმა ქვეყანამ შემდეგი 15 წლის განმავლობაში უნდა გაატაროს რეფორმები მდგრადი განვითარების 17 მიზნის შესასრულებლად. მიზნების შესრულების შეფასებას ყოველწლიურად განახორციელებს მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარების შესახებ.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ახდენენ მოქმედების სტიმულირებას ისეთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: ადამიანები, პლანეტა, წარმატება, მშვიდობა და პარტნიორობა (5Ps: People, Planet, Prosperity, Peace, Partnership).

მდგრადი განვითარების მიზნები გლობალური სტრატეგიაა, რომელიც ეხება მთელ მსოფლიოს, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანამ მხარი დაუჭირა მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზნის შესრულებას ეროვნულ დონეზე 2030 წლამდე.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას ყველა მიზნის ერთობლიობის მიმართ. გაეროს განვითარების პროგრამას საუკეთესოდ შეუძლია ამ პროცესის მხარდაჭერა.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური ბუნებისაა და ამავე დროს უნივერსალური გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს, განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკასა და პრიორიტეტებს.

მდგრადი განვითარების მიზნები ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არაა და ამიტომ ისინი ინტეგრირებულად უნდა განხორციელდეს.

გლობალური განვითარების 17 მიზანი პირდაპირ უკავშირდება, ავსებს ერთმანეთს და აბალანსებს მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებას: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს და ორიენტირებული არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადობის კომპასი 4 ძირითადი მიმართულებისგან შედგება:

N (NATURE) – ბუნება: გარემო, რესურსები, ნარჩენები, ეკოსისტემები და ჰაბიტატები, წყალი, ენერგია, კლიმატის ცვლილება, ჰაერი, ტყე, ბიომრავალფეროვნება

E (ECONOMY) – ეკონომიკა: მოპოვება, წარმოება, მოხმარება, დასაქმება და ინვესტიციები, ვალები, ბიზნესი და ინოვაცია

S (SOCIETY) – საზოგადოება: მმართველობა, თანასწორობა, გამჭვირვალობა, უსაფრთხოება, კულტურა, ინსტიტუციური მენეჯმენტი

W (WELLBEING) – კეთილდღეობა: ჯანდაცვა, განათლება, თვითგამოხატვა, ბედნიერება, ურთიერთობები, ოჯახი, შემოქმედება და ცხოვრების ხარისხი.

მდგრადი განვითარების მიზნები მდგრადობის კომპასზე



მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება მრავალმხრივი პროცესია და მასში მონაწილეობენ:

- ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები;
- საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ბიზნესი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- სამოქალაქო საზოგადოება;
- მედია.

მიზნებისა და ამოცანების მონიტორინგი განხორციელდება გლობალური ინდიკატორების მეშვეობით. ინდიკატორებს რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე წევრი ქვეყნები შეიმუშავებენ. შეფასებას ყოველწლიურად ჩაატარებს მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარების შესახებ — ანგარიშს მდგრადი განვითარების პროგრესის შესახებ მოამზადებს გენერალური მდივანი.

მიზნების განხორციელება და წარმატება დამოკიდებულია მდგრადი განვითარების პოლიტიკაზე, პროგრამებსა და გეგმებზე რომლებსაც თავად ქვეყნები განახორციელებენ.

მიზნების ეფექტური განხორციელებისთვის მთავრობები შეიმუშავებენ მდგრადი განვითარების ეროვნულ სტრატეგიას, საკუთარ ეროვნულ ინდიკატორებსა და პრიორიტეტებს.

მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი 2015 წელს დაიწყო. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით განისაზღვრა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შიდა პრიორიტეტები და მოხდა რიგი ამოცანების საქართველოსთვის მისადაგება. დოკუმენტის კომპლექსურობის გათვალისწინებით თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაწერილია დროში და განსაზღვრულია საბაზისო (2015 წლის მონაცემები) და სამიზნე ინდიკატორები (2030 წლისთვის). აღნიშნული მიდგომა უნიკალური შესაძლებლობაა მომავალში პროგრესის გაზომვისა და მიზნის შესრულების შეფასების კუთხით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მტკიცებულებებითა და ინფორმაციით გამყარებული სექტორული პოლიტიკის დაგეგმვისათვის.

მთავრობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით განისაზღვრა ურთიერთკავშირი შიდა პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ასევე ინტეგრირებულია საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა მთავრობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები შემდეგ ეროვნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით:

- შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ;
- საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020;
- საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი სამოქმედო გეგმა.

ზემოაღნიშნული პროცესის განხორციელების შედეგად, ამ ეტაპზე, საქართველოს ნაციონალიზებული აქვს 17-ივე მიზანი, 99 ამოცანა და 200-ზე მეტი ინდიკატორი. თუმცა, საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს 169 სამიზნის ნაციონალიზებას ეტაპობრივად 2030 წლამდე.

იდენტიფიცირდა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
- თანასწორობის ხელშეწყობა;
- კლიმატური ცვლილებების დამარცხება;
- ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- ქალაქების მდგრადობა;
- ოკეანეებისა და ტყეების დაცვა;
- ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

საქართველოსთვის ამ პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელება უნდა მოხდეს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- განათლება;
- სოფლის მეურნეობა;
- გარემოს დაცვა;
- ანტიკორუფციული პოლიტიკა.
- სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა;
- გენდერი;
- ღია მმართველობა;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოს მთავრობის შიდა რეფორმების განუყოფელი ნაწილია. მიზნების ნაციონალიზაციის კოორდინაციას, ასევე შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. საბჭოს სამდივნოს წარმოადგენს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური.

ქეთევან ქოზაძე
განათლების დოქტორი, პროფესორი, ფიზიკური განათლების ექსპერტ-კონსულტანტი

სკაუტინგი როგორც ალტერნატიული სისტემა

პირველი ნაწილი

> სკაუტინგის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ნერგავს ბავშვებში რაიმე ცრუ, ხელოვნურ ცნებებსა და ტექნიკას, არამედ იყენებს ბავშვის ბუნებრივ საჭიროებებს, ინსტინქტებს და ინტერესებს, მიმართავს მათ სასარგებლო მიმართულებით.

უხსოვარი დროიდან, მას შემდეგ რაც კაცობრიობამ დაიწყო ფიქრი თავის მომავალზე, ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი მისთვის ყოველთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ, როდესაც 1907 წელს ბრიტანელმა ოფიცერმა, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა რობერტ ბადენ-პაუელმა გამოაქვეყნა თავისი წიგნი "Scouting for Boys" („დაზვერვა ბიჭებისთვის"),სადაც მან ჩამოაყალიბა კლასგარეშე აღზრდის ახალი მეთოდის ძირითადი პრინციპები, ის მყისიერად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ბადენ-პაუელმა შექმნა ახალგაზრდებთან მუშაობის პროგრამა, რომელიც სახალისო და სათავგადასავლო თამაშის სახით იყო წარმოდგენილი (სიცოცხლის თამაში). ამ „თამაშის" მთავარი მიზანი იყო ისეთი ადამიანების აღზრდა, რომლებიც უმკლავდებიან მათ წინაშე მდგარ სიძნელეებს, არიან ძლიერი სულის მქონე ადამიანები და მიისწრაფიან მოყვასისა და ღვთის მსახურების მაღალი იდეალებისაკენ. განათლების ამ სისტემას სკაუტინგი ეწოდება. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ნერგავს ბავშვებში რაიმე ცრუ, ხელოვნურ ცნებებსა და ტექნიკას, არამედ იყენებს ბავშვის ბუნებრივ საჭიროებებს, ინსტინქტებს და ინტერესებს, მიმართავს მათ სასარგებლო მიმართულებით.

სკაუტური მოძრაობის მაუწყებლობის ისტორია

სკაუტინგის დამფუძნებლები

სკაუტთა მსოფლიო მოძრაობის ორგანიზატორად და ხელმძღვანელად სამართლიანად ითვლება ინგლისელი გენერალი რობერტ სტეფენსონ სმიტ

ბადენ-პაუელი, ადამიანი, რომელმაც აირჩია სამხედრო კარიერა და მთელი თავისი ცხოვრება გაატარა ბრიტანეთის კოლონიური ჯარების კამპანიებში. ბავშვობიდანვე იყო ნადირობის მოყვარული, მალევე გახდა ცნობილი როგორც საუკეთესო მკვლევარი და მონადირე, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ჯუნგლების საიდუმლოებები. სამსახურის რთულმა პირობებმა სწრაფად განუვითარა ძლიერი ხასიათი, შეუპოვრობა.

ბადენ-პაუელი მონაწილეობდა ინგლისის კოლონიური ჯარების თითქმის ყველა ექსპედიციაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და 1890 წელს აღმოჩნდა კუნძულ მალტაზე, სადაც პირველად გაეცნო იონიტების რაინდული ორდენის ლეგენდებსა და ტრადიციებს. მათი კანონები საფუძვლად დაედო მომავალში სკაუტების მორალურ კანონებს. ბადემ-პაუელი ბრუნდება ინგლისში და რწმუნდება ინგლისური განათლების სისტემის ნაკლოვანებებში. სკოლა, მისი აზრით, ვერ აყალიბებს ბავშვის ხასიათს, ის მხოლოდ გარკვეულ ცოდნას იძლევა.

1902-1907 წლები შეიძლება ჩაითვალოს იმ პერიოდად, რომელმაც შეცვალა ბადენ-პაუელის ცხოვრება. ამ ცვლილებების შედეგი იყო მეტი მისწრაფება ფართო საზოგადოებრივი მუშაობისადმი და აღზრდის ახალი პროგრამა - სკაუტინგი. 1907 წელს გაკეთდა პირველი მცდელობა არსებული საგანმანათლებლო სისტემის კრიტიკის ლოგიკურობის დასაბუთებისათვის. ბადენ-პაუელმა შეკრიბა ბიჭების ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენდნენ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას და მოაწყო ბანაკი მათთან ერთად ბრაუნის კუნძულზე. ეს იყო კარვების ბანაკი და მასში მხოლოდ 22 ადამიანი მონაწილეობდა. ამ გამოცდილების წარმატება იმდენად აშკარა იყო, რომ 1908 წელს გამოდის მისი წიგნი, სადაც გადმოცემულია სკაუტინგის საფუძვლები „Scouting for boys", რომელიც მყისიერად ვრცელდება ინგლისში. ეს მოძრაობა ვრცელდება მთელ ქვეყანაში, აღწევს კოლონიებში და ბადენ-პაუელი ხვდება, რომ მან საქმე ლოგიკურ ბოლომდე უნდა მიიყვანოს, ანუ შექმნას ორგანიზაცია. Boy scauts ოფიციალურად დაარსდა 1908 წელს. 1910 წელს ბადენ-პაუელმა საბოლოოდ დატოვა სამხედრო სამსახური და მთლიანად მიუძღვნა თავისი მოღვაწეობა ამ საქმეს.

სკაუტინგის წარმოშობაზე მხოლოდ ბადენ-პაუელზე საუბარი უსამართლო იქნებოდა. აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კანადელმა მწერალმა ერნესტ სეტონ-ტომპსონმა. 1901 წელს მან შექმნა ნაკრძალი კონექტიკუტში. იქაური მიმდებარე სოფლის ბავშვები ხშირად აზიანებდნენ ბუნებას. სეტონ-ტომპსონი ტრადიციულ გზას არ გაჰყვა და პოლიციას არ მიმართა. მან გაიხსენა თავისი ბავშვობა, როდესაც თვითონ 14 წლის მოზარდმა და მისმა ამხანაგებმა ინდიელთა ტომი შექმნეს, რომელსაც მოგვიანებით რობინ ჰუდის ბანდა დაარქვეს. ტყისთვის მიყენებული ზიანის ნახვის შემდეგ იგი უბრალოდ სკოლაში მივიდა და 12 წლის ასაკის ბიჭები შაბათ-კვირას ნაკრძალში დროის გასატარებლად და საინტერესო თამაშების მოწყობისათვის მიიწვია. ასე დაიწყო „ტყის ექსპერტების" მოძრაობა, რომელიც ორგანიზაციად არ ჩამოყალიბებულა.

ᲡᲙᲐᲣᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

1922 წელს პარიზში შეიქმნა სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას უწევს მსოფლიოში სკაუტური მოძრაობის საქმიანობას. ის 164 ქვეყნის ნაციონალური ორგანიზაციის 40 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს. ორგანიზაცია 6 რეგიონადაა დაყოფილი: აფრიკა, არაბეთი, აზია-წყნარი ოკეანე, ევრაზია, ევროპა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა. საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია შედის ევრაზიის რეგიონში. სკაუტინგი ღიაა ყველასათვის, ვინც ეთანხმება მოძრაობის პრინციპებს, მიზნებსა და მეთოდოლოგიას, მიუხედავად მათი რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა.

მსოფლიო კონფერენციები

სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციის კონფერენცია არის მსოფლიო სკაუტური მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ტარდება სამ წელიწადში ერთხელ. აქ იკრიბებიან ყველა ნაციონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები. როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური ასოციაციები მსოფლიო კონფერენციაზე წარადგენენ 6 დელეგატს. კონფერენცია იხილავს სკაუტინგის განვითარების მნიშვნელოვან საკითხებს და გეგმებს. კონფერენციის ერთ-ერთი ფუნქციაა, აირჩიოს მსოფლიო კომიტეტის შემადგენლობა, მიიღოს წევრად ახალი ქვეყანა, გადაწყვიტოს მსოფლიო ღონისძიებების ჩატარების ადგილი, მათ შორის მსოფლიო სკაუტური ჯემბორის, მუტისა და ახალგაზრდული ფორუმის.

მსოფლიო კომიტეტი

სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციის კომიტეტი არის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციას. კომიტეტი შედგება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი 12 წევრისაგან, რომელსაც ფარული კენჭის ყრის საფუძველზე 6 წლით ირჩევს სკაუტური მოძრაობის მსოფლიო კონფერენცია. 2008 წლის მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით, 2011 წლიდან არჩეული კომიტეტის წევრები 6 წლის ნაცვლად აირჩევიან 3 წლით.

მსოფლიო ბიესი

მსოფლიო ბიურო ასრულებს მსოფლიო ორგანიზაციის სამდივნოს ფუნქციას. მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ნიშნავს მსოფლიო კომიტეტი. იგი არის ორგანიზაციაში მთავარი აღმასრულებელი და მსოფლიო ბიუროს მეთაური. ბიურო მეთვალყურეობას უწევს მსოფლიო კონფერენციის მიერ დასმული ამოცანების განხორციელებას, უზრუნველყოფს სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა ღონისძიების ორგანიზებას, დახმარებას უწევს ნაციონალურ ასოციაციებს სკაუტინგის განვითარებაში. ბიურო პირველად შეიქმნა 1920 წელს ლონდონში (ინგლისი), 1959 წელს ფუნქციონირება განაგრძო ოტავაში (კანადა), ხოლო 1968 წლიდან დღემდე იგი მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარია).

მსოფლიო ჯამბორი, ეპი, ჯიეპ, ჯიი

ჯემბორი არის სკაუტების საერთაშორისო შეხვედრა, რომელსაც 4 წელიწადში ერთხელ ატარებს სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია. ჯემბორის ჩატარების ადგილს ირჩევს მსოფლიო კონფერენცია. ეს არის დაუვიწყარი დღეები მათთვის, ვისაც მიეცა მონაწილეობის შესაძლებლობა. უამრავი საინტერესო პროგრამა შესაძლებლობას იძლევა სკაუტების ცოდნისა და უნარების გამოსავლენად.

მეგობრობის ეს ზეიმი 1920 წლიდან ტარდება. ეს იყო პირველი ჯემბორი ბადენ პაუელის ინიციატივით. მსოფლიოს „მთავარმა სკაუტმა“ მაშინ თქვა: „ამ შეხვედრაზე ყველა ბედნიერია იმიტომ, რომ თითოეული გამსჭვალულია სკაუტური ძმობის სულისკვეთებით, რაც შემდგომში მათი განვითარების საწინდარია“. ბევრი ნაციონალური ორგანიზაცია ატარებს ადგილობრივ ჯემბორის და სტუმრად იწვევს სკაუტებს სხვადასხვა ქვეყნიდან.

2007 წელს ინგლისში გამართული ჯემბორი მიეძღვნა სკაუტინგის დაარსების 100 წლისთავს, რომელსაც ესწრებოდა თითქმის ყველა ქვეყნის 40000 სკაუტი. ამ დაუვიწყარ შეკრებაზე საქართველოს სკაუტებს წარმოადგენდა 12 კაციანი დელეგაცია. მსოფლიო სკაუტური მუტი 1931 წლიდან ტარდება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, სადაც მონაწილეობს 18-დან 26 წლამდე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდა. ჯოტა მსოფლიო სკაუტების რადიო ფორუმია, სადაც ათასობით სკაუტი უკავშირდება ერთმანეთს, ხოლო ჯოტი მსოფლიო სკაუტების ინტერნეტ ფორუმია. ამ ვირტუალურ ფორუმებს ყოველწლიურად 500000-ზე მეტი ახალგაზრდა სტუმრობს.

სკაუტინგის არსი

„სკაუტი“ ინგლისურიდან ითარგმნება როგორც „მზვერავი“, მაგრამ მისი შინაარსი უფრო ფართოა ვიდრე მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა. სკაუტი არის მკვლევარი, აღმომჩენი, ადამიანი, რომელსაც არ ეშინია ცხოვრებისეული სირთულეების. სკაუტინგი არის თამაში, მასშტაბური, ორგანიზებული, თავისი კანონებით და რიტუალებით, თავგადასავლებით და რომანტიკით. მაგრამ ეს თამაში სერიოზულია, მას აქვს სერიოზული საგანმანათლებლო დატვირთვა, შესაბამისად ამ სისტემის მიზანია პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება. სკაუტინგის მიზნებია:

- ჩამოუყალიბოს ბავშვს ინდივიდუალური ხასიათი (მოვალეობის გრძნობა, მიზანდასახულობა, გამძლეობა, მოთმინება);
- ბავშვს განუვითაროს შრომისადმი სიყვარული;
- ასწავლოს ახალგაზრდას, რომ ემსახუროს სხვებს და ჰქონდეს ამის სურვილი;
- აღზარდოს პატრიოტი.

სკაუტური სისტემა მიზნად ისახავს ბავშვის ხასიათის დაპყრობას იმ დროს, როდესაც მისი ენთუზიაზმი ჯერ კიდევ არ შენელებულა, წაახალისოს და განავითაროს მისი პიროვნება, რათა ის გახდეს კარგი ადამიანი და სამშობლოს ღირსეული მოქალაქე. სკაუტინგის მთელი სისტემა მიზნად ისახავს ახალგაზრდის მომზადებას საზოგადოებაში და ბუნებაში ცხოვრებისათვის, ხელი შეუწყოს სოციალური ადაპტაციის პროცესს რთულ ზრდასრულ ცხოვრებაში, სადაც არ უნდა იყვნენ სკაუტები, რასაც არ უნდა აკეთებდნენ, ისინი ყოველთვის ერთგულნი არიან იმ პრინციპებისადმი, რომელზეც დაფუძნებულია სკაუტინგი. ეს პრინციპები განსაზღვრავს ორგანიზაციის მორალური ღირებულებების სისტემას.

სკაუტური მეთოდი

სკაუტური მეთოდი არის სხვადასხვა ელემენტების ერთობლიობა, სისტემა, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს მდიდარ შინაარსობრივ და ფორმით აქტიურ გარემოს სამყაროსა და საკუთარი თავის შესასწავლად. იმისათვის რომ სკაუტინგმა მიაღწიოს საგანმანათლებლო მიზანს, მან უნდა უზრუნველყოს შემდეგი ზოგადი პირობები, რომლებიც ახასიათებს სკაუტურ მოძრაობას:

1. მოძრაობა ახალგაზრდებისათვის მეტწილად მოზარდების ასაკობრივ ჯგუფზეა ორიენტირებული. სკაუტინგის საგანმანათლებლო სისტემის პედაგოგიური ეფექტურობა უფროს ასაკობრივ ჯგუფებთან მიმართებაში

დამოკიდებულია კონკრეტულ კულტურაში მოქმედ ფაქტორებზე, სოციალურ პირობებზე, პედაგოგიურ ტრადიციაზე, განათლებისადმი მიდგომებზე და ზოგადად ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულებაზე.
სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოძრაობაში მოღვაწეობის ზედა ასაკობრივი ზღვარი, როგორც წესი, შეესაბამება სიმწიფის ზოგად დონეს, რომლის მიღწევის შემდეგ ადამიანს აღარ სჭირდება სკაუტინგის სისტემური საგანმანათლებლო მიდგომა თვითგანათლების პროცესის გასაგრძელებლად. ქვედა ზღვარი შეესაბამება სოციალური სიმწიფის საწყის დონეს, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.
ცხადია, სოციალური სიმწიფის ეს დონეები შეიძლება დაზუსტდეს მხოლოდ დაახლოებით, მაგრამ ისინი შეესაბამება ცხოვრების პერიოდს 6-7 წლიდან 17-18 წლამდე.

2. ახალგაზრდების მოძრაობა უფროსების მხარდაჭერით, რომელთა მთავარი ამოცანა ახალგაზრდების განვითარების აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაა, თვითგანათლების ხელშეწყობაა. ბავშვები, მოზარდები და ახალგაზრდები, როგორც სკაუტური მოძრაობის წევრები, უფროსებთან ერთად პარტნიორული სულისკვეთებით მოქმედებენ. აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ბუნებრივია იმ ჩარჩოებში, რომელიც შეესაბამება მათი სიმწიფის დონეს, სოციალურ უნარებს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს სკაუტინგის სოციალურ მიმზიდველობას და პედაგოგიურ ეფექტურობას.
3. მოძრაობა ღიაა ყველასათვის, სკაუტურ მოძრაობაში გაწევრიანება შეუძლია ყველას, ვინც თანახმაა იყოს მისი მიზნის, პრინციპებისა და მეთოდის ერთგული. ის ნებაყოფლობითი მოძრაობაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოძრაობა არ ცნობს განსხვავებებს ადამიანებს შორის რელიგიური, ეთნიკური ან სოციალური სტატუსის, აღმსარებლობის ან სქესის მიხედვით. სკაუტური მოძრაობა ღიაა ყველასათვის მიუხედავად ამ განსხვავებებისა.
4. ნებაყოფლობითი მოძრაობა. სკაუტური მოძრაობის ყველა წევრი—ბავშვები, მოზარდები, მხარდამჭერი უფროსები—უერთდებიან მას საკუთარი ნებით. დაუშვებელია სკაუტურ მოძრაობაში გაწევრიანების იძულება, ასევე სკაუტურ ორგანიზაციაში პიროვნების ნების გარეშე დატოვების მცდელობა. სკაუტინგი განსხვავდება სკოლისაგან, სადაც დასწრება, როგორც წესი, სავალდებულოა გარკვეული ასაკის ბავშვებისათვის.
5. არაპოლიტიკური მოძრაობა. სკაუტინგი არაპოლიტიკურია იმ თვალსაზრისით, რომ არ არის ჩართული პოლიტიკური პარტიების ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. ამავდროულად, სკაუტინგის საგანმანათლებლო სისტემა ორიენტირებულია ახალგაზრდობის დასახმარებლად, რომ იყვნენ და განვითარდნენ როგორც პასუხისმგებელი და აქტიური ინდივიდები და საზოგადოების წევრები.
6. დამოუკიდებელი მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ სკაუტური მოძრაობა მჭიდროდ თანამშრომლობს მთელ რიგ ორგანიზაციებთან და იღებს მხარდაჭერას მთელ მსოფლიოში, სკაუტინგი დამოუკიდებელია იმ გაგებით, რომ თავისუფალია ნებისმიერი გარე ორგანიზაციის ან ინდივიდის კონტროლისაგან. მოძრაობის ერთიანობას უზრუნველყოფს სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს ეროვნულ სკაუტურ ორგანიზაციებს.
7. მოძრაობა, რომელიც ავსებს განათლების სხვა ფორმებს. სკაუტინგი არ არის არც ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი (სკოლა, დამატებითი საგანმანათლებლო დაწესებულება და ა.შ.) და არც არაფორმალური (მეგობრები, მედია და ა.შ.), რადგან სკაუტინგი გვთავაზობს თავის სპეციფიურ მიდგომას განათლებასთან მიმართებაში.

8. მოძრაობა, რომელიც აუცილებელია ახალგაზრდებისათვის. სკაუტინგი მიზნად ისახავს იყოს საჭირო ახალგაზრდებისათვის, ასევე, მუდმივად აკმაყოფილებდეს მათ საჭიროებებს სწრაფად ცვალებად სამყაროში. როგორც მოძრაობა, სკაუტინგი მუდმივად უნდა მოერგოს ცვალებადი სამყაროს პირობებს და დარჩეს თავისი მიზნებისა და პრინციპების ერთგული. ამრიგად, აღზრდის მიზნები ნათელია: გაიზარდოს დამოუკიდებელი, სხვების დახმარებისათვის მზადმყოფი პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდი.

სკაუტური მეთოდის ელემენტები

სკაუტური მეთოდი უნდა განიხილებოდეს, როგორც ურთიერთდამოკიდებული ელემენტების ჯგუფი, რომლებიც ერთ მთლიანობას ქმნიან. თითოეულ ელემენტს აქვს თვისი საგანმანათლებლო ფუნქცია (ანუ, თითოეული ელემენტი შექმნილია იმისთვის, რომ სასწავლო პროცესს გარკვეული გზით ხელი შეუწყოს და თითოეული ელემენტი აძლიერებს დანარჩენების ზეგავლენას).

სკაუტური მეთოდის ყველა ელემენტი, რომელიც მუშაობს სისტემის ნაწილად, აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი (პირველადი) სკაუტური ერთეულის ცხოვრებაში, მაგრამ ყველა ეს ელემენტი არ ჩანს ზედაპირზე. ზოგიერთი ელემენტი მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს. თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, რამდენიმე შეხვედრის ან სკაუტური ბანაკის დროს, მეთოდის ყველა ელემენტი აქტიურად იქნება გამოყენებული. ეს ელემენტები შეიძლება ილუსტრირებული იყოს შემდეგნაირად:

სკაუტური კანონი და დაპირება

სკაუტური კანონი არის თითოეული სკაუტისა და სკაუტური დანაყოფის ყველა წევრის ცხოვრების კოდექსი, რომელიც ეფუძნება სკაუტურ პრინციპებს. მისი მეშვეობით, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება, სკაუტური კანონი პრაქტიკულ საშუალებას აძლევს ახალგაზრდას გაიგოს ის ღირებულებები, რომლებსაც სკაუტინგი გვთავაზობს, როგორც ინდივიდის ცხოვრების საფუძველი.

სკაუტის კანონი:

- სკაუტი სანდოა;
- სკაუტი წრფელია და გულისხმიერი;
- სკაუტი ზრდილობიანია;
- სკაუტი მზრუნველია;
- სკაუტი ყველას მეგობარია და ყველა სკაუტის ძმაა;
- სკაუტი ბუნების მეგობარია;
- სკაუტის მოვალეობაა იყოს სარგებლიანი და დაეხმაროს სხვას;
- სკაუტი ასრულებს უფროსების და ხელმძღვანელების მითითებებს;
- სკაუტი ყოველთვის იღიმის და უმკლავდება ყველა სიძნელეს;
- სკაუტი სუფთაა თავისი აზრით, სიტყვით და საქმით.

დაპირება არის პირადი ვალდებულება, რომ ვიცხოვროთ კოდექსის შესაბამისად, ვალდებულება, რომელსაც ყოველი ახალგაზრდა აძლევს თანატოლთა ჯგუფს, თუ ის გადაწყვეტს მოძრაობაში გაწევრიანებას: „გპირდებით, ღირსეულად გავაკეთო ყველაფერი, რაც ჩემზეა დამოკიდებული, რათა მოვიხადო მოვალეობა ღვთის, ერისა და საკუთარი თავის წინაშე, შევასრულო სკაუტის კანონი“.

სწავლა სამუშაოს მეშვეობით

საქმით სწავლა ასახავს იმ აქტიურ გზას, რომლითაც ახალგაზრდა იძენს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. საქმით სწავლა ასახავს სკაუტური მოძრაობის პრაქტიკულ მიდგომას აღზრდისადმი, ეს არის საშუალება, დაეხმაროს ახალგაზრდას განვითარდეს პიროვნულად.

საპატრულო სისტემა (ან ბრძანების სისტემა)

სამეთაურო სისტემა (ან საპატრულო სისტემა) არის ადგილობრივი სკაუტური დანაყოფის ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძველი, რომელიც შედგება მოძრაობის ახალგაზრდა წევრებისა და ზრდასრულ ლიდერთა მცირე ჯგუფებისგან.

პიროვნული პროგრესი

პიროვნული პროგრესი არის ელემენტი, რომელიც ეხმარება თითოეულ ახალგაზრდას განუვითაროს შინაგანი მოტივაცია, რომ შეგნებულად და აქტიურად იყოს ჩართული საკუთარ განვითარებაში. ეს საშუალებას აძლევს ახალგაზრდას, საკუთარი გზით, საკუთარი ტემპის შესაბამისად განვითარდეს ასაკობრივი ჯგუფის საგანმანათლებლო მიზნების ზოგადი მიმართულებით, მოიპოვოს ნდობა და გააცნობიეროს მიღწეული პროგრესი.

ცხოვრება ბუნებასთან ჰარმონიაში

იმის გამო, რომ ბუნების სამყარო უზარმაზარ შესაძლებლობებს იძლევა ახალგაზრდის ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური, სოციალური და სულიერი პოტენციალის განვითარებისთვის, ბუნებრივი გარემო იდეალური ადგილია სკაუტური მეთოდის გამოსაყენებლად.

ზრდასრულთა მხარდაჭერა

უფროსთა მხარდაჭერა მოიცავს სამ ასპექტს, რომლებიც შეესაბამება სამ განსხვავებულ როლს, რომელიც უფროსმა უნდა გაითვალისწინოს სკაუტურ განყოფილებაში მუშაობისას: აქტივობების ლიდერი, მასწავლებელი, შუამავალი.

სიმბოლური საფუძველი

სკაუტურ მოძრაობაში გამოიყენება რამდენიმე სიმბოლო, რომელთა მიზანია კიდევ უფრო გააძლიეროს წარმოსახვა, თავგადასავლების სულისკვეთება, ახალგაზრდის უნარი იყოს შემოქმედებითი და გამომგონებელი, მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, განვითარების მიმართულებებთან და ღირებულებებთან, რომლებიც ემყარება სკაუტურ მოძრაობას, ასტიმულირებს ერთიანობას და სოლიდარობას ჯგუფში.

გაგრძელება იქნება

გამოყენებული ლიტერატურა

1. იყავი მზად სკაუტური ცხოვრებისათვის. რედ. მ. მთვრალაშვილი. 2010. https://members.scout.org/sites/default/files/library_files/SKAUTI_%20%282%29.pdf
2. http://scout.ge/index.php?page=6&lang=ge
3. https://www.scout.org/who-we-are/scout-movement/scoutings-history
4. https://www.scout.org/

www.tpdc.ge